# არსენალი

№8 (129). 14-27 აპრილი, 2011 წ. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა
1425
2011

## „სოხუმმა" სოხუმს ჩაუარა...

## სომხეთი ატომურ „ფუკუსიმას" ბეწვზე გადაურჩა

## პიკაპების ომი ლიბიის გზებზე




## ახალი რუბრიკა — 100 დიდი მხედართმთავარი

## რითი გვემუქრებიან რუსული „ზმეი გორინიჩები"...

ეროვნული ბიბლიოთეკა






ბელგიელი კომანდოსები 35

ფინეთი და კა-გე-ბე 18





ამერიკული „აპაჩის“ საბრძოლო ბიოგრაფია 38

ყარაბაღში ჩამოგდებული ირანული „ჰერკულესის“ ისტორია 52







გერმანული ჯავშანმანქანები 30

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


კალეიდოსკოპი

4 სამხედრო სიახლეები

ინტერესები

8 რა ღირს დღეს ომი

ლიბიის ომი

9 პიკაპების ომი ლიბიის გზებზე

გამოძახილი

11 1988 წელს სომხეთი ატომურ „ფუკუსიმას„ ბეწვზე გადაურჩა

სანაპირო დაცვა

12 BLACKSEAFOR-ის სწავლებები ქართული კატარღის მონაწილეობით

საფრთხე

13 რუსული „ზმეი გორინიჩები" და რა შეუძლიათ მათ ჩვენს წინააღმდეგ...

მოსაზრება

16 უკრაინა უპილოტოების ბაზარზე გადის...

სპეცსამსახურების არქივიდან

18 ფინეთი კა-გე-ბეს არქივებში

რეგიონი

22 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა...

ტერორისტული ორგანიზაციები

24 ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯამაათი

კადაფის ყველაზე საშიში მოწინააღმდეგენი

ტანკმშენებელი ქვეყნები

30 გერმანული ჯავშანტექნიკა

სპეცოპერაციები

35 ბელგიელი კომანდოსები

ინოვაციური ტექნოლოგიები

38 შვეულმფრენები — ამერიკული დამრტყმელი „ინდიელი"

100 დიდი მხედართმთავარი

43 ლეონიდას სპარტელი

ქართული ომების ისტორიიდან

46 რომაელთა ლაშქრობა ქართულ მიწაზე

სამხედროებიც ტირიან

50 სერჟანტის შეცდომა

სამხედრო ისტორიები

52 ყარაბაღელებს ირანული „ჰერკულესის" ჩამოგდება შერჩათ

„არსენალის" იარაღის მაღაზია

54 „ბერეტას" ახალი ცეცხლსასროლი ოჯახი


პალიტრა მედია

## რედაქტორის სვეტი

ცნობილმა ებრაულმა საიარაღო ფირმამ „ელბიტ სისტემზ"-მა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ საჩივარი შეიტანა და ქართული მხარისგან 100 მლნ დოლარს მოითხოვს. ებრაული ფირმის განცხადებით, საქართველოს მთავრობამ არ გადაიხადა თანხა 2007 წელს დადებული რამდენიმე კონტრაქტის მიხედვით, რომლის თანახმადაც ამ ფირმამ საქართველოს შეიარაღება მიაწოდა. აგვისტოს ომამდე ამ ებრაულმა ფირმამ ქართულ არმიას მართლაც მიაწოდა რამდენიმე უპილოტო სადაზვერვო თვითმფრინავი და მოდერნიზება ჩაუტარა ქართული ტანკების ერთ ნაწილს. თუკი ეს ამბავი დიდ სკანდალში გადაიზარდა და მართლაც დამტკიცდა ებრაული მხარის სიმართლე, მაშინ საქართველო საბოლოოდ უნდა დაემშვიდობოს ისრაელის წარმოების შეიარაღებისა და აღჭურვის შეძენაზე ფიქრს, მით უმეტეს, რომ მოსკოვის ზეწოლით თელ-ავივს ისედაც შეჩერებული აქვს თბილისთან სამხედრო თანამშრომლობა.

ირაკლი ალადაშვილი
თემურ ჩაჩანიძე

ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი"
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 38-26-74; 38-26-73

რედაქციის დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად
11.04.2011

გაზეთ „კვირის პალიტრის"
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 38-83-07 (121)

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 37-78-07; 38-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავღანეთში ბუნდესვერი ცისფერ ეკრანზე მერკელს ველარ იხილავს



1-ელი აპრილიდან გერმანიის საზოგადოებრივმა ტელევიზიამ (ARD) ავღანეთში მაუწყებლობა შეწყვიტა და ამიერიდან ამ ქვეყანაში მყოფ გერმანელ სამხედრო მოსამსახურეებს ბუნდესვერის შიდა ტელეარხით (bwtv) მხოლოდ ყოველდღიური საინფორმაციო გამოშვების ნახვა შეეძლებათ.

ტელეკომპანია ARD-ში განმარტეს, რომ ავღანეთში მაუწყებლობის შეწყვეტის გადაწყვეტილება, ხარჯების შემცირების მიზნით, თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით მიიღეს. მათი თქმით, ტელეარხს თანამგზავრული ტრანსლაციის ღირებულება საკმაოდ ძვირი — თვეში 32 ათასი ევრო უჯდებოდა.

შეგახსენებთ, რომ კომპანია ARD-მა ავღანეთში მაუწყებლობა 2010 წლის ზაფხულშიც შეწყვიტა, რასაც გერმანიაში დიდი ხმაური მოჰყვა და ეს ნაბიჯი ჯარისკაცთა უფლებების დარღვევად შეფასდა. არგუმენტი მარტივი იყო — სამხედროები, რომლებიც სამსახურს ავღანეთში გადიან, ტელევიზიისა და რადიოსთვის გადასახადებს ისევე იხდიან, როგორც ამ ქვეყნის სხვა მოქალაქეები. წლის ბოლოს ტელეკომპანია დათმობაზე წავიდა და საშობაოდ ავღანეთში მაუწყებლობა აღადგინა, თუმცა როგორც აღმოჩნდა, არცთუ ხანგრძლივად.

# სწრაფმავალი ფრანგული კატამარანი



საფრანგეთის ფლოტი სადესანტო ხომალდების შეძენას გეგმავს, რომლითაც მედესანტეთა ნებისმიერი სახის ნაპირზე გადასმას შეძლებენ. პირველ ორ L-CAT-ს საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ძალები წელს, ხოლო მომდევნო ორს კი 2012 წელს მიიღებენ. კონტრაქტი 125 მლნ ევროს ღირებულებისაა და მასში დამატებით კიდევ ოთხი ხომალდი და ტექნიკური მომსახურებაა გათვალისწინებული.

L-CAT-ს უნიკალური, სადღეისოდ არსებული ყველა ხომალდისაგან განსხვავებული კონსტრუქცია აქვს. კატამარანის ორ კორპუსს შორის პლატფორმაა განთავსებული, რომელიც ლიფტის დარად ზემოთ-ქვემოთ მოძრაობს. სწორედ მოძრავი სატვირთო პლატფორმა სწრაფმავალ კატამარანს ბრტყელძირიან სადესანტო ხომალდად გარდაქმნის.

30 მეტრი სიგრძისა და 12 მეტრი სიგანის ალუმინის ორ კორპუს-ტივტივას 80 ტონა ტექნიკისა და აღჭურვილობის გადაზიდვა შეუძლია. ამასთან, L-CAT-ს დიდი ხომალდების, მაგალითად, „მისტრალის" ბორტიდან დესანტის სწრაფად გადასხმა ძალუძს.

ამ პროექტით ფრანგებს, პირველ რიგში, სწრაფმავალი სადესანტო ტრანსპორტის მიღება სურდათ და არც მოტყუვდნენ — გარდა იმისა, რომ ხომალდი ნებისმიერი სირთულის ნაპირს თავისუფლად უდგება, მაქსიმალურად დატვირთვის შემთხვევაში 18-ს, ხოლო ცარიელი კი 25 კვანძ სიჩქარეს ავითარებს.

# ტყვიაგაუმტარი ჩაფხუტები პენტაგონისთვის



აშშ-ის არმიის ჯარისკაცები 2011 წლის შემოდგომიდან ახალ პლასტიკურ ჩაფხუტებს ECH (Enhanced Combat Helmet) მიიღებენ და ეტაპობრივად მოძველებულ ACH-ს (Advanced Combat Helmet) ჩაანაცვლებენ. როგორც ამბობენ, ახალ ჩაფხუტს პირისპირ ნასროლი 7,62 მმ-იანი ტყვიის შეკავება ძალუძს.

საგულისხმოა, რომ ჩაფხუტის გამომცდელებმა ჯავშნის საიმედოობის განმსაზღვრელი პარამეტრის — გამოთვლა ვერ შეძლეს. საქმე ისაა, რომ კომპანიებმა, რომლებსაც ჩაფხუტის გამოცდა ევალებოდათ, ვერ მოიძიეს შესაბამისი კალიბრის ისეთი იარაღი, რომლის ტყვიაც ECH-ს გახვრეტდა. რაც მთავარია, ახალი ჩაფხუტის შემქმნელებმა მთავარ მოთხოვნას თავი ბრწყინვალედ გაართვეს — ECH წინამორბედზე 35 %-ით მტკიცეა.

მართალია, ახალი ჩაფხუტის სისქე ამჟამინდელისას ოდნავ აღემატება, მაგრამ ზომების მიხედვით 30-იდან 110 გრამამდე მსუბუქია. რაც შეეხება ფორმას — გარეგნულად ECH არაფრით განსხვავდება ACH-სგან, თუ არ ჩავთვლით მასალის მუქ ყავისფერ შეფერილობას.

აშშ-ის არმია ახალი ჩაფხუტის ბრძოლაში გამოცდას შემოდგომაზე გეგმავს და ამის შემდეგ შესყიდვაზე გადაწყვეტილება გაკეთდება. თითო ჩაფხუტის ღირებულება 650-იდან 750 დოლარამდეა. შედარებისთვის, მისი წინამორბედი ამერიკელ სამხედროებს 325 დოლარი უჯდებოდათ.

გარდა ახალი ჩაფხუტებისა, ამერიკელი ჯარისკაცები წელს ავღანური პირობების გათვალისწინებით შექმნილ ყელიან ახალ ფეხსაცმელსაც — Belleville 950-ს მიიღებენ. მისი ძირები მრავალშრიანია და ქვაღორღიან ნიადაგზე სიარულისთვის ამჟამინდელზე გამძლე და კომფორტულია.

# ბრიტანელი ჯარისკაცები მზეზე „დაიმუხტებიან“



დიდი ბრიტანეთის ფიზიკური კვლევებისა და გამოგონებათა ცენტრის მეცნიერები მილიონი დოლარით დაფინანსებულ ელექტროენერგიის მისაღები უნიფორმის „მზის მებრძოლის“ პროექტზე გამალებით მუშაობენ. გეგმის თანახმად, პირველი ეგზემპლარები მზად უკვე ამ წლის ბოლოსთვის უნდა იყოს.

პროექტის თანახმად, მომავლის მებრძოლის კამუფლირებული ფარაჯა დღის განმავლობაში მზის ენერგიის ათვისებასა და აკუმულირებას შეძლებს, ხოლო ღამის საათებში კი ენერგიის წყაროდ თავად ჯარისკაცის სხეულის სითბოს გამოიყენებს. ერთი სიტყვით, ბრიტანელი ჯარისკაცები „მოსიარულე ბატარეები“ გახდებიან, ამ რთული სისტემით გამომუშავებულ მუდმივ ენერგიას კი რადიოკავშირის სისტემებისა და GPS-ისთვის მოიხმარენ. რაც მთავარია, ახალი ტექნოლოგია სამხედროებს აღჭურვილობიდან აკუმულატორი ბატარეების ამოღების შესაძლებლობას მისცემს, რომელიც თანამედროვე მეომრის ისედაც მძიმე ტვირთს, კიდევ უფრო ამძიმებს.

ბრიტანელები ჯარისკაცის უნიფორმისთვის განკუთვნილი ქსოვილის ახალ ტიპზე კარგა ხანია მუშაობენ. სწორედ ამ ქსოვილის სტრუქტურაში იქნება ინტეგრირებული მაღალეფექტიანი ფოტოელემენტებისა და თერმოელექტრული ელემენტების სტრუქტურაც. ყველა სიკეთესთან ერთად, სითბოს მშთანთქმელი ქსოვილი ჯარისკაცს „უჩინარსაც“ გახდის, რადგან მის აღმოჩენას მოწინააღმდეგის ინფრაწითელი სითბური სისტემები ვეღარ შეძლებენ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კიდევ ერთი ამერიკული საბრძოლო რობოტი

შესაძლოა არც კი იცოდეთ, მაგრამ დისტანციურად მართვადი იარაღით დღეს თითქმის ყველა წამყვანი სახელმწიფო იწონებს თავს. მაგალითად, ისრაელმა უკვე შექმნა ე.წ. „ავტომატიზებული სიკვდილის ზონა“, ამერიკული ფირმა დამკვეთებს კოშკურას სთავაზობს, რომელსაც თვითდამიზნებისა და ავტომატიზებული ქვემეხიდან ცეცხლის წარმოების უნარი აქვს. ასევე ცნობილია ავტომატიზებული მეომრების შესახებაც, რომლებიც ბრძოლის ველზე განაღმვით სამუშაოებს ასრულებენ. თურმე უამრავი რობოტი თავის დროზე ერაყშიც გაიგზავნა...

რეალურ საომარ მოქმედებებში ავტომატიზებული მეომრები აქამდე ჯერ არავის უნახავს, რაც გასაკვირი არაა — თავად შემქმნელებსაც არ შეუძლიათ ასპროცენტიანი გარანტიის მოცემა, რომ ერთ დღეს, მწყობრიდან გამოსული რობოტი მტრად „თავისიანებს“ არ მოუბრუნდება.

მართალია, გარანტია არ არსებობს, მაგრამ მეცნიერებს ეს არ უშლის ხელს, ახალ-ახალ მოდელებზე იმუშაონ. აი, კიდევ ერთი მოდელი, რომელმაც ბრძოლის ველზე ცოცხალი ძალა უნდა ჩაანაცვლოს — ეს ამერიკული სისტემა „მაარსია“, რომელიც ოთხი ყუმბარმტყორცნითა და ტყვიამფრქვევითაა აღჭურვილი. მარაგში 7.62 კალიბრის 400 ვაზნას ინახავს. ამასთან ერთად, „მაარსის“ არსენალში ცრემლსადენი გაზი და კვამლმდენი ყუმბარებიც შედის.

„მაარსი“ მუხლუხებით, საკმაოდ სწრაფად გადაადგილდება, მის მართვას კი 1 კილომეტრის რადიუსში ოპერატორი დისტანციურად ახორციელებს, რომელიც ბრძოლის ველის სრულ სურათს რობოტზე დამონტაჟებული კამერებით იღებს.

# ჩელიაბინსკელი ნინძა მოქალაქეებს ხულიგნებისგან იცავს

უჩვეულო ამბავი ხდება ჩელიაბინსკში. ბოროტებასთან მებრძოლი „ბეტმენი“ და „სუპერმენი“ თუ ფანტასტიკური ჟანრის ამერიკული ფილმების პერსონაჟები არიან, ამ რუსულ ქალაქში ნამდვილი მოხალისე-გმირი გამოჩნდა და სრულიად უანგაროდ სურს, განსაცდელში ჩავარდნილ მოქალაქეებს დახმარება გაუწიოს.

ამერიკული „კოლეგებისგან“ განსხვავებით, ჩელიაბინსკელ სუპერგმირს სამოსად ნინძას შავი კოსტიუმი შეურჩევია. ის სახეშენიღბული მოქმედებს, სახელად კი „შურისმაძიებელი“ დაირქვა. „კეთილმა ნინძამ“ თავისი სამსახურის შესახებ მოსახლეობას „იუთუბიზე“ განთავსებული ვიდეომიმართვით აცნობა.

„შურისმაძიებელი“ ირწმუნება, რომ ორი შეჭირვებული ჩელიაბინსკელის დახმარება თავის აქტივში უკვე მიითვალა და პირობას დებს, რომ ქალაქის მცხოვრებლებს „ყველა ჯურის ხულიგნებისგან“ დაიცავს და მათ უსაფრთხოებაზე იზრუნებს. გმირი იმასაც ამბობს, რომ თავისი გარჯით სამართალდამცველებს ხელს არ შეუშლის და პირიქით, ბოროტმოქმედებასთან ბრძოლაში შეძლებისდაგვარად დაეხმარება.

რაც შეეხება „ჩელიაბინსკელი ნინძას“ პირად ცხოვრებას, მისი დეტალები, რა თქმა უნდა, გასაიდუმლოებულია. გმირი სოციალურ ქსელში თავის გვერდზე მხოლოდ იმას იტყობინება, რომ დღისით რიგითი მოქალაქის ცხოვრებით ცხოვრობს — დადის სამსახურში, ბოროტებასთან მებრძოლ „ნინძად“ კი ღამით გარდაიქმნება.

ჰყავს თუ არა „შურისმაძიებელს“ დამხმარეები ან მიმდევრები, უცნობია. თავად გმირთან დაკავშირებას ადგილობრივი ტელევიზიის წარმომადგენლები ეშურებიან, მაგრამ ამაოდ — „შურისმაძიებელი“ ჟურნალისტებისთვის ინტერვიუს მიცემისგან ჯერჯერობით თავს იკავებს.

# ახალი ირანული გამანადგურებელი ამერიკულს სჯობს?

ირანმა ახალი გამანადგურებლის პროექტის განხორციელებას მიჰყო ხელი, სადაც საბრძოლო თვითმფრინავის Saeqeh-ის ზოგიერთი ტექნიკური დეტალი იქნება გამოყენებული. ისლამური რესპუბლიკის ერთ-ერთი სამხედრო მაღალჩინოსნის თქმით, ამჟამად ავიაგამანადგურებელი პროექტირების სტადიაზეა.



საერთოდ, ირანელები თავიანთი სამხედრო პროდუქციის ტექნიკურ დეტალებზე დაწვრილებით არასდროს საუბრობენ და ამჯერადაც, მათი პერსპექტიული გამანადგურებლის მახასიათებლები უცნობია, თუმცა როგორც ამბობენ, ის ბევრად აჯობებს Saeqeh-ს, რომლის პირველი ესკადრილია ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში შარშან სექტემბერში მიიღეს.

არადა, ირანელ სამხედროებს თუ დავუჯერებთ, Saeqeh-ის ფრენის სიშორე 3 ათასი კმ-ია და ამ მაჩვენებლით ამერიკულ F/A-18 Hornet-ს არაფრით ჩამოუვარდება.

# წყალქვეშა ტანკი ინგლისურად



ბრიტანელმა დიზაინერმა ფილ პაულიმ წყალქვეშა ნავის დიზაინის ახალი კონცეფცია (Pathfinder) შექმნა — სუბმარინი ტანკის მუხლუხოთია აღჭურვილი, რათა მას ზღვის ფსკერზე გადაადგილება შეეძლოს.

„ტანკ-სუბმარინის“ მთელი ღირსება ისაა, რომ მას 4000 მეტრს სიღრმეზე დაძირვა და ოკეანის ფსკერზე მოძრაობა შეუძლა. მუხლუხოებიანი ნავი წყალქვეშ 2-4 კვირამდე გაძლებს. მისი შექმნის ძირითადი მიზანი კი დიდი ბრიტანეთიდან აშშ-მდე ოკეანის ფსკერის გავლით მისვლა-მოსვლაა.

პროექტის თანახმად, ნავის სიგრძე 10-15 მ, სიგანე — 2-4 მ და სიმაღლე კი — 3-5 მ იქნება. ენერგიის წყაროდ კი ბატარეების გამოყენებაა დაგეგმილი.

რაც მთავარია, მიუხედავად იმისა, რომ პაულს წყალქვეშა ტანკის შესაქმნელად არც კონკრეტული გეგმა და არც ფინანსები გააჩნია, მუხლუხოებიანი სუბმარინას იდეამ საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზღვის ფსკერზე მოსიარულე ტანკის იდეას მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებიც განიხილავდნენ და დიდ ბრიტანეთზე იერიშის მიტანას ამ გზითაც გეგმავდნენ. სხვათა შორის, თანამედროვე ტანკებიდან ზოგიერთს შეუძლია წყალში „ჩაყვინთვა“, თუმცა ატლანტიკის ოკეანის სიღრმის წნევასთან გამკლავებას ნამდვილად ვერ შეძლებენ.



# პოლიციელი ძაღლი პენსიაზე გასვლის წინადღეს დაიღუპა

პოლიციის ძაღლი სახელად ბაზი ინგლისის ქალაქ გეიტსჰედში დავალების შესრულებისას დაიღუპა. არადა, ექვსი წლის გერმანულ ნაგაზს სამსახურის დასრულებამდე და პენსიაზე გასვლამდე სულ ერთი დღეღა აშორებდა. ბაზის დაღუპვის მიზეზი კი სახლის სახურავიდან ჩამოვარდნა გახდა, რომელსაც თავს დამნაშავეები აფარებდნენ.

„ის ჩვენს საქმეში უშიშარი და ფრიად მნიშვნელოვანი პარტნიორი იყო. ბაზი არაერთხელ გამკლავებია ურთულეს ამოცანას და დასანანია, რომ სრულიად ჩვეულებრივი სამუშაოს შესრულების დროს დაიღუპა, რომლის მსგავსს ნებისმიერი საპოლიციო ძაღლი ასრულებს“, — აღნიშნა ბაზის მწვრთნელმა, რომელმაც ძაღლის სიკვდილი თავის კარიერაში ყველაზე სამწუხარო ფაქტად მოიხსენია. ბაზი ინგლისელ სამართალდამცველებს 2005 წლიდან ემსახურებოდა და როგორც წესია, თავის მწვრთნელთან ბინაში ცხოვრობდა. როგორც ეს უკანასკნელი აცხადებს, გერმანული ნაგაზი მისი ოჯახის სრულუფლებიანი წევრი იყო.

# ხაბაროვსკში ორმა რიგითმა 11 უმცროსი სერჟანტი „დააჩმორა“

ხაბაროვსკში, სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მყოფმა ორმა რიგითმა, რაოდენ დაუჯერებელიც უნდა იყოს, თავისი ნაწილის 19 ჯარისკაცი, მათგან 11 კი ჩინით უფროსი „დააჩმორა“, გალახა და გაძარცვა.

არტიშ და ჩაინა მონგუშებს, რომლებსაც მხოლოდ გვარი აქვთ ერთნაირი, წესდების დარღვევაში, უფროსებზე ძალადობისა და ძარცვაში ბრალი უკვე წაუყენეს და თავისუფლების სამ-სამი წლით აღკვეთაც მიუსაჯეს.

მონგუშები სამხედრო-სავალდებულო სამსახურს ხაბაროვსკის მხარის მოტომსროლელ ასეულში იხდიდნენ. თურმე 2010 წლის ივლისში მოგვარე ჭაბუკებს ერთად გადაუკრავთ, შებუჟბუჟებულებს კი გადაუწყვეტიათ, დანარჩენებისთვის „ჭკუა ესწავლებინათ“. რიგითმა არტიშმა და ჩაინამ „წვრთნის პროგრამის“ ჩატარება საღამო ხანს გადაწყვიტეს — ჩაამწკრივეს რვა რიგითი და თერთმეტი უმცროსი სერჟანტი, ჯერ ქამრითა და იატაკის საწმენდი ჯოხით სცემეს, შემდეგ კი იატაკიდან აჭიმვების გაკეთება უბრძანეს. მთვრალმა მონგუშებმა ჯარისკაცების „წვრთნა“ მათთვის ფულის წართმევით დაასრულეს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა ღირს დღეს ომი



**თანამედროვე შეიარაღების გამოყენება საბრძოლო მოქმედებებში დიდ ხარჯს მოითხოვს, თუმცა ომით და გაძვირებული ნავთობით რიგი ქვეყნები, მათ შორის — რუსეთი, უდიდეს მოგებას ნახულობენ ყოველდღიურად**

ლიბიის ცაში ერთი საბრძოლო დღის განმავლობაში აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალები 4 მლნ დოლარს ხარჯავდა!

ეს მართლაც წარმოუდგენლად დიდი თანხაა, რაც, ალბათ, იმის მიზეზიც შეიქნა, რომ ამერიკულმა საბრძოლო თვითმფრინავებმა ლიბიის ცაში ფრენა ორ კვირაში შეწყვიტეს.

ამ ხნის განმავლობაში კი ამერიკულმა სამხედრო ავიაციამ 75 მლნ დოლარი დახარჯა, რაც 50 მ დამრტყმელი და 39 მ კი დამხმარე (სადაზვერვო და ჰაერში საწვავით გამწყობი) თვითმფრინავის საბრძოლო მოქმედებებს დასჭირდა.

მაგრამ ეს პენტაგონის სრული ხარჯი როდია. ამერიკული საგემბანო თვითმფრინავების ასაფრენად ხმელთაშუა ზღვაში დრეიფობდა ატომური ავიამზიდი, რომლის ესკადრაში ათზე მეტი სხვადასხვა კლასისა და ტიპის საბრძოლო და დამხმარე ხომალდი შედის, რომელთაც ათასობით ტონა საწვავი სჭირდება.

ძირითადი დანახარჯი კი აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების კრეისერებიდან და ატომური წყალქვეშა ნავებიდან გაშვებულმა 199-მა ცალმა ფრთოსანმა რაკეტამ „ტომაჰავკმა" შეადგინა. თითოეული „ტომაჰავკის" ღირებულება თითქმის მილიონ დოლარს უტოლდება და იგი ლიბიის ომში გამოყენებული შეიარაღებიდან ყველაზე ძვირი სიამოვნებაა. მაგრამ სამაგიეროდ, სწორედ „ტომაჰავკებმა" გაუხსნეს გზა ლიბიის ცაში დასავლეთის ავიაციას, რადგან წერტილოვანი დარტყმებით გაანადგურეს კადაფის რეჟიმის საჰაერო თავდაცვის ობიექტები და მწყობრიდან გამოიყვანეს ძირითადი აეროდრომები.

ლიბიის ომის აქტიურ ფაზაზე, 19 მარტიდან 4 აპრილამდე, მარტო აშშ-მა ნახევარ მილიარდ დოლარზე მეტი დახარჯა, რაც მძიმე ფინანსურ ზეწოლად იქცა პენტაგონისა და მთლიანად აშშ-ის ბიუჯეტზე, იმის გათვალისწინებითაც, რომ ერაყში ჯერ კიდევ იმყოფება 50-ათასიანი ამერიკული კონტინგენტი, ხოლო ავღანეთში კი თითქმის ორჯერ მეტი.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსიდან ლიბიის ომზე ყველაზე მეტს დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ხარჯავენ, თუმცა ეს ახლოსაც ვერ მივა აშშ-ის მაჩვენებელთან.

მას შემდეგ, რაც პენტაგონი, ფაქტობრივად, გაერიდა ლიბიის ომს, ევროპული ქვეყნები ძნელად თუ შეძლებენ კიდევ დიდხანს აწარმოონ აქტიური საჰაერო ოპერაცია, რომ აღარაფერი ვთქვათ, სახმელეთო შეტევებში აჯანყებულთა დახმარებაზე.

ფინანსური პრობლემები, რა თქმა უნდა, მეორე მხარესაც, კადაფის რეჟიმსაც აქვს, რადგან საერთაშორისო სანქციების გამო იგი ვერ ყიდის ნავთობს. აქამდე შეძენილი შეიარაღებისა და ტყვია-წამლის მარაგი კადაფის რეჟიმის მომხრეებს ჯერ კიდევ მისცემს საშუალებას აწარმოოს თავდაცვითი ბრძოლები და ზოგჯერ ოპოზიციასაც შეუტიოს, მაგრამ მალე დადგება ძალების გამოფიტვის მომენტი (სტატიის დაწერის მომენტში, 11 აპრილს, კადაფი დათანხმდა აფრიკული კავშირის წინადადებას ცეცხლის შეწყვეტაზე, თუმცა უცნობი რჩებოდა აჯანყებულთა მეთაურების პოზიცია).

როდესაც ნავთობმომპოვებელ ქვეყანაში ისვრიან და ბომბები ცვივა, ამით ყოველითვის იგებენ სხვები, ისინი, ვინც ნავთობის ფასს კატასტროფულად უწევენ და უზარმაზარ მოგებას ნახულობენ.

1991 წელს ერაყში ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი" დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ ნავთობის მსოფლიო ბაზარზე ფასები მაინც ზევით ავარდა. 2003 წელს კი აშშ-ის შეჭრამ ერაყში ყველაზე მეტად, ალბათ, კრემლი გაახარა, რადგან რუსეთის ბიუჯეტში წინასწარ დაუგეგმავი მილიონები შევიდა ნავთობის ფასის გაძვირების გამო.

ასე ხდება დღესაც. ერთი მხრივ, რუსეთს გაეყინა დაახლოებით 4 მლრდ დოლარის სამხედრო კონტრაქტები ლიბიასთან, სამაგიეროდ გაძვირებული ნავთობის საშუალებით რუსეთის ბიუჯეტი ყოველდღიურად თითქმის დამატებით 100 მლნ დოლარით ივსება, რადგან მოსკოვი თავის ნავთობს დაგეგმილზე ბევრად უფრო ძვირად ყიდის მსოფლიო ბაზარზე.

**ირაკლი ალადაშვილი**




შეიარაღებული პიკაპების კოლონები ლიბიის ომის ყველაზე შესამჩნევი დეტალია

# პიკაპების ომი ლიბიის გზებზე

მეორე თვეა ლიბიის სამოქალაქო ომი გრძელდება და დამთავრებაზე პროგნოზის გაკეთება რთულია, მაგრამ ერთი რამ გარკვეულია — ქვეყნის სათავეში მუამარ კადაფი აღარ დარჩება. ასეთია 29 მარტს ლონდონში გამართული საერთაშორისო კონფერენციის 36 ქვეყნის ერთიანი გადაწყვეტილება.

პოლკოვნიკ კადაფის მსოფლიოში პოლიტიკური მხარდაჭერა პრაქტიკულად აღარ აქვს და მისი რეჟიმის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციებია შემოღებული, ხოლო ლიბიის არმიას NATO-ს, არაბულ სახელმწიფოთა ლიგისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამხედრო-საჰაერო ძალები ებრძვიან.

სამხედრო ჩარევის აუცილებლობა კი მას შემდეგ გაჩნდა, რაც კადაფის არმია ავიაციითა და მძიმე ტექნიკით შეტევაზე გადავიდა, ინიციატივა ხელში აიღო და ქალაქებზე კონტროლი ერთიმეორის მიყოლებით აღადგინა.

აჯანყებულებმა ბენღაზამდე დაიხიეს და შეიძლება ითქვას, რომ სამთავრობო ჯარები წინააღმდეგობის მთავარი კერის — ბენღაზის აღებასთან ძალიან ახლოს იყვნენ.

მაგრამ 19 მარტს მოქმედებებში ფრანგული ავიაცია ჩაერთო, ლიბიის არმიის ჯავშანკოლონები დაბომბა და ბენღაზი გადაარჩინა.

ქვეყნის საჰაერო სივრცეს ახლა კოალიციური ძალები სრულად აკონტროლებენ და კადაფის არმიას ავიაციის, ტანკების, თვითმავალი არტილერიისა თუ სხვა სახის მძიმე ტექნიკის მასობრივად გამოყენების საშუალება აღარ აქვს.

საჰაერო თავდაცვა პრაქტიკულად ნეიტრალიზებულია, მძიმე ტექნიკის გაადგილება ჰაერიდან კარგად ჩანს და მისი განადგურება ძნელი არ არის.

შესაბამისად, მძიმე ტექნიკის მნიშვნელობა შემცირდა, მაგრამ არმია შეძლებისდაგვარად მოსახერხებელ ადგილებსა და დროს აჯანყებულთა წინააღმდეგ მაინც იყენებს.

აჯანყებულთა დაქსაქსულ-არაორგანიზებული ჯგუფები ძირითადად მსუბუქი და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით არიან შეიარაღებულნი. თუმცა მათ არსენალში ტანკები, მსუბუქი ჯავშანტექნიკა, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები, საშუალო კალიბრის არტილერია და ნაღმსატყორცნებიც არის.

დაწყებულია რაზმების სამხედრო ქვედანაყოფებად ჩამოყალიბება და ამ საქმეს აჯანყებულთა მხარეს გადასული ლიბიის არმიის კადრის ოფიცრები ხელმძღვანელობენ.

გამორიცხული არ არის, ამ საქმეში დასავლეთისა და არაბული ქვეყნების სამხედრო ინსტრუქტორების მონაწილეობა.

ლიბიის სამოქალაქო ომის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი შეიარაღებული რაზმების მსუბუქი ავტომობილების კოლონებით ქალაქებისკენ მოძრაობაა. თუ სამთავრობო ძალები წინააღმდეგობას არ უწევენ, რაზმები ქალაქს იკავებენ და წინსვლას განაგრძობენ.

აჯანყებულთა მთავარ შემტევ ძალას პიკაპისძარიანი მაღალი გამავლობის, ორწამყვანხიდიანი Toyota-ს Hilux-ები და Land Cruiser-ები, Tayo-ს Grand Hiland-ები, Land Rover-ები, Ford-ები და სხვა ფირმების ავტომობილები შეადგენს.

პიკაპები ნაირ-ნაირი შეიარაღებით არის აღჭურვილი: საზენიტო ავტომატები — 23 მმ-იანი ЗУ-23-2 და 14,5



გასული საუკუნის 30-იან წლებში შექმნილი ДШК აჯანყებულებს საიმედოდ ახლაც ემსახურება

ეროვნული ბიბლიოთეკა



უმართავი საავიაციო რაკეტების გამშვები დანადგარები — აჯანყებულთა ერთ-ერთი საყვარელი საარტილერიო საშუალებაა

მმ-იანი ЗПУ-2/ЗПУ-4, ტყვიამფრქვევები — მსხვილკალიბრიანი ДШК და ერთიანი FN MAG, უკუგორებო ქვემეხები — 106 მმ-იანი M-40A1 და 84 მმ-იანი Carl Gustav M2, 107 მმ-იანი უმართავი რაკეტების გამშვები დანადგარი „ტიპი 63“, 122 მმ-იანი „გრადის“ ოთხლულიანი დანადგარი და სხვ.

თანაც ამ შეიარაღების ფართო გეოგრაფია აქვს და მოიცავს — საბჭოთა კავშირს, ჩინეთს, პაკისტანს, ბელგიას, ჩრდილოეთ კორეას, აშშ-ს, საფრანგეთს, შვეციას, ეგვიპტესა და სხვა ქვეყნებს.

დასავლეთის ქვეყნების ჩარევამდე კადაფის არმია ავიაციისა და არტილერიის დახმარებით აჯანყებულთა კოლონებს ადვილად ამარცხებდა. საცეცხლე ზემოქმედების შემდეგ კოლონები უკან იხევდნენ, იფანტებოდნენ, შემდეგ ისევ ერთიანდებოდნენ და მომდევნო შეტევისათვის სამთავრობო ჯარების პოზიციებში სუსტ ადგილებს ეძებდნენ.

ამგვარი გადაჯგუფება-გადმოჯგუფებებისათვის მსუბუქი შეიარაღებით აღჭურვილი ავტომობილები ზედგამოჭრილია და თანაც ამ მანევრებს ლიბიის გაშლილი ლანდშაფტიც ხელს უწყობს.

პიკაპების მაღალი კლირენსი, კარგი გამავლობა-მანევრულობა და სიჩქარეები ავტოკოლონებს ისეთ მობილურობას სძენს, რომ ზოგიერთმა სამხედრო სპეციალისტმა ძველი დრო გაიხსენა და მსუბუქ კავალერიას შეადარა.

ამ დროს სამთავრობო ძალები კოალიციური ავიაციის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ არის და საავიაციო დარტყმებით მისი განადგურების საფრთხეც საკმაოდ მაღალია, ამიტომ ლიბიელმა სამხედროებმა გამოსავალი სწრაფად მოძებნეს და ახალ ტაქტიკას მიმართეს.

არმიული ქვედანაყოფები ახლა პირდაპირ შეტევაზე აღარ გადადიან და საჰაერო დარტყმების თავიდან ასაცილებლად აჯანყებულთა რაზმებთან რაც შეიძლება ახლოს მისვლას ცდილობენ.

ბრძოლებში იშვიათი გამონაკლისის გარდა მძიმე ტექნიკის გამოყენებაზე უარია ნათქვამი და სამხედროები აჯანყებულებს ავტომობილებით უტევენ, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ლიბიის არმიამ ომის დაწყებამდე იორდანიული წარმოების 120 დაჯავშნული ავტომობილი NIMR-ი (4X4) მიიღო, რაც გარკვეულ უპირატესობას იძლევა.

ჰაერიდან დაპირისპირებულ მხარეთა ავტოკოლონების ერთმანეთისგან გარჩევა ძალიან რთულია და შეცდომებმაც მოიმატა, როცა მოკავშირეებმა აჯანყებულთა რაზმები შემთხვევით რამდენჯერმე დაბომბეს.

სამთავრობო ძალებისათვის კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამიზნე ავტოგასამართი სადგურებია და ამ გზით კადაფის არმიას აჯანყებულებისთვის სირთულეების შექმნა სურს.

5 აპრილს NATO-ს წარმომადგენლის ბრიგადის გენერლის მარკ ვან უმის თქმით, კადაფის სამხედრო პოტენციალის ერთი მესამედი — შეიარაღება, სამხედრო ინფრასტრუქტურა, ტექნიკა და ქონება განადგურებულია.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ აჯანყებულებს შეტევების დროს ამერიკული საცეცხლე მხარდაჭერის თვითმფრინავები AC-130 Gunship-ები ეხმარება.

ლიბიის დიქტატორთან მებრძოლი ძალებისათვის ასეთი ფართო სამხედრო-პოლიტიკური დახმარების მიუხედავად, სახმელეთო ბრძოლები გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობს და გარკვეულწილად პატური მდგომარეობა შეიმჩნევა.

საპორტო ქალაქ ბრეგასთვის მიმდინარე ბრძოლებში აჯანყებულთა ასე თუ ისე ორგანიზებული ქვედანაყოფები გამოჩნდნენ, რომლებსაც ოფიცრები ხელმძღვანელობდნენ.

კადაფის მთავრობის ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრსა და ამჟამად ოპოზიციური ძალების მთავარსარდალს, გენერალ აბდელ ფატაჰ იუნესს იმედი აქვს, რომ გარდატეხის მომენტი მალე დადგება.

**თემურ ჩახანიძე**

106 მმ-იანი უკუგორებო ქვემეხი საცეცხლე პოზიციაზე





# 1988 წელს სომხეთი ატომურ „ფუკუსიმას" ბეწვზე გადაურჩა

„არსენალის" გასულ ნომერში გამოვაქვეყნეთ სტატია „რადიაციული საფრთხე და როგორ დავიცვათ მისგან თავი?!", რომლის ავტორი გენშტაბის ყოფილი უფროსი, გენერალ-მაიორი გივი იუკურიძე იყო. ბატონმა გივიმ ამ სტატიაში ხაზი გაუსვა იმას, რომ ისევე როგორც იაპონიაში, ძლიერი მიწისძვრის შემთხვევაში სომხეთის ატომური ელექტროსადგური შესაძლოა მთელი რეგიონისთვის დიდი პრობლემა გახდეს.

რამდენიმე დღის წინ საინფორმაციო სააგენტო „ინტერფაქსს" ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის დირექტორის ყოფილმა მოადგილემ ალექსანდრე კოვალენკომ, რომელმაც პირველად ახადა ფარდა იმ დიდ საიდუმლოს, რაც სომხეთის ატომურ ელექტროსადგურს ეხება.

**მისი განცხადებით, 1988 წლის 7 დეკემბერს, როდესაც სომხეთში, სპიტაკში თითქმის 8-ბალიანი მიწისძვრა მოხდა, ქ. მეწამორთან განთავსებული ატომური ელექტროსადგური კატასტროფას ბეწვზე გადაურჩა.**

როგორც ირკვევა, ძლიერი მიწისძვრით შეშინებულმა მომსახურე პერსონალმა მაშინვე მიატოვა ატომური ელექტროსადგური და სომხეთში შეიძლება მომხდარიყო იგივე, რაც იაპონიაში — გადახურებულიყო ორივე ატომური რეაქტორი!

იაპონიაში, ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურში უდიდესი პრობლემა სწორედ იმან წარმოქმნა, რომ ექვსიდან ოთხ მომუშავე რეაქტორს ელექტროენერგიის გათიშვის გამო შეუწყვიტეს წყლის მიწოდება გაგრილების სისტემისთვის.

ალექსანდრე კოვალენკოს განცხადებით, პერსონალის მიერ მიტოვებულ სომხეთის ატომურ ელექტროსადგურზე დაიწყო რეაქტორების გადახურების საშიში პროცესი. მაშინდელი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ და სამხედროებმა სასწრაფოდ დაიწყეს სპეციალისტების მობილიზაცია მთელ კავშირში სხვადასხვა ატომურ ელექტროსადგურზე და რამდენიმე საათში თვითმფრინავებით გადაისროლეს სომხეთში.

**მიტოვებულ მეწამორის ატომურ ელექტროსადგურს სპეციალისტებმა სულზე მიუსწრეს და მაშინვე დაიწყეს ატომური რეაქტორების აქტიური ზონების გაცივებისთვის წყლის მიწოდება, რისთვისაც სახანძრო მანქანებსაც კი იყენებდნენ!**

გამოდის, 1988 წლის 7 დეკემბერს სომხეთის ატომურ ელექტროსადგურზე შეიძლებოდა ისეთივე კატასტროფა მომხდარიყო, როგორიც ჩერნობილსა და ფუკუსიმაზე!

არადა, ნუ დაგვავიწყდება, რომ მეწამორის ატომური ელექტროსადგურიდან თბილისამდე პირდაპირი ხაზით მხოლოდ 177 კმ-ია.

უფრო მეტიც, ამ მიწისძვრამდე 6 წლით ადრე, 1982 წლის 15 ოქტომბერს, სომხეთის ატომურ ელექტროსადგურში ძლიერი ხანძარი გაჩნდა, რომელმაც მნიშვნელოვნად დააზიანა სამანქანო დარბაზი (ზარალმა იმ დროს უზარმაზარი თანხა — 1 მლნ საბჭოთა მანეთი შეადგინა). ხანძრის ჩაქრობას 110 მეხანძრე 7 საათი მოუნდა. რა თქმა უნდა, ეს ინციდენტიც დამალეს.

**1988 წლის მიწისძვრის შემდეგ მოსკოვმა სომხეთის ატომური ელექტროსადგურის გაჩერების ბრძანება გასცა. 1989 წლის 18 მარტისთვის ორივე რეაქტორი გააჩერეს, მაგრამ 1995 წლის ნოემბერში უკვე დამოუკიდებელმა და ენერგეტიკულ კრიზისში მყოფმა სომხეთმა რუსეთის დახმარებით მეორე ატომური რეაქტორი აამუშავა.**

2011 წლის 4-დან 7 აპრილამდე მეწამორის ატომური ელექტროსადგური პროფილაქტიკური სამუშაოების გამო არ გამოიმუშავებდა ელექტროენერგიას. სამხრეთ კავკასიაში მომუშავე ეს ერთადერთი ატომური რეაქტორი მთელი სომხეთის ელექტროენერგიის დაახლოებით 40%-ს გამოიმუშავებს, რის გამოც ოფიციალური ერევანი არ ჩქარობს მის დახურვას.

სპეციალისტები შიშობენ, რომ კიდევ ერთ მძლავრ მიწისძვრას სომხეთის ატომურმა ელექტროსადგურმა შეიძლება ველარ გაუძლოს. თუკი, ისევე როგორც ფუკუსიმაზე, მეწამორშიც მოიშალა ატომური რეაქტორის აქტიური ზონის გაგრილების სისტემა, მისი აღდგენა ძალზე პრობლემატური იქნება, რადგან ოკეანის სანაპიროზე აშენებული ფუკუსიმას ატომური ელექტროსადგურისგან განსხვავებით, სომხეთის მთებში საჭირო რაოდენობით წყლის მარაგის მოძიება ძალზე გაჭირდება.

**ირაკლი ალადაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# BLACKSEAFOR-ის სწავლებები ქართული კატარღის მონაწილეობით




რამდენიმეწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ 2001 წლის 2 აპრილს სტამბოლში შავიზღვისპირა ექვსმა ქვეყანამ ხელი მოაწერა შეთანხმებას სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის ჯგუფის შექმნის თაობაზე.

მას შემდეგ საქართველო ამ პროგრამაში ოფიცრებითა და მცურავი საშუალებებით რეგულარულად მონაწილეობდა, ხოლო 2005-06 წლებში ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი შავიზღვისპირა ქვეყნების სახომალდო ჯგუფის სარდლის მოვალეობას ასრულებდა.

2008 წლის რუსეთის აგრესიის შემდეგ საქართველომ BLACKSEAFOR-ის პროგრამაში მცურავ საშუალებათა გაგზავნა შეაჩერა, მაგრამ შეხვედრებსა და დაგეგმვებში ქართული მხარის თანამშრომლობა გაგრძელდა.

ერთიანობისა და მეგობრობის ის სულისკვეთება, რომელიც BLACKSEAFOR-ის შექმნაში იყო ჩადებული, 2008 წელს საქართველოს სანაპირო წყლებში რუსეთის შავი ზღვის ფლოტის აგრესიამ ერთიანად დაამსხვრია.

ამჯერად ხანგრძლივი პაუზის შემდეგ საერთაშორისო სწავლებაზე საქართველომ შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვამ საპატრულო კატარღა P24 Sukhumi (მეთაური კაპიტან-ლეიტენანტი გიორგი კიკვაძე) მიავლინა.

ახალი აქტივიზაციის ფაზა (5-26 აპრილი) BLACKSEAFOR-ის შექმნის მეათე წლისთავს დაემთხვა და ამასთან დაკავშირებული ღონისძიებები 7-9 აპრილს სტამბოლში გაიმართა. მასში საქართველოდან სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორი, I რანგის კაპიტანი ბესიკ შენგელია და სხვა ოფიცრები მონაწილეობდნენ.

BLACKSEAFOR-ის მრავალეროვან სამხედრო-საზღვაო ჯგუფში თურქეთს — სარაკეტო ფრეგატი F-240 Yavuz-ი, რუმინეთს — სარაკეტო ფრეგატი F-111 Marasesti, ბულგარეთს — სარაკეტო ფრეგატი 42 Verni, საქართველოს — საპატრულო კატარღა P-24 Sukhumi, უკრაინას — მართვის ხომალდი U510 Slavutich-ი და რუსეთს — შავი ზღვის ფლოტის დიდი სადესანტო ხომალდი 156 Yamal-ი წარმოადგენენ.

თურქეთიდან ხომალდების ჯგუფი რუმინეთის სამხედრო-საზღვაო ძალების კომანდორ კონსტანტინ ჯიორობეას სარდლობით სევასტოპოლში გადავიდა, სადაც 15-19 აპრილს სწავლებების მომდევნო ეტაპი გაიმართება.

დასკვნითი ნაწილის ჩატარება ნოვოროსიისკშია დაგეგმილი, მაგრამ მასში ქართველი მეზღვაურები მონაწილეობას აღარ მიიღებენ და „სოხუმი" სევასტოპოლიდან ფოთში დაბრუნდება.

**თემურ ჩახანიძე**



სწავლებაში მონაწილე შავიზღვისპირა ქვეყნების საზღვაო ძალების წარმომადგენლები




# რუსული „ზმეი გორინიჩები“ და რა შეუძლიათ მათ ჩვენს წინააღმდეგ...

აფხაზეთის ომის დროს სოხუმის დამცველები მდ. გუმისთის მარცხენა სანაპიროზე ერთ ნისლიან დილას თითქმის დაუჯერებელი ამბის მომსწრე გახდნენ — მდინარის მეორე ნაპირიდან, სადაც მოწინააღმდეგე იყო გამაგრებული, წარმოუდგენელი შხუილით და კლაკვნით უზარმაზარი, თეთრი გველისმაგვარი არსება მოფრინავდა! მიწაზე დაცემიდან რამდენიმე წამში გამაყრუებელი აფეთქების ხმა გაისმა და ის ადგილი, სადაც გიგანტური „თეთრი გველი“ დაეცა, კვამლში გახვია.

პროფესიონალური სამხედრო ცოდნის არმქონე მოხალისეებისთვის ეს ნამდვილი საშინელება იყო, თორემ გამოცდილი მენაღმე მაშინვე მიხვდებოდა, რომ მოწინააღმდეგემ გამოიყენა დისტანციური განაღმვის საშუალება, რომელსაც საბჭოთა ჯარში „ზმეი გორინიჩს“ ეძახდნენ.

ეს სახელი მას შემთხვევით არ შერქმევია. წარმოიდგინეთ, ასიოდემეტრიანი დრეკადი მილი, რომელიც ასაფეთქებელი ნივთიერებითაა სავსე, რაკეტული ძრავა აქვს. სტარტის შემდეგ რაკეტულძრავიანი დრეკადი მილი ჰაერში იჭრება და კლაკვნით მიფრინავს. მიწაზე დაცემის შემდეგ რამდენიმე წამში ფეთქდება და ნაღმურ ველში დაახლოებით 6 მ სიგანისა და 90 მ სიგრძის მონაკვეთს „ასუფთავებს“, ანუ აფეთქებს ამ გასასვლელში ჩადებულ ნაღმებსა და ჯავშანტექნიკას და ქვეითებს საშუალებას აძლევს შეტევაზე გადავიდნენ.

იმავე სიგრძისა და სიგანის მონაკვეთი ნაღმებისგან გამნაღმველებს რომ გაეწმინდათ, რკინის წაწვეტებული საცეცი ნაღმების მოსაძებნად მიწაში 20 ათასზე მეტჯერ მაინც უნდა ჩაერჭოთ და ისიც შეიძლება მოწინააღმდეგის ცეცხლქვეშ.

1993 წლის 16 მარტს სოხუმზე შეტევისას მოწინააღმდეგეს მდ. გუმისთის მარცხენა ნაპირზე შექმნილმა ნაღმურმა ველმა დიდი დანაკარგი მიაყენა. ამ სტატიის ავტორმა, როგორც სამხედრო ჟურნალისტმა, 1992 წლის შემოდგომაზე თავად ნახა, თუ როგორ ამაგრებდნენ ქართველი მენაღმეები გუმისთის მარცხენა ნაპირს და როგორ ჩაკეტეს გუმისთის რკინიგზის ხიდი დანაღმული სარკინიგზო შემადგენლობით.

**სამ УЗ-ს ისე ამაგრებდნენ, რომ სამკუთხა სექცია შექმნილიყო და მათ შორის რაკეტულ ძრავას ათავსებდნენ**



საზოგადოდ, დანაღმვა და ნაღმური ველების შექმნა უპირველესად თავდაცვაში მყოფი ძალებისთვის არის მომგებიანი. ნაღმურ ველს გარდა პირდაპირი, ფიზიკური საფრთხისა, ფსიქოლოგიური ზემოქმედებაც შეუძლია შეტევაზე გადმოსულ მოწინააღმდეგეზე. 2008 წლის აგვისტოს ომში ქართველებს რომ მოეხერხებინათ გზების სისტემატური დანაღმვა როკის გვირაბიდან ცხინვალამდე, ან უკიდურეს შემთხვევაში, ცხინვალიდან გორისკენ მაინც, მოწინააღმდეგის გადაადგილების სიჩქარე მნიშვნელოვნად შემცირდებოდა. მართალია, რამდენჯერმე სცადეს, მაგრამ ამან ვერ შეაჩერა მოწინააღმდეგე.

დიდი ახსნა არ სჭირდება იმას, რომ დღეს თავდაცვაში მყოფი ქართული არმიისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნაღმური ველების მოწყობას და სხვა სპეციალურ ღონისძიებებს, რომლებმაც უნდა დააბრკოლონ რეალური მოწინააღმდეგე.

ამ სტატიის აზრიც ის არის, რომ მკითხველს გავაცნოთ ის რუსული გასანაღმი საშუალებები, რომლებიც მოწინააღმდეგემ შეიძლება გამოიყენოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა




**БТР-50-ის ბაზაზე შექმნილი УР-67 უკვე ამოღებულია რუსული არმიის შეიარაღებიდან**

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა არმიის საინჟინრო დანაყოფების შეიარაღებაში გამოჩნდა დაგრძელებული მუხტი **УЗ**, 1,95 მ სიგრძისა და 7 სმ დიამეტრის მილი, რომელშიც 5,2 კგ ტროტილი იყო განთავსებული.

სამ **УЗ**-ს ერთმანეთს გვერდებით ისე ამაგრებდნენ, რომ სამკუთხა სექცია გაკეთებულიყო. შემდეგ სექციებს ერთმანეთს უერთებდნენ და ასიოდე მეტრზე გადაჭიმავდნენ. აფეთქების მომენტში ერთ მეტრზე დაახლოებით 8 კგ ტროტილი დეტონირდებოდა, რაც მიწაში ჩაფლულ ტანკ და ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს აფეთქებდა.

ამ სისტემის დიდი მინუსი ის გახლდათ, რომ **УЗ-3**-ები ნაღმურ ველზე უნდა გადაეჭიმა ტრალიან ტანკს, რაც მას საუკეთესო სამიზნედ აქცევდა მოწინააღმდეგისთვის.

ამიტომაც კონსტრუქტორებმა ამ სამკუთხიან სექციებს რაკეტული ძრავები დაუყენეს. 100 მ-იან **УЗ-3**-ს 45 რაკეტული ძრავა ჰქონდა და როცა სტარტის დროს ეს უზარმაზარი მაქინა საშინელი შიშინით გველივით კლაკვნას იწყებდა, მართლაც ზედგამოჭრილი „ზმეი გორინიჩი“ იყო.

1968 წელს საბჭოთა არმია შეიარაღებაში იღებს მობილური და შეჯავშნული განაღმვის საშუალება **УР-67**-ს, რომელიც მუხლუხებიან ჯავშანტრანსპორტიორის **БТР-50**-ს ბაზაზე შეიქმნა.

ეს მოძველებული სისტემა უკვე ამოღებულია რუსული არმიის შეიარაღებიდან და ამიტომაც ყურადღებას შევაჩერებთ მის მოდერნიზებულ ვარიანტზე — **УР-77**-ზე, რომელიც სავარაუდოდ რუს სამხედროებს შემოტანილი აქვთ მე-4 და მე-7 საოკუპაციო ბაზებში ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში.

**УР-77 Метеорит**-ი 122 მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცა **2С1 Гвоздика**-ს ბაზაზეა შექმნილი. წინა მარჯვენა მხარეს განთავსებული დიზელის ძრავას გამო, გამოთავისუფლდა ადგილი მანქანის შუა და უკანა ნაწილში, სადაც დამონტაჟდა ორი მოწყობილობა **УЗП-77** და ორი რაკეტა **ДМ-140**.

**УЗП-77** დეტონირებადი ასიოდე მეტრი სიგრძის კაბელია, რომელსაც სტარტაღებული რაკეტა წინ ექაჩება.

განაღმვის მობილური დანადგარი **УР-77** ფრონტის ხაზს 200-500 მ დისტანციაზე უახლოვდება, ჩერდება, მაღლა იხსნება ჯავშნიანი ხუფი, საიდანაც სტარტს იღებს რაკეტა მასზე გამობმული დეტონირებადი კაბელით. განსაზღვრულ მანძილზე ფრენის შემდეგ სპეციალური სამუხრუჭე ბაგირი, რომელიც მანქანაზეა დამაგრებული, წყვეტს რაკეტის შემდგომ ფრენას და დეტონირებადი კაბელი მიწაზე ეცემა. ამის შემდეგ მძღოლ-მექანიკოსი მანქანას უკან ძრავს, რათა დაიჭიმოს დეტონირებადი კაბელი, რის შემდეგაც ხდება კაბელის დეტონირება, რომელიც ნაღმურ ველში 93 მ სიგრძისა და 6 მ სიგანის გასასვლელს აკეთებს. მთელ ამ პროცედურას 3-5 წთ სჭირდება, რაც მოწინააღმდეგისათვის მოულოდნელობის დიდ ეფექტს შეიცავს.

**УР-77**-ზე დამონტაჟებულია ორი **УЗП-77** და მათი საშუალებით ათიოდე წუთში ნაღმურ ველში შეიძლება შეიქმნას საჭირო სიგრძისა და სიგანის გასასვლელი, რომელიც საკმარისი იქნება ტანკებისა და ქვეითების შეტევაზე გადასასვლელად.

ფრონტის ხაზის იმ მონაკვეთზე, სადაც სრულიად შეუძლებელია საბრძოლო მანქანის მიახლოება, იყენებენ განაღმვის გადასატან დანადგარ **УР-83П**-ს. სატვირთო მანქანით დანიშნულების ადგილამდე რაც შეიძლება ახლოს მიტანის შემდეგ, მას მიწაზე ამონტაჟებენ და ნიღბავენ.

აფხაზეთის ომის იმ ეპიზოდში, რომლითაც დავიწყეთ ეს სტატია, მოწინააღმდეგემ, სავარაუდოდ, სწორედ გადასატანი **УР-83П** გამოიყენა.

დეტონირებადი კაბელის აფეთქების შემდგომ აფეთქების ტალღა მოქმედებს

**ჩვენი დოსიე:** УР-77 14,1 ტ-ს იწონის. მასზე დამონტაჟებულია УЗП-77-ის ტიპი ორი გასანაღმი მოწყობილობა. დეტონირებადი კაბელის სიგრძე 93 მ-ია და მასში 1069 კგ ასაფეთქებელი ნივთიერებაა მოთავსებული. აფეთქების შემდეგ ნაღმურ ველზე ის 80-90 მ სიგრძისა და 6 მ სიგანის გასასვლელს აკეთებს.





**ჩვენი დოსიე:** გადასატანი УР-83П-ს მასა 1810 კგ-ია, დეტონირებადი კაბელის სიგრძე — 120 მ და მასში 1380 კგ ასაფეთქებელი ნივთიერებაა მოთავსებული. კაბელის დეტონირების შედეგად ნაღმურ ველზე 115 მ-მდე სიგრძისა და 6 მ-მდე სიგანის გასასვლელი კეთდება

მიწაში ჩადებულ ან მიწაზე დაწყობილ ტანკ და ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების ამფეთქებლებზე და მათ ინიცირებას იწვევს.

თუმცა განაღმვის 100%-იან გარანტიას არც УР-83П და არც УР-77 იძლევა. დეტონირებადი კაბელის აფეთქების შემდგომ ხშირად აუფეთქებელი რჩება ორმაგი დაწოლის ამფეთქიანი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები (მაგალითად, საბჭოთა ТМ-62, რომელსაც МВД-62 ტიპის ამფეთქი აქვს) და ის ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები, რომელთა ამფეთქები გაბმული მავთულის დაჭიმვის პრინციპით ფეთქდება (მაგალითად, ОЗМ-72).

დეტონირებადი კაბელის აფეთქებაზე ასევე ნაკლებად რეაგირებს მაგნიტური სეისმური და ინფრაწითელი ამფეთქებლებით აღჭურვილი ნაღმები, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ასეთი სახის ამფეთქებიანი ნაღმები საკმაოდ ძვირი ღირს და მოწინააღმდეგე მხარეები უფრო იაფ ტანკ და ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს იყენებენ, რომელთა ამფეთქები სიმძიმის დაწოლით ფეთქდებიან.

ნაღმები თავდაცვის შედარებით იაფი და ამასთან, ეფექტური საშუალებაა და მათი გაუვნებლება მოწინააღმდეგეს შეტევის სიჩქარეს აკარგვინებს.

იმედია, ქართულ მხარეს გათვალისწინებული აქვს ეს ფაქტორი იმ შემთხვევისთვის, თუკი რუსეთის საოკუპაციო ძალებმა დამხმარე დანაყოფებთან ერთად სამხედრო აგრესიის განახლება გადაწყვიტეს და საქართველოს დედაქალაქზე სხვადასხვა მიმართულებიდან სცადეს იერიშის მიტანა.

ჩვენ მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ შეტევაზე გადმოსული მოწინააღმდეგე აუცილებლად ეცდება УР-77 და УР-83П ტიპის განაღმვის იმ საშუალებების გამოყენებას, რომლებზეც ჩვენს ქვეით ბრიგადებში წარმოდგენა ნაკლებად აქვთ.

**P.S.** აგვისტოს ომამდე ქართული არმიის შეიარაღებაშიც გამოჩნდა ანალოგიური პრინციპით მოქმედი განაღმვის საშუალება, რომელიც ერთ-ერთმა მეგობრულად განწყობილი ქვეყნის ხელისუფლებამ მოგვყიდა. თუმცა არ არსებობს ინფორმაცია ამ დანადგარების ომის დროს გამოყენების შესახებ. ასევე უცნობია, გააყოლეს თუ არა ისინი ხელს რუსულმა საოკუპაციო ძალებმა გორის სატანკო ნაწილიდან ან სენაკის სამხედრო ბაზიდან.

***ირაკლი ალადაშვილი***


თემატური წიგნები
ჟურნალ „ოჯახის მკურნალთან" ერთად




სერიის მომდევნო თემები:
№3 ყველაფერი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შესახებ
№4 ყველაფერი ალერგიის შესახებ
№5 ყველაფერი სტენოკარდიისა და ინფარქტის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკრაინა უპილოტოების ბაზარზე გადის...



P-600: ფრენის ხანგრძლივობა — 5 სთ, სასარგებლო დატვირთვა — 3-10 კგ, სიჩქარე — 70-200 კმ/სთ-ში, მაქსიმალური სასარგებლო დატვირთვა — 50 კგ, ფრენის მაქსიმალური სიმაღლე — 3000 მ, ფრენის ხანგრძლივობა — 10 სთ

**ჟურნალ „არსენალს“ ჩვენი ქვეყნის ფარგლებგარეთაც იცნობენ და კითხულობენ. ცოტა ხნის წინ უკრაინიდან მივიღეთ პატარა წერილი, რომლის ავტორიც უკრაინული წარმოების უპილოტო საფრენ აპარატებზე თავის მოსაზრებებს გამოთქვამს, რომელიც შეიძლება საკამათოც იყოს.**

ახალი წელი უკრაინაში სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის რევიზიითა და მასშტაბური რეორგანიზაციით დაიწყო. ამჟამად მისი განვითარების პერსპექტივა ინტენსიურად განიხილება.

დეკემბრის ბოლო დღეებში უკრაინის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებულებებს „უკრაინის საავიაციო მრეწველობის საქმიანობის ეფექტურობის ასამაღლებელ ღონისძიებებსა“ და სახელმწიფო კონცერნ „უკრობორონპრომის“ შექმნაზე, რომლის სტრუქტურა და შემადგენლობა გაზაფხულზე დამტკიცდება.

საყურადღებოა უკრაინის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ერთი „პოტენციური“ ნაწილი, რომელიც უპილოტო საფრენ აპარატებთან არის დაკავშირებული.

ექსპერტთა პროგნოზით უპილოტო საფრენი აპარატების მსოფლიო ბაზარი უახლოეს 4-5 წელიწადში 16 მლრდ დოლარს მიაღწევს. ეს ციფრი მოიცავს ყველა უპილოტო საფრენი აპარატის, მართვის აპარატურისა და აღჭურვილობის ღირებულებას, რომელიც 2015 წლამდე უნდა დამზადდეს.

ასეთი აპარატებით დაინტერესება ერაყსა და ავღანეთში გამოყენების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა.

დღეს მსოფლიოში ხელით გასაშვები აპარატების რაოდენობა უზარმაზარი ტემპით მატულობს. აშშ სწრაფად აფართოებს ამგვარი აპარატების პარკს. იგივე ტენდენცია შეიმჩნევა ევროპაში, მაგრამ მისი ფინანსური შესაძლებლობები ამ მხრივ შეზღუდულია. ამჟამად ევროპული კომპანიები ბაზრის ნაკლებ ნაწილს აკონტროლებენ, მაგრამ ახალი კონტრაქტების ხელმოწერასთან ერთად ეს ნაწილი მოიმატებს.

ისრაელის უპილოტოებს მთელ მსოფლიოში იყენებენ. შეკვეთები გადასატან საფრენ აპარატ Skylark-ზე ავსტრალიიდან დაწყებული კანადამდე, მრავალი ქვეყნიდან მოდის. ისრაელი უპილოტოებით მსოფლიო ბაზარზე ერთ-ერთი პირველი შემოვიდა, ამიტომაც ხარისხისა და საიმედოობის ეტალონად ითვლება.

მაგრამ ისრაელის წარმოების აპარატების სანდოობა ნელ-ნელა ქვეითდება. მაგალითად, მხოლოდ 2009 წლის ბოლოს მოხერხდა ტექნიკური პრობლემის დაძლევა, რომლის გამოც თურქეთისათვის უპილოტოების მიწოდებამ ორი წლით დაიგვიანა.

ასეთი სიტუაცია ისრაელისთვის ახალი არ არის. პრობლემა კი შემდეგშია: არის დიდი კაპიტალდაბანდება, მაგრამ არ არის ის „აპრგეიდი“, რომელიც ქვეყნებს ასე იზიდავს. არ იქნება განვითარება, სრულყოფა — არ იქნება მოთხოვნაც. ასეთია ცხოვრებისეული აქსიომა.

უკრაინაში უპილოტო საფრენი აპარატების პროექტირება-დამუშავებით დაკავებულია შპს „იუავია“, ხარკოვის შპს „სამოქალაქო პროექტების საკვლევი ცენტრი“, უკრაინის თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო საწარმო „ჩუგუ-



ევსკის საავიაციო სარემონტო ქარხანა“ და სხვ.

უკრაინაში შექმნილი უპილოტოების პროექტები და საცდელი ნიმუშები მახასიათებლებითა და ხარისხით უცხოურ ანალოგებზე ერთი თავით მაღლა დგას.

უპილოტო აპარატების უკრაინულ საწარმოთა დათვალიერების შემდეგ დამოუკიდებელმა ამერიკელმა ექსპერტებმა უკრაინული წარმოების („პროექტი 21“-ის, Сова-ს, Стрепет-სა და MRS P-100) უპილოტოების ისრაელის ანალოგებზე უკეთესი აეროდინამიკური სრულყოფის დონე აღნიშნეს. ამ დროს ისრაელურ აპარატთა შესაძლებლობები ბევრად დაბალია, ხოლო ფასები კი — გაცილებით მაღალი.

უპილოტოებზე მომუშავე ამერიკელი, ისრაელელი თუ ევროპული სპეციალისტები უკრაინული პროექტების შეფასებისას გაკვირვებას ვერ ფარავდნენ და აღფრთოვანებულ კომენტარებს აკეთებდნენ.



P-100: ფრენის ხანგრძლივობა — 2-4 სთ, სასარგებლო დატვირთვა — 3-10 კგ, სიჩქარე — 45-400 კმ/სთ-ში, მაქსიმალური საფრენოსნო მასა — 14-35 კგ, ფრენის მაქსიმალური სიმაღლე — 2500-5000 მ



Синица А-2Ж მაქსიმალური საფრენოსნო მასა — 5,0 კგ, მაქსიმალური სასარგებლო დატვირთვა — 1,0 კგ, სიჩქარე — 30-80 კმ/სთ-ში, ფრენის ხანგრძლივობა — 1,0 სთ, სამოქმედო რადიუსი — 20,0 კმ

დაუჯერებელია, მაგრამ უკრაინას მზად აქვს მაღალხარისხოვანი უპილოტო საავიაციო ტექნიკის პროდუქცია, რომელიც მსოფლიო ანალოგებს ტოლს არ უდებს.

მაგრამ არის პრობლემებიც. კომპეტენტურ პირთა თქმით, გადაწყვეტილი არ არის არხებისთვის სიხშირეთა გამოყოფა ვიდეოგამოსახულებათა გადაცემისა და მართვისთვის, არ არის უპილოტოების გამოყენებისათვის საჭირო სპეციალისტთა მომზადების სისტემა.

გარდა ამისა, აუცილებელია გაყიდვის შემდგომი მომსახურების, ლოჯისტიკისა და სარემონტო სისტემის შექმნა.

უცხოური წარმოების უპილოტოების შესყიდვაზე ოფიციალური კიევის საუბარი იმდენად აბსურდულია, როგორც მსოფლიო მწარმოებელთა მიერ თავიანთი პროდუქციის „საიმედოობისა და ხარისხის“ სტერეოტიპად წარმოდგენა. ზოგიერთი მაკომპლექტებლის შესყიდვა მართლაც აუცილებელია, ეს უდავოა, მაგრამ უკრაინელ მწარმოებელთა უპილოტოები ნამდვილად არ არის „ჟანგიანი“.

**ვლადიმირ ხლობჩაკი**

*უკრაინის არმიის, კონვერსიისა და განიარაღების ცენტრის Defense Express-ის თანამშრომელი*

Ремез-3Ж საფრენოსნო მასა — 10 კგ, მაქსიმალური სასარგებლო დატვირთვა — 3,0 კგ, სიჩქარე — 58-100 კმ/სთ-ში, ფრენის ხანგრძლივობა — 2,0 სთ, სამოქმედო რადიუსი — 5-20 კმ



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფინეთი კა-გე-ბეს არქივებში



საბჭოთა იმპერიის არსებობის მანძილზე მსოფლიოში თითქმის არ დარჩენილა ქვეყანა, სადაც საბჭოთა სადაზვერვო ქსელს ფეხი არ გაედგა და არ გაეკონტროლებინა ამ ქვეყნის პოლიტიკური ელიტა, სამხედრო და სპეცსამსახურების მაღალჩინოსნები, ბიზნესმენები, ხელოვნებისა და მეცნიერების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ადრე საბჭოთა კავშირის, ამჟამად კი რუსეთის მეზობელი ქვეყნები, თავბედს იწყევლიან, ეჰ, რატომაა ღმერთი ასე შორს, რუსეთი კი ასე ახლოსო. იმპერიული ამბიციების გამო ამ უზარმაზარი სახელმწიფოს მეზობლებს ყოველთვის ანექსია ემუქრებოდა. საქართველოსი არ იყოს, ერთ-ერთი ასეთი „მუდმივად განწირული“ ქვეყანა ფინეთი იყო.

**„სრულიად საიდუმლო“**
**სტ241/188 გს**
**16.XII. 1980.**
**„მოინახულეთ ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე კ. სორსა და ზეპირი ფორმით, სკკპ ცკ-ის სახელით მიულოცეთ დაბადების ორმოცდაათი წლის იუბილე.**
**უსურვეთ ჯანმრთელობა... აგრეთვე სკკპ-ისა და პირადად მას შორის დამყარებული ნაყოფიერი კონტაქტების გაგრძელება. სკკპ ცკ-ს სახელით გადაეცით საჩუქარი.**
**შესრულება გვიდეპეშეთ“.**

ასეთი, სრულიად საიდუმლო დავალება მიიღო 1980 წლის 16 დეკემბერს ფინეთში საბჭოთა კავშირის ელჩმა ვლადიმირ სობოლევმა (1924-2010 წწ.) და დაუყოვნებლივაც შეასრულა. ისიც უნდა ითქვას, რომ საბჭოთა პოლიტბიურო ელჩის დონეს არ დასჯერდა და დაბადების დღის მისალოცად ჰელსინკიში პარტიული ფუნქციონერი ლეონიდ ზამიატინიც მიავლინა.

საინტერესოა, ვინ იყო კალევე სორსა, რომლის იუბილეც ასე აღელვებდათ საბჭოთა ლიდერებს? სორსა ოთხჯერ იყო არჩეული ფინეთის პრემიერ-მინისტრის პოსტზე (უკანასკნელად 1982-1987 წლებში), იყო ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ხოლო როდესაც 1980 წლის 21 დეკემბერს მას 50 წელი შეუსრულდა, სორსა ევროპაში უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური გაერთიანების — სოცინტერნის თანათავმჯდომარე გახლდათ.

„სორსა თანამიმდევრულად ატარებს სსრკ-ადმი მეგობრულ პოლიტიკას... საერთაშორისო არენაზე, უპირველესად კი სოციალისტურ ინტერნაციონალში. სორსა სანდოდ თანამშრომლობს ჩვენთან“, — ნათქვამი იყო მეორე სრულიად საიდუმლო დოკუმენტში.

ამიტომაც „ზრუნავდნენ“ ფინელ პოლიტიკოსზე.

## რა საერთოა ფინეთსა და საქართველოს შორის?

1917 წელს, რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, ფინეთი დამოუკიდებელი და იმავდროულად საბჭოთა სპეცსამსახურების სამიზნე გახდა. ძერჟინსკის დროიდან მრავალრიცხოვანი საბჭოთა აგენტურა ფინეთის ფარული გაკონტროლებისთვის იბრძოდა.

1938 წლის აპრილიდან სტალინის მთავარი მოთხოვნა საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზღვრის ფინეთის ტერიტორიის სიღრმეში გადაწევა იყო. გრძნობდა რა გერმანიასთან ომის მოახლოებას, საბჭოთა დიქტატორს სურდა ლენინგრადისთვის აეცილებინა პირდაპირი დარტყმის საფრთხე.



წითელი არმია ფინეთის ტერიტორიაზე 1939 წლის 30 ნოემბერს შეიჭრა

სტალინს ეკუთვნის ერთი მარტივი და ამავე დროს მრავალი ადამიანისთვის საბედისწერო ფრაზა: „ჩვენ გეოგრაფიის წინაშე უძლურნი ვართ, რადგანაც ლენინგრადის გადაადგილება შეუძლებელია, მაშინ მოგვიწევს ჩვენი საზღვარი გადავწიოთ ფინეთის ტერიტორიაზე“.

მაშინ საბჭოთა აგენტურას ფინეთში გადამწყვეტი პოზიციები არ ეკავა და ამ ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაზე ზემოქმედებას ვერ ახდენდა, ხოლო ტერიტორიის დათმობაზე ან თუნდაც გაცვლაზე უარი მიიღო.



„სტალინის შევარდნები“ უმოწყალოდ ბომბავდნენ ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკს

## სტალინი — ფინეთის „დემოკრატიის მამა“

ამ პერიოდისათვის საბჭოთა კავშირს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში 40-ზე მეტი რეზიდენტურა ჰქონდა. ფინეთის რეზიდენტურა თანდათან ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი გახდა. თავდაპირველად სტალინმა ფინეთის ტერიტორიის ნაწილის ანექსია და ქვეყნის თავისი გავლენის ქვეშ მოქცევა ფარული მოლაპარაკებითა და სპეცსამსახურების ძალების გამოყენებით მოინდომა. თითქოს საქმე კარგად მიდიოდა – 1938 წლის 7 აპრილს კრემლში საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელები დაიბარა, ინსტრუქტაჟი ჩაუტარა, ფულიც არ დაიშურა: მისი დავალებით 10 მილიონი ფინური მარკა (დაახლოებით ორასი ათასი დოლარი, რაც იმ დროისათვის ძალზე დიდი ფული იყო), სულ ტკიცინა კუპიურები გადასცეს დაზვერვის რეზიდენტ ბორის რიბკინს.

**მცირე დოსიე: პოლკოვნიკი რიბკინი ბორის არკადის ძე (1899-1947), ნამდვილი გვარი-სახელი ბორის არონის ძე როვკინი კომერსანტის ოჯახში დაიბადა. თავიდან თვითონაც კომერციას მიჰყო ხელი, მაგრამ 1921 წელს რადიკალურად შეცვალა გეგმები და „წითელ არმიაში“ ჩაირიცხა. ორი წლის შემდეგ დაიწყო მისი, როგორც ჩეკისტის კარიერა. 1931 წლიდან არალეგალურ ოპერატიულ-აგენტურულ მუშაობას ეწეოდა ირანში, საფრანგეთში, ბულგარეთსა და ავსტრიაში. 1935 წლის 25 სექტემბერს, დიპლომატი მუშაკის საფარქვეშ, ბორის იარცევის (ოპერატიული ფსევდონიმი „კინი“) გვარით, ფინეთში საბჭოთა დაზვერვის ლეგალურ რეზიდენტად დაინიშნა. 1939 წლის ოქტომბერში დააბრუნეს მოსკოვში. მუშაობდა „ცენტრში“. 1941 წლის სექტემბერში დაინიშნა შვედეთში საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტად. 1943-1945 წლებში კურირებდა არალეგალური აგენტურული ქსელის შექმნას აღმოსავლეთ ევროპაში. 1947 წლის თებერვლიდან გენერალ სუდოპლატოვის ხელმძღვანელობით გეგმავდა და ატარებდა სადაზვერვო-დივერსიულ (მათ შორის — არაერთ პოლიტიკურ მკვლელობას) ოპერაციებს. ოფიციალური ინფორმაციით, ბორის რიბკინი იმავე წლის 27 ნოემბერს ჩეხოსლოვაკიაში, პრაღასთან ახლოს ავტოკატასტროფაში დაიღუპა. გავრცელებული ვერსიით, რომელსაც მისი მეუღლე, ასევე კა-გე-ბეს პოლკოვნიკი ზოია რიბკინა-ვოსკრესენსკაია იზიარებდა, ბევრი საიდუმლო ოპერაციის დეტალების ცოდნის გამო ბორის რიბკინი თვით საბჭოთა დაზვერვამ მოიცილა თავიდან.**

სტალინი რიბკინს პირადად შეხვდა და დაწვრილებით აუხსნა(!), ძველი აგენტურიდან ფული ვისთვის და რამდენი უნდა გადაეცა, თან ახალი გეგმებიც დაუსახა. სტალინის ჩანაფიქრით ამ ფულით ფინეთში ახალი, ყველაზე „დემოკრატიული“ (ანუ რეალურად ყველაზე პროსაბჭოთა), „წვრილ მესაკუთრეთა პარტია“ უნდა შეექმნათ, რომელიც პარლამენტში გამარჯვების შემთხვევაში პროსაბჭოურ პოლიტიკას გაატარებდა. ოპერაციაში მნიშვნელოვან როლს ძველი აგენტურა თამაშობდა.

საბჭოთა კავშირს ფინეთში აგენტები გასული საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისიდან ჰყავდა. მათგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მწერალი და დრამატურგი ჰელა მურიკი-ვუიოლიიოკი იყო.

**მცირე დოსიე: ჰელა მურიკს (1886-1954წწ.), წარმოშობით ესტონელს, ფინელი მეუღლე, გვარად სულო ვუიოლიიოკი ჰყავდა და ისტორიაშიც ამ გვარით შევიდა. განათლებით ფილოსოფიის მაგისტრი თავდაპირველად ხეტყის ბიზნესით იყო დაკავებული, მერე კი ლიტერატურულ საქმიანობას მიჰყო ხელი. იყო მრავალი პიესისა და მოთხრობის ავტორი. ესტონურის გარდა, კარგად იცოდა რუსული, გერმანული, ფინური და შვედური ენები.**

**ჰელა საბჭოთა დაზვერვასთან თანამშრომლობდა 20-იანი წლებიდან (ოპერატიული ფსევდონიმი „პოეტი“). მისი ოპერატორი ჰელსინკისა და სტოკჰოლმის რეზიდენტურებში იყო ზოია რიბკინა-ვოსკრესენსკაია. „პოეტის“ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ფინეთის პოლიტიკურ ელიტაში, ინტელიგენციასა და ბიზნესმენებში საბჭოთა დაზვერვისთვის შესაფერისი კანდიდატების შერჩევა, პოტენციური აგენტების „დავერბოვკება“, მათზე მაქსიმალური ინფორმაციის (უპირველესად ნეგატიურის) მოგროვება და გადმობირებაში საბჭოთა რეზიდენტების დახმარება.**

სპეცსამსახურების ტერმინოლოგიით ის მაღალი დონის „ნავოდჩიცა“ იყო. თუმცა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, როცა მეტად

ეროვნული ბიბლიოთეკა



წითელარმიელები ნაალაფარ ფინურ დროშას ათვალიერებენ

მნიშვნელოვან პოსტებზე (იყო ფინეთის რადიოკომიტეტის თავმჯდომარე, პარლამენტის დეპუტატი) მუშაობდა, „პოეტი“, რომელიც საბჭოთა დაზვერვაში ჯერ აგენტ-ინფორმატორი, შემდეგ კი „ნავოდჩიცა“ იყო, უკვე იმდენად „გაიზარდა“, რომ კლასიკურ „გავლენის აგენტად“ მოგვევლინა. მან დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა „ატომურ პროექტშიც“. კერძოდ, ის აქტიურად უწევდა აგიტაციას ცნობილ ფიზიკოსებს – ნილს ბორსა და ელიზავეტა შეიტნერს, რათა მათ საბჭოთა კავშირისთვის ატომური იარაღის შექმნის საიდუმლო დოკუმენტაცია გადაეცათ.

რიბკინი ფინეთში 1938 წლის აპრილის ბოლოს დაბრუნდა და სტალინის სრულიად საიდუმლო დავალების შესასრულებლად ყველაფერი იღონა. ის საბჭოთა მთავრობის სახელით აწარმოებდა ფარულ მოლაპარაკებებს, რომლებიც იმდენად საიდუმლოდ მიმდინარეობდა, რომ ფინეთში საბჭოთა ელჩი დერევიანკოც კი არ იყო ინფორმირებული.

ფინეთის პოლიტიკური პარტიებიდან საბჭოთა დაზვერვას ყველაზე მყარი პოზიცია ძალზე ძლიერ „აგრარულ პარტიაში“ ჰქონდა. რიბკინი „გავლენის აგენტების“ ამოქმედებით სასურველი შედეგის მიღწევას ცდილობდა. უპირველესად ეს იყო ცნობილი პოლიტიკოსი და მომავალი პრემიერ-მინისტრი მაუნო პეკალა (1890-1952 წწ.), მაგრამ ფინეთის ხელისუფლების, უპირველესად კი არმიის მთავარსარდლისა და შემდგომში პრეზიდენტის, მარშალ კარლ გუსტავ მანერჰაიმის (1867-1951 წწ.) აშკარად გამოკვეთილი პატრიოტული და ანტისაბჭოთა პოლიტიკის შეცვლა ვერ მოახერხა. მანერჰაიმზე ფარული ოპერატიულ-აგენტურული კომბინაციებით ზემოქმედების მცდელობამაც ნაყოფი არ გამოიღო. ფაქტობრივად, იმ ეტაპზე რიბკინის მისია კრახით დასრულდა. ფინელების დასაშინებლად სწორედ მაშინ წარმოთქვა სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მოლოტოვმა „დაუვიწყარი“ ფრაზა: „სამოქალაქო პირებმა ვერაფერს მივაღწიეთ, ახლა კი სამხედროების ჯერია, მათ სცადონ“.

1939 წლის ოქტომბრის ბოლოს რიბკინი მოსკოვში დააბრუნეს და მის მაგივრად რეზიდენტად ელისეი სინიცინი (ფსევდონიმი „ელისეევი“) დანიშნეს.

**მცირე დოსიე: გენერალ-მაიორი სინიცინმა (1909-1995), საგარეო დაზვერვაში სამსახური 1938 წ. დაიწყო იყო რეზიდენტი: ფინეთში (1939-1944), შვედეთსა (1944-1945) და ბერლინში (1950-1952). კა-გე-ბეს წარმომადგენელი უნგრეთში (1953-1956), პოლონეთსა (1962-1967) და ჩეხოსლოვაკიაში (1970-1981). საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვის უფროსის პირველი მოადგილე (1969-1970) წლებში. 1981 წლიდან გავიდა პენსიაზე.**

ნოემბრის დასაწყისში სინიცინი უკვე ჰელსინკიში იყო და სასწრაფოდ განაახლა კავშირები ფინეთის პოლიტელიტაში შემავალ საბჭოთა აგენტებთან: „გრაფსა“ და „ანასთან“, მაგრამ იმ ჯერზე მას დიდხანს არ მოუწია ფინეთში ყოფნამ. იმავე წლის 25 ნოემბერს ის მოსკოვში გამოიძახეს. ჯერ მოლოტოვმა და ბერიამ გამოჰკითხეს ფინეთში შექმნილი მდგომარეობა, ხოლო საღამოს კი „ელისეევი“ კრემლში სტალინთან წაიყვანეს.

ბევრ ახალ ინფორმაციას შორის, რომელიც დაზვერვის რეზიდენტმა სტალინს მოახსენა, ჩვენს ყურადღებას ორი იქცევს: აღმოჩნდა, რომ ფინეთის არმია ომისთვის ემზადებოდა და იარაღდებოდა იმ დროისათვის საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის სრულიად უცნობი ახალი ავტომატური იარაღით, რომელსაც ფინებმა „სუომი“ შეარქვეს. საბჭოთა დაზვერვამ შეძლო სადაზვერვო-ოპერატიული გზებით ამ ავტომატის ხელში ჩაგდება და მოსკოვში ჩამოტანა. შემდეგ კი მისი საბრძოლო-ტექნიკური მახასიათებლები გასაოცარი სისწრაფით „აღმოაჩნდა“ საბჭოთა შეიარაღებაში მიღებულ „პპშ“-ს.

მეორე ინფორმაცია კურიოზული იყო — ხორბლის ცუდი მოსავლის გამო ფინელები საბარათო სისტემაზე გადასულან, მაგრამ 1 კგ პურის ნაც-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლად შეეძლოთ მიეღოთ ერთი ლიტრი... ლუდი ან 150 გ ყავა.

პოლიტბიუროს სხდომის დასრულების შემდეგ სინიცინ-ელისეევს ბერიას კაბინეტში სსრკ-ის ფინანსთა მინისტრმა ბულგანინმა გადასცა 10 მლნ ფინური მარკა, რომელიც ოპერატიული მიზნებისთვის (სანდო პირების და გავლენის აგენტების დასაფინანსებლად) იყო განკუთვნილი. გაცილებით მეტი თანხა მიიღო „კომინტერნის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ეროვნებით ფინელმა ოტო კუუსინენმა, რომელსაც სტალინმა განსაკუთრებული დავალება მისცა.



1939-1940 წწ-ების ომით სტალინმა საბჭოთა კავშირს ფინეთის ტერიტორიის 11%-ი მიუერთა...

1939 წლის 30 ნოემბერს საბჭოთა არმია ფინეთის ტერიტორიაზე შეიჭრა და ფართომასშტაბიანი ომი დაიწყო. სტალინმა გადაწყვიტა ფინეთი ორად გაეხლიჩა და წითელი არმიის მიერ აღებულ პირველივე ფინურ ქალაქ ტერიოკში კუუსინენის ხელმძღვანელობით მარიონეტული „ფინეთის დემოკრატიული რესპუბლიკა“ შექმნა.

მოსკოვიდან ჩასულმა „ფინეთის“ ახალმა „მთავრობამ“ დიდი გულუხვობა გამოიჩინა და 2 დეკემბერს გაფორმებული სეპარატისტული ხელშეკრულებით საბჭოთა კავშირს ფინეთის სტრატეგიული ტერიტორიები გადასცა(?!). სამაგიეროდ, სტალინმა „ახალ დემოკრატიულ რესპუბლიკას“ მძიმე შეიარაღება და ორი დივიზია „უფეშქაშა“.

ამ დაუფარავი აგრესიის ფაქტმა სხვა ქვეყნების იმდენად მკვეთრი რეაქცია გამოიწვია, რომ საბჭოთა კავშირი ერთა ლიგიდან გარიცხეს. მოსკოვი კი მაინც თავს იმართლებდა: „რა ჩვენი ბრალია, ფინეთში სამოქალაქო ომი დაიწყოო“.

**აი, საიდან სესხულობენ დღეს აფხაზი და ოსი სეპარატისტების მხარდაჭერის „ჭკვიანურ“ იდეებსა და გეგმებს რუსეთის სპეცსამსახურები.**

წითელი არმია ხანგრძლივი ომისთვის მოუმზადებელი იყო. თანაც მკაცრი „ფინური ზამთრის“ პირობებში 200 ათასი ფინელი მეომარი იმდენად მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ხუთჯერ მეტ მომხდურს, რომ სანამ უშუალოდ ჰელსინკის არ დაემუქრა საფრთხე, არ ნებდებოდნენ. სტალინის დავალებით საბჭოთა დაზვერვამ ზავის ხელსაყრელი პირობების მისაღწევად ფარული მოლაპარაკებები დაიწყო.

1940 წლის 12 მარტის ხელშეკრულებით ფინეთმა მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაკარგა, სანაცვლოდ სტალინი, რომელსაც ინგლის-საფრანგეთთან კონფლიქტი იმ ეტაპზე ხელს არ აძლევდა, დათმობაზე წავიდა და კუუსინენის სეპარატისტული მთავრობა მოსკოვში გაიწვია.

საბჭოთა დიქტატორმა კუუსინენი უყურადღებოდ არ დატოვა და ახალშექმნილი კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეთაურად დანიშნა. საინტერესოა, რომ ოტო კუუსინენი იყო მომავალი კა-გე-ბეს შეფისა და კომპარტიის გენერალური მდივნის იური ანდროპოვის პირველი პროტეჟე და მფარველი.

„ზამთრის ომის“ დასრულების შემდეგ სინიცინი ჰელსინკიში დაბრუნდა და გაცილებით აქტიურად დაიწყო მოქმედება. თუმცა სინიცინსა და საბჭოთა მზვერავებს 1941 წლის 22 ივნისის შემდეგ კვლავ მოსკოვში დაბრუნებამ მოუწიათ — ფინეთი გერმანიის მოკავშირეებს შეუერთდა.

პროგერმანულ ძალებს ფინეთში მარშალი მანერჰაიმი თავკაცობდა და ბერლინი ფინეთთან სამხედრო კავშირს იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ 1942 წელს ადოლფ ჰიტლერი პირადად ჩავიდა ჰელსინკიში და მანერჰაიმს დაბადების 75 წელი მიულოცა.

სინიცინი ჰელსინკში მხოლოდ სამი წლის შემდეგ, 1944 წლის სექტემბერში დაბრუნდა.

## სტალინი, როგორც ფინეთის პოლიტიკური მენეჯერი

რეზიდენტმა სინიცინმა კი კავშირი განაახლა ძველ აგენტურასთან, რომელიც საოცრად მრავალფეროვანი იყო და ფინეთის საზოგადოების ყველა ფენას მოიცავდა — ჟურნალისტს (ოპერატიული ფსევდონიმი „ანა“), მინისტრს („ბერი“), პარლამენტარს („გრაფი“), პოლიტიკოსებს („მოსე“, „ადვოკატი“) და ა.შ.

ასევე შეუდგა ახალი ხალხის გადმობირებას, ხოლო ოპერატიული მუშაობა ორი მიმართულებით მიდიოდა:

— „ინფორმატორ-აგენტების“ დამუშავება-გადმობირება;

— „გავლენის აგენტების“ გადმობირება და მათ პოლიტიკურ და კარიერულ წინსვლაში დახმარების აღმოჩენა;

სწორედ საბჭოთა დაზვერვის დახმარებით იყო, რომ ყოფილი „ინფორმაციის წყაროები“ უკვე „გავლენის აგენტებად“ „დაწინაურდნენ“. პირველი სერიოზული გამარჯვება ურჰო პაასიკვის (1870-1956 წწ.) ჯერ პრემიერ-მინისტრად (1944წ.), ხოლო ორი წლის შემდეგ პრეზიდენტად გაყვანა იყო.

პარალელურად მოსკოვის დახმარებით ფინეთის პოლიტიკურ ელიტაში ურჰო კეკონენის კარიერული წინსვლა დაიწყო და მისი „ვარსკვლავი ამობრწყინდა“ — მოსკოვი მას პაასიკვის შემცვლელად ამზადებდა. რეალური მდგომარეობის შესანიღბად კი საბჭოთა დაზვერვა ცნობილ ეშმაკურ ფანდს იყენებდა – ყველა ცენტრალურ საბჭოთა გაზეთში პერიოდულად პრემიერი პაასიკვი და იუსტიციის მინისტრი კეკონენი ფაშისტ-რეაქციონერებად და მოსკოვის მტრებად სახელდებოდნენ. საინტერესოა, რომ რუსეთის ხელისუფლება დღესაც აქტიურად იყენებს ამ მეთოდს, განსაკუთრებით საქართველოს საკითხში.

***ბესიკ ალადაშვილი***

*ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი*

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# კავკასიური მოვლენების მიმოხილვა...



ნებაყოფლობით პატრიოტულმა სპორტულ-ტექნიკურმა საზოგადოებამ არმიას ასეულობით მედესანტე-პარაშუტისტი მოუმზადა

## აზერბაიჯანი

● 4 აპრილს აზერბაიჯანის არმიაში მორიგი ინციდენტი მოხდა — ცეცხლსასროლ იარაღთან დაუდევარი მოპყრობის გამო ტყვია რიგით ასიფა სამირ ოღლი ალიევს თავში მოხვდა და ჯარისკაცი გარდაიცვალა.

● ნებაყოფლობით პატრიოტული სპორტულ-ტექნიკური საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარის გენერალ-მაიორ ნავრუზალი ორუჯევის თქმით, არმიისა და ძალოვანი სტრუქტურებისთვის ფუნქციონირება სნაიპერთა მოსამზადებელმა კურსებმა დაიწყო. სწავლის პროცესში კურსანტები შეისწავლიან შენიღბვის ხელოვნებას, ტოპოგრაფიას, ხელჩართული ბრძოლის ილეთებსა და სამართლის საფუძვლებს. სასწავლო კურსებისთვის შეძენილია საცეცხლე სიმულატორები, და ახალი ცეცხლსასროლი იარაღი: სხვადასხვა მოდიფიკაციის სნაიპერული შაშხანა СВД, პისტოლეტები, ისრაელის წარმოების საიერიშო შაშხანები Tavor STAR-21 და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები UZI. სნაიპერობის მსურველ 100-ზე მეტი პრეტენდენტიდან კურსზე 24 და მათ შორის რამდენიმე გოგონა ჩაირიცხა.

● გენერალ-მაიორ ნავრუზალი ორუჯევის განცხადებით, განვლილ დროში სპორტულ-ტექნიკური საზოგადოების საავიაციო ცენტრმა არმიისათვის 1000-ზე მეტი მედესანტე-პარაშუტისტი მოამზადა.

● მარტში ყარაბაღის ფრონტზე სომხეთის არმიამ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი 80-ჯერ დაარღვია. ამის შედეგად 2 აზერბაიჯანელი სამხედრო მოსამსახურე და 9 წლის ბავშვი დაიღუპა, 1 სამხედრო კი დაიჭრა. ასევე აღნიშნულია, რომ წინა თვეებთან შედარებით სომხები განსაკუთრებულად აზერბაიჯან-სომხეთის სახელმწიფო საზღვრის ყაზახის რაიონში გააქტიურდნენ. განვლილ 3 თვეში ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი 160-ჯერ (იანვარში 24 და თებერვალში 56 შემთხვევაა აღნუსხული) დაირღვა და ამის შედეგად 6 სამხედრო და ერთი სამოქალაქო პირია დაღუპული.

● „აზერბაიჯანმა გადაიფიქრა სამოქალაქო თვითმფრინავების ჩამოგდება, რომლებიც ერევანი-სტეფანაკერტის მიმართულებით იფრენენ", — განაცხადა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა.

● 26-27 მარტს ღამით ბაქო-გუბის ტრასის 28-ე კმ-ზე კაფე „გუბაში" (სუმგაითის ტერიტორია) ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის პრაპორშჩიკმა აზერ ასკეროვმა სატაბელო „მაკაროვის" პისტოლეტით 1989 წელს დაბადებული ქალი მოკლა და შემდეგ თავი მოიკლა.

● 23 მარტს შამქორის კორპუსის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში გენერატორის ჩართვისას გაჩნდა ხანძარი, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების საცავის განადგურება მოჰყვა. 6-მა ჯარისკაცმა სხვადასხვა ხარისხისა და სიმძიმის დამწვრობა მიიღო.

## სომხეთი

● პარლამენტის თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და შინაგან საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს გრაირ კარაპეტიანს განზრახული აქვს ოფიციალურ მინსკს აზერბაიჯანისათვის იარაღის მიწოდების საკითხზე განმარტება მოსთხოვოს.

● 9 მაისიდან ერევანი-სტეფანაკერტის მიმართულებით რეგულარული საჰაერო მიმოსვლა გაიხსნება და სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა პირველი რეისით ფრენის სურვილი უკვე გამოთქვა.

● 2 აპრილს მარშალ ბაგრამიანის სახელობის პოლიგონზე (ქალაქ გიუმრის მახლობლად) სომეხ რეზერვისტთა შეკრება დაიწყო.



ქვეყნის პრეზიდენტი და უმაღლესი მთავარსარდალი სერჟ სარგსიანი ერევანი-სტეფანაკერტი ავიარეისის პირველი მგზავრი იქნება

● პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა ხელი მოაწერა 2011 წლის საგაზაფხულო გაწვევისა და დემობილიზაციის ბრძანებულებას, რომლის თანახმადაც წვევამდელთა სავალდებულო სამხედრო სამსახურსა და ალტერნატიულ სამოქალაქო სამსახურში გაწვევა დაიწყო.

● განათლებისა და მეცნიერების მინისტრის არმენ აშოტიანის თქმით, მიმდინარე წლიდან სახელმწიფო შეკვეთის შესაბამისად, სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ სტუდენტები მაგისტრატურაში უფასოდ სწავლას შეძლებენ.

● ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა აუდრონიუს აჟუბალისმა სომხურ მხარეს ყარაბაღში შეხების ხაზიდან სნაიპერთა ცალმხრივად გაყვანა შესთავაზა.



ჩეჩნური ბატალიონი „ვოსტოკი" 2008 წლის აგვისტოს ომის დროს

## ჩრდილო კავკასია

● 28 მარტს სოფელ ნოვოგროზნენსკის მახლობლად უცნობი პირები თავს დაესხნენ ბატალიონ „ვოსტოკის" მეთაურის ყოფილ მოადგილეს, მაჰომედ ტაისუმოვს. ტაისუმოვმა მომხდურებს წინააღმდეგობა გაუწია, მოსახლეობამაც დახმარება სცადა, მაგრამ გამტაცებლებმა სოფლელებს ავტომატების ცეცხლით მოახლოების საშუალება არ მისცეს და ტაისუმოვი თავში ჩარტყმით გააბრუეს და წაიყვანეს. 1-ელ აპრილს კი ბატალიონ „ვოსტოკის" მეთაურის ყოფილი მოადგილის გვამი ერთ-ერთი სოფლის მახლობლად იპოვეს.

● ყაბარდო-ბალყარეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა არსენ კანოკოვმა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა წევრებს იარაღის ჩაბარებისა და მართლწესრიგის ორგანოებში საკუთარი ნებით გამოცხადებისკენ მოუწოდა. კანოკოვი უკვე შეხვდა ტყეში გასული ახალგაზრდების მშობლებს და ნებით ჩაბარებულებს ობიექტურ გამოძიებასა და სამართლიან სასამართლო პროცესს დაჰპირდა.

● პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის ბრძანებულებით მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმირ ზარუდნიცკი სამხრეთის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილედ დაინიშნა.

## კონფლიქტური რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● აფხაზეთის არმიაში დაწყებულია რუსეთის არმიის სპეცქვედანაყოფების ოფიცრებისა და ჯარისკაცების ჩარიცხვა. მათი საშუალო ხელფასი 50 ათასი რუბლია. სეპარატისტთა თავდაცვის სამინისტროს ანონიმური წყაროს ინფორმაციით, აფხაზეთის არმიაში უკვე 500-მდე სამხედრო მოსამსახურეა აყვანილი. როგორც სეპარატისტთა თავდაცვის მინისტრმა რუსლან ქიშმარიამ განაცხადა, აფხაზეთის მთელი მოსახლეობა ერთმანეთთან ნათესაურ კავშირშია და ბრძანებების შეუსრულებლობისთვის ათასნაირ ხერხს მიმართავს, ხოლო რუსი ჯარისკაცები კი ყველა ბრძანებას უსიტყვოდ ასრულებენ.

● სეპარატისტთა არმიის გენშტაბის უფროსად და თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ დაინიშნა ციმბირის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის მოადგილე გენერალ-მაიორი ვლადიმირ ვასილჩენკო. 29 მარტს სერგეი ბაგაფშმა სამინისტროს პირად შემადგენლობას გენერალი ვასილჩენკო თავად წარუდგინა.

● 24-25 მარტს რუსული საოკუპაციო ჯარებისა (სასაზღვრო ჯარების აფხაზეთის სამმართველო და მე-7 სამხედრო ბაზა) და სეპარატისტთა ფორმირებების (სპეცდანიშნულების ცენტრი, მესაზღვრეთა რაზმი, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები) მონაწილეობით ერთობლივი სწავლება „კოდორი 2011" ჩატარდა. ორეტაპიან სწავლებაში 300-მდე სამხედრო, ჯავშანტექნიკის 22 ერთეული, 25 ავტომობილი და სხვა ტექნიკა მონაწილეობდა.

**თეიმურ ჩაჩანიძე**



რუსმა ოკუპანტებმა და აფხაზმა სეპარატისტებმა კოდორის ხეობაში ერთობლივი სწავლება ჩაატარეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯამაათი

## კადაფის ყველაზე საშიში მოწინააღმდეგენი

ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯამაათი (აჯ-ჯამაა ალ-ისლამიია ალ-მუკათილა ბი-ლ-ლიბია, შემოკლებით — ისლამური ჯამაათი) ის ორგანიზაციაა, რომლისაც დიქტატორ მუამარ კადაფის მართლაც ყველაზე მეტად ეშინია. ტრადიციულად ითვლება, რომ ისლამური ჯამაათი 1995 წლიდან „ალ-ქაიდას" შემადგენელი ნაწილია და ტერორისტულ გაერთიანებადაც სწორედ ამ დროიდან არის აღიარებული. ისე კი ისლამისტები ლიბიაში გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს გააქტიურდნენ, მაშინ, როდესაც კადაფის რეჟიმმა პიკს მიაღწია, ავღანეთში კი საბჭოთა ჯარები შეიჭრნენ და ლიბიის დიქტატორმა მხარი საბჭოთა კავშირს დაუჭირა. მერეც, კარგა ხანს, მუამარ კადაფის ლიბიაში აშკარად მხოლოდ ისლამური ჯამაათი ეწინააღმდეგებოდა. ორგანიზაციის აქტივისტები 11 სექტემბრის ცნობილ ტერაქტებშიც მონაწილეობდნენ და ამჟამადაც ლიბიელ მეამბოხეთა შორის საკმაოდ ბევრნი არიან. სხვათა შორის, დასავლელი ექსპერტები უკვე შიშობენ, რომ ლიბიის რევოლუციამ ისლამური ჯამაათის გავლენით თანდათან რადიკალური ელფერი არ მიიღოს.





„ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯამაათის" აწ ლიკვიდირებული ლიდერი აბუ ლაით ალ-ლიბი



„ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯამაათის" ერთ-ერთი ლიდერი აბუ იაჰია ალ-ლიბი

### ავღანეთის ომი, კადაფი და ლიბიელი რადიკალები

1977 წლის 2 მარტს ლიბიაში მუამარ კადაფიმ, რომლის პოპულარობაც იმხანად პიკს აღწევდა, მმართველობის ახალი ფორმა — ე.წ. „ჯამაჰირია" დააფუძნა. როგორც თავად ამტკიცებდა, სწორედ ეს იყო სახელმწიფოებრიობის განვითარების უახლესი და ყველაზე სრულყოფილი საფეხური, რომელიც სოციალიზმსა და ისლამურ სამართალს — შარიათს თანაბრად ეყრდნობოდა. იმავე წლის ნოემბერში, კადაფიმ ლიბიის დროშაც შეცვალა და პანარაბული ტრიკოლორის (წითელი-თეთრი-შავი) ნაცვლად, „ჯამაჰირიის" სიმბოლოდ სადა მწვანე ალამი გამოაცხადა, რომელიც ისლამის დოგმათა მიხედვით, მუსლიმანთა ჯამაათების (თემების) კავშირის — უმმას აღმნიშვნელია. რაღა თქმა უნდა, ამით მუამარ კადაფის უპირატესად ლიბიელ მორწმუნეთა გულის მოგება სურდა და სულაც არ ფიქრობდა, რომ ლიბია მართლაც ისლამურ საამიროდ ექცია.

ლიბიის დიქტატორი ბედუინთა წარჩინებული საგვარეულოდან არის. ლიბიელი ბედუინები კი, როგორც წესი, მხოლოდ ნომინალურად არიან მუსლიმანები — ყოველ შემთხვევაში, ასე თვლიან ქალაქელები, რომლებსაც ლიბიაში „აფანდიებს" უწოდებენ. ამ უკანასკნელებისაგან განსხვავებით, ბედუინთა არაბული წარმოშობა საკამათოა — ისინი ჩრდილო აფრიკის ძირძველ მოსახლეობას (ბერბერებს) განეკუთვნებიან, თუმცა მეტწილად, არაბულად ლაპარაკობენ. 1969 წლამდე, სანამ მუამარ კადაფი „მწვანე რევოლუციას" მოაწყობდა, ქვეყანაში ძირითადად, აფანდიები ბატონობდნენ. რამდენადაც ქალაქებში მოსახლეთა უმეტესობას სწორედ ისინი შეადგენდნენ, კადაფიმ ისლამური დოგმებით აშკარა თუ ფარულ მანიპულირებას მიჰყო ხელი — დღეში ხუთჯერ მეჩეთებში ხალხთან ერთად ლოცულობდა, ღარიბებს სა-

ვალდებულო მოწყალებას აძლევდა და აცხადებდა, რომ ლიბია სანიმუშო ისლამური ქვეყანა უნდა ყოფილიყო.

სხვათა შორის, ამგვარმა პოლიტიკამ კადაფისთვის სასურველი ნაყოფი მალევე გამოიღო — ლიბიაში მან აბსოლუტური დიქტატურა დაამყარა და მთელ ჩრდილოეთ აფრიკაში გავლენიან ლიდერად იქცა. ისლამური იდეების მოჩვენებითი მხარდაჭერის პარალელურად, მუამარ კადაფიმ აფანდიები საგრძნობლად შეზღუდა და მათ ნაცვლად ბედუინური არისტოკრატია აღაზევა. გარდა ამისა, ლიბიის დიქტატორი კომუნისტური ბანაკის ქვეყნებსაც ეფლირტავებოდა და თავს „ახალი თაობის რადიკალ კომუნისტად" თვლიდა. მას მოსკოვთან საკმაოდ მჭიდრო, მაგრამ ნაკლებად აფიშირებული კონტაქტები ჰქონდა — საბჭოთა პარტიული მაღალჩინოსნები მუამარ კადაფის უფრო მეტად თავიანთი სატელიტების მეშვეობით ეკონტაქტებოდნენ.

1979 წელს საბჭოთა შეიარაღებული ძალების ავღანეთში შეჭრამ მთელ ისლამურ აღმოსავლეთში უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია. მუამარ კადაფის ამაზე ყურადღება არ გაუმახვილებია, რადგანაც, მისი თქმით, პრობლემები ახლო აღმოსავლეთშიცა და აფრიკაშიც იყო, თანაც, გაცილებით მნიშვნელოვანი: ლიბიის დიქტატორი რეგიონულ ლიდერობასა და „ახალ გეოპოლიტიკურ რეალიათა შექმნას" ცდილობდა და ჩართული იყო უშუალოდ ლიბიის საზღვრებთან იმხანად მიმდინარე თითქმის ყველა კონფლიქტში — უგანდა-ტანზანიის ომში (1978-1979) მხარს უგანდელ დიქტატორ იდი ამინს უჭერდა, ხოლო ჩადსა და მალიში კი მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლ ბერბერებს იარაღითა და ამუნიციით ამარაგებდა. გარდა ამისა, კადაფის ემისრები ლიბანშიც აქტიურობდნენ და იქაურ სუნიტებს ეხმარებოდნენ. ასე რომ, ლიბიის ხელისუფალს ავღანეთი და იქ მიმდინარე პროცესები დიდად არც კი აინტერესებდა, თუმცაღა ლიბიის მუსლიმანი სასულიერო პირები თვლიდნენ, რომ კადაფის საბჭოთა ოკუპაცია არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც უსათუოდ უნდა დაეგმო და ავღანეთში მოჯაჰედები გაეგზავნა.

მორწმუნეთა დიდი მოლოდინის მიუხედავად, მუამარ კადაფი საბჭოთა კავშირის უკანონო ქმედების დაგმობას აყოვნებდა. საერთაშორისო ასპარეზზეც ოსტატურად მანიპულირებდა, ავღანეთში მიმდინარე პროცესის შეფასებას თავს არიდებდა და ცდილობდა, არც მწვადი დაეწვა და არც შამფური. ამგვარი პოლიტიკის გამო მოსკოვის მესვეურები კმაყოფილებას ვერ მალავდნენ, ეს კი ლიბიას საკუთარ რეგიონში კარტ-ბლანშს აძლევდა — სიჩუმის სანაცვლოდ მუამარ კადაფის საბჭოთა კავშირის მხარდაჭერა გარანტირებული ჰქონდა.

სწორედ ამ დროს ლიბიურ ისლამურ პრესაში გამოჩნდა სტატიები, რომელთა ავტორებიც დიქტატორს საბჭოთა კავშირთან „ფარული ალიანსის" გამო აკრიტიკებდნენ და ლიბიელებს ავღანეთში მოხალისეებად წასვლისაკენ მოუწოდებდნენ. მალე ისიც გამოირკვა, რომ სტატიებს „ჯიჰადისტები", ანუ მუამარ კადაფის ფსევდოისლამური პოლიტიკით უკმაყოფილო ულემები (ღვთისმეტყველები) აბდულ-რაჰმან იბნ ჰასანი და მუსა მოჰამედ ბენღაზი წერდნენ. ორივენი ჯერ კიდევ 1977 წლიდან თავს საუდის არაბეთს აფარებდნენ. თანდათან მათმა ნაწერებმა ლიბიელ აფანდიებში



„ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯამაათის" ყოფილი მესვეური ნუმან ბინ-უთმანი

დიდი პოპულარობა მოიპოვა და შედეგმაც არ დააყოვნა — ავღანეთში ლიბიიდან მოჯაჰედების პირველი ასეული ჩავიდა. მათ ვინმე აბუ ლაით ალ-ლიბი ხელმძღვანელობდა.

ლიბიელმა მოჯაჰედებმა დუშმანებს (ასე უწოდებდნენ საბჭოთა არმიის ჯარისკაცები ავღანელ პარტიზანებს) შორის მალე მოიხვეჭეს უბადლო მეომრების სახელი. სხვათა შორის, მათ ყურადღება თვით ოსამა ბინ ლადენმაც მიაქცია — იარაღისა და ამუნიციის შესაძენად სოლიდური თანხა გადასცა და შემდგომშიც მხარდაჭერა აღუთქვა.

ავღანეთში ლიბიელი მოჯაჰედების ჩასვლის ამბავი საბჭოთა დაზვერვამ მალე შეიტყო და როგორც წესი, მუამარ კადაფიც გააფრთხილა. ლიბიის დიქტატორმა ამ საქმით სარგებლობა გადაწყვიტა და კრემლის მესვეურებს ფინანსური დახმარებაც გამოსტყუა — ვითომდა სპეცსამსახურების გასაძლიერებლად. 1981 წელს კადაფი თავად ჩავიდა მოსკოვში, სადაც კიდევ ერთხელ, ირიბად დაადასტურა, რომ ავღანეთის საკითხში საბჭოთა კავშირს უჭერდა მხარს. მან სპეცსამსახურები მართლაც გააძლიერა და ლიბიელთა ცხოვრების ყველა სფერო უმკაცრეს კონტროლში



„ისლამური ჯამაათის" მებრძოლები

ეროვნული ბიბლიოთეკა



ციხიდან გამოშვებულ „ისლამური ჯამაათის“ წევრს ახლობლები ხვდებიან

მოაქცია. მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნიდან ავღანეთში მოხალისეები კვლავ მიდიოდნენ. როგორც მოგვიანებით აბუ ლაით ალ-ლიბიმ გაიხსენა, ისინი ლიბიიდან ჯერ ეგვიპტეში გადადიოდნენ, იქიდან კი ავღანეთში ჩაღწევა ძნელი აღარ იყო — ამ საქმეს ბინ ლადენის ხალხი აგვარებდა.

ლიბიელი მოჯაჰედების საბრძოლო შემართება სამაგალითო იყო ყველასათვის, ვინც კი იმხანად ავღანეთში პარტიზანების მხარეს იბრძოდა. საბჭოთა სპეცსამსახურთა მესვეურებიც ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ აბუ ლაით ალ-ლიბის ხალხი ავღანეთის ხრიოკ მთებში თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზები — წყალში. ლიბიელებს განსაკუთრებით დივერსიული ქმედებები ემარჯვებოდათ და ე.წ. „შოსეების ომშიც“ (პარტიზანული ომის ნაირსახეობა, რომლის დროსაც მოწინააღმდეგის გასანადგურებლად ინაღმება გზები, ხიდები და ა.შ.) აშკარად გამოირჩეოდნენ. ოსამა ბინ ლადენი, რომელიც ავღანეთში არაბული სამყაროს ქვეყნებიდან მოჯაჰედთა ჩასვლას კურირებდა, ლიბიელებს დიდი ხალისით ხვდებოდა.

აქედან გამომდინარე, 1989 წელს, როდესაც ავღანეთის ომი საბჭოთა კავშირის დამარცხებით დასრულდა, ბინ ლადენმა ისლამური აღმოსავლეთის „ურწმუნოთაგან ხსნა“ დააპირა და ლიბიელი ყოფილი მოჯაჰედები ჯერ პირად მცველებად აიყვანა, მერე კი — „ალ-ქაიდას“ ჩამოყალიბებისთანავე — მათგან შექმნა საგანგებო დივერსიული ჯგუფები, რომლებმაც პირველი საბრძოლო ნათლობა სუდანში მიიღეს. ამ ქვეყანაში გენერალმა ომარ ალ-ბაშირმა ოსამა ბინ ლადენის დახმარებით სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო და ხელისუფლება ხელში ჩაიგდო. ცნობისათვის: მუამარ კადაფი იმავე პერიოდში მხარს უჭერდა ალ-ბაშირის მოწინააღმდეგე სამხრეთსუდანელებს, რომლებსაც არაბული ჩრდილოეთისგან გამოყოფა სურდათ. ამის გამო „ალ-ქაიდამ“ ლიბიის ლიდერი „წაწყმედილად“ (არაბულად — „ალ-მურთად“) გამოაცხადა და სიკვდილი მიუსაჯა.

ბინ ლადენის დავალებით კადაფის ხუთჯერ დაესხნენ თავს (სამჯერ — ტრიპოლიში, ორჯერ — ბენღაზიში), მაგრამ ვერ მოკლეს.

1989 წლის ბოლოს კადაფის სპეცსამსახურებმა ქალაქ ბენღაზიში დააპატიმრეს ცნობილი რადიკალი ისლამისტი ღვთისმეტყველი აუაზა აზ-ზუვაუი, რომელიც ადრევე ანტიკომუნისტური და ანტიჯამაჰირისტული შეხედულებებით გამოირჩეოდა, ლიბიის დიქტატორსაც აკრიტიკებდა და ლიბიელებს ავღანეთში წასვლისკენ მოუწოდებდა. აზ-ზუვაუის ბრალად „ტერორისტებთან სულიერი კავშირი და ლიბიის სახელმწიფოებრიობის საწინააღმდეგო ქადაგება“ დასდეს და თავისუფლების უვადო აღკვეთა მიუსაჯეს. აზ-ზუვაუის გათავისუფლების მოთხოვნით ქალაქ ბენღაზიში დიდი საპროტესტო დემონსტრაცია გაიმართა, რომელსაც ღვთისმეტყველი აბუ მუნზერ ას-საადი ხელმძღვანელობდა. როგორც წესი, მუამარ კადაფიმ დემონსტრანტები ძალით დაშალა და ას-საადის დაპატიმრებაც გადაწყვიტა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მეზობელ ეგვიპტეში გაქცევა მოასწრო, იქიდან კი სუდანში გადავიდა. 1991 წელს ომარ ალ-ბაშირის მიწვევით სუდანში ჩავიდა უსამა ბინ ლადენიც.

გასული საუკუნის 90-იანი წწ.-ების დასაწყისში დასავლურ მასმედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ალიმმა აბუ მუნზერ ას-საადიმ და მისმა მოწაფემ ნუმან ბინ-უთმანმა მუამარ კადაფის მოწინააღმდეგეებს თავი სუდანში მოუყარეს და მძლავრი ოპოზიციური დაჯგუფების შექმნა დააპირეს. სწორედ იმ პერიოდში საბჭოთა კავშირიც დაიშალა და შესაბამისად, დასავლური მასმედია „კადაფის რეჟიმის მოახლოებულ აღსასრულზე“ ალაპარაკდა. ნუმან ბინ-უთმანი მალე თავადვე გამოჩნდა პრესასა და ტელეარხებზეც და განაცხადა, რომ „ჯამაჰირიის“ დღეები დათვლილი იყო: „კადაფი მოძალადეა და მისი შექმნილი სისტემაც მთლიანად ძალადობას ეყრდნობა... ეს ყველაფერი კი ყურანსაც და შარიათსაც ეწინააღმდეგება და, რასაკვირველია, დღეს ჩვენი უპირველესი ვალია, სამართლიანობა აღვადგინოთ, როგორც მუსლიმანებმა“, — განუცხადა ბინ-უთმანმა ეგვიპტურ გაზეთ „ალ-აჰრამს“ 1993 წელს.

გარდა სუდანისა, ლიბიელები მრავლად იყვნენ პაკისტანში, კერძოდ, ავღანეთის მოსაზღვრე ჩრდილო-დასავლეთ პროვინციაში. ოფიციალური ისლამაბადის მესვეურთა ხელთ არსებული ცნობებით, ესენი ის მოჯაჰედები იყვნენ, რომლებიც ოსამა ბინ ლადენს სუდანში არ გაჰყოლიან, თუმცაღა მის დაქვემდებარებაში დარჩნენ და ავღანეთში „წესრიგის დამყარებას“ შეუდგნენ. როგორც პაკისტანის სპეცსამსახურებმა გაარკვიეს, ლიბიელ მოჯაჰედებს აბუ ლაით ალ-ლიბისთან ერთად ვინმე მუჰამედ აბდელ-რაჰმანი მეთაურობდა. ეს უკანასკნელი 1992 წელს, პაკისტანის ქ. ფეშავარის ახლოს გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა (ერთ-ერთი ვერსიით, პაკისტანურმა სპეცსამსახურებმა მას ტერაქტი მოუწყვეს). ამის შემდეგ კი ისლამაბადმა ჩრდილო-დასავლეთ პროვინციაში მყოფი ლიბიელი მოჯაჰედები უკიდურესად შეავიწროვა და აიძულა, სუდანში — ოსამა ბინ ლადენთან წასულიყვნენ.

ამგვარად, 1994 წლისთვის მუამარ კადაფის რეჟიმის მოწინააღმდეგეთა მძლავრი ბაზა სწორედ სუდანში ჩამოყალიბდა და თანაც ბინ ლადენის დაფინანსებითა და მფარველობით. იმავე წელს შეიქმნა საგანგებო გაერთიანება, რომელსაც „მებრძოლთა ისლამური ჯამაათი“ ეწოდა და რომელსაც სათავეში აბუ მუნზერ ას-საადი, ნუმან ბინ-უთ-

მანი და აბუ ლაით ალ-ლიბი ჩაუდგნენ. ბინ-უთმანის თქმით, მისი სურვილი იყო, გაერთიანების მებრძოლები ლიბიის ტერიტორიაზე გადასულიყვნენ და კადაფის რეჟიმის დასამხობად აჯანყება დაეწყოთ, მაგრამ აბუ მუნზერ ას-საადმა და აბუ ლაით ალ-ლიბიმ სხვაგვარად გადაწყვიტეს — „ხელსაყრელი ვითარების" დადგომამდე, ამჯობინეს ლიბიის დიქტატორის წინააღმდეგ საინფორმაციო ომი ეწარმოებინათ, თანამემამულეთა უმრავლესობა გადმოებირებინათ და შეიარაღებული ბრძოლა მერე დაეწყოთ. მომდევნო წელს ას-საადმა და ალ-ლიბიმ „ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯამაათი" „ალ-ქაიდას" ლიბიურ ფილიალად გამოაცხადეს. ნუმან ბინ-უთმანი, მომხრეთა მცირე ჯგუფთან ერთად, გაემიჯნა მათ და დიდ ბრიტანეთში გადავიდა.

1996 წელს ბინ-უთმანის ჯგუფმა ქალაქ ბენღაზიში კადაფის მორიგი ტერაქტი მოუწყო, თუმცა ეს უკანასკნელი გადარჩა. სხვათა შორის, მაშინ გავრცელდა ცნობა, რომ ბინ-უთმანს ბრიტანული სპეცსამსახური MI6 აფინანსებდა. ნუმან ბინ-უთმანმა კატეგორიულად უარყო ეს ინფორმაცია და თავი „ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯამაათის" ერთადერთ მეთაურად გამოაცხადა: „ჩვენ ყურანზე დავიფიცეთ, რომ კადაფის რეჟიმს გავანადგურებთ და ამისთვის ყველა საშუალებას გამოვიყენებთ!" — თქვა მან ვიდეომიმართვაში. 2000 წელს ბინ-უთმანმა საჯაროდ განაცხადა, რომ მუამარ კადაფის ჩამოსაგდებად მზად იყო „ალ-ქაიდას" ისევ დაჰკავშირებოდა და მალე ასეც მოიქცა.

2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილი ტერაქტების შემდეგ, „ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯამაათი" აშშ-ში, კანადასა და ევროკავშირში ოფიციალურად გამოცხადდა ტერორისტულ ორგანიზაციად. ამით ისარგებლა მუამარ კადაფიმაც და „ტერორიზმის აღკვეთის" მიზნით ლიბიაში რეპრესიები დაიწყო. მისი ბრძანებით, ბინ-უთმანის, ალ-ლიბისა და ას-საადის ყველა ნათესავი, ახლობელი თუ მეგობარი დააპატიმრეს და განუსაზღვრელი ვადით ციხეში ჩასვეს; ზოგიერთი უკვალოდ გააქრეს. ამ ყველაფერმა იმდენად დიდი მასშტაბი მიიღო, რომ ევროპასა და ამერიკაში ლიბიელ პოლიტდევნილთა რიცხვმა რეკორდული სისწრაფით დაიწყო ზრდა. იმის გამო, რომ ხალხი კადაფის სისხლიანი ანგარიშსწორებისაგან დაეფარა, ნუმან ბინ-უთმანმა ბინ ლადენთან ერთად გადაწყვიტა, ლიბიის ტერიტორიაზე „ისლამურ ჯამაათს" მოქმედება დროებით შეეჩერებინა. ლიბიელი მოჯაჰედები უსამა ბინ ლადენს ავღანეთში გაჰყვნენ და იქ საიდუმლო ბაზები — ე. წ. „გესტჰაუსები" შექმნეს, სადაც „ალ-ქაიდას" უმაღლესი ხელმძღვანელობა იყო ხოლმე. ლიბიელები უმეტესად მათი პირადი მცველები იყვნენ.

2008 წლის იანვარში აშშ-ის, ავღანეთისა და პაკისტანის სპეცსამსახურებზე დაყრდნობით, სი-ენ-ენმა ავღანეთში „ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯამაათის" ერთ-ერთი ლიდერის — აბუ ლაით ალ-ლიბის ლიკვიდაციის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია, რომელიც „ალ-ქაიდამაც" დაადასტურა. იმავე წელს ნუმან ბინ-უთმანმა, რომელიც ბინ ლადენს ავღანეთში არ გაჰყოლია, ბრიტანულ გაზეთ „თაიმსის" ინფორმაციით, „ალ-ქაიდასთან" ისევ გაწყვიტა ურთიერთობა — მან უსამა ბინ ლადენს ღია წერილით მიმართა და მოსთხოვა, რომ ტერორისტული ქმედებები შეეწყვიტა: „ყურანი და შარიათი ხოცვა-ჟლეტას გმობს. მართლმორწმუნე მუსლიმანმა უდანაშაულო ხალხი არ უნდა დახოცოს. გულით მოგიწოდებ, უარი თქვა ტერორიზმზე" — ბინ-უთმანის „ღია წერილის" ეს სტრიქონები გამოქვეყნებისთანავე, დასავლური მასმედიის ჰედლაინად იქცა. უსამა ბინ ლადენს ეს მოწოდება სიცილადაც არ ეყო, სამაგიეროდ, ნუმან ბინ-უთმანმა დასავლეთისაგან ხელშეუხებლობის გარანტია მიიღო. სავარაუდოდ, აქამდე ის თავს დიდ ბრიტანეთს აფარებდა, დღეს კი მუამარ კადაფის ოპოზიციის რიგებშია.




„ალ-ქაიდას" საწინააღმდეგო ამერიკული პროპაგანდისტული პლაკატი ლიბიელთათვის

ამა წლის მარტის დასაწყისში, როცა ლიბიაში ის-ის იყო, მღელვარება იწყებოდა, ამერიკულმა გაზეთმა „ვაშინგტონ თაიმსმა" ნუმან ბინ-უთმანთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, რომელშიც „ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯამაათის" ყოფილი ლიდერი აცხადებდა, რომ ბინ ლადენი და მისი ლიბიელი მოჯაჰედები ცდილობდნენ, კადაფის ოპოზიციაზე გავლენა მოეხდინათ და ბრძოლის სადავეები თვითონ ჩაეგდოთ: „დასავლეთმა ეს არ უნდა დაუშვას, თორემ ლიბიაშიც ზუსტად იგივე განმეორდება, რაც ავღანეთში მოხდა, როდესაც ნაჯიბულას თალიბები ჩაენაცვლნენ", — ირწმუნებოდა ბინ-უთმანი. სხვათა შორის, ოპოზიციის შეიარაღებული გამოსვლების დაწყებისას, თავად მუამარ კადაფიც აცხადებდა, რომ ამ „უწესრიგობის" უკან სწორედ „ალ-ქაიდა" და კერძოდ, „ლიბიის მებრძოლთა ისლამური ჯამაათი" იდგა. შესაძლებელია, ეს სიმართლეა კიდეც. ამ შემთხვევაში უფრო გასაგები გახდება, თუ რატომ ჩაერია დასავლეთი ლიბიის აჯანყებაში იარაღით, რისგანაც სხვა დროს თავს იკავებდა.

**მიხეილ ლაბაძე**



„ისლამური ჯამაათის" მებრძოლები ამერიკელთაგან წართმეულ ტანკთან. ავღანეთი

(დასასრული შემდეგ ნომერში)


არსენალი
Bv - 206s

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გერმანული ჯავშანტექნიკა

## დაჯავშნული ავტომობილები და ჯავშანტრანსპორტიორები



Sd.Kfz.13: მასა — 2,1 ტ, ეკიპაჟი — 2-3 კაცი, ჯავშანი — 8 მმ, სიჩქარე — 70 კმ/სთ-ში, შეიარაღება — 7,92 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

ვერსალის ხელშეკრულებით დაწესებული აკრძალვები ჯერ ისევ მოქმედებდა, როცა პროგრესულად მოაზროვნე გერმანელ ოფიცერთა ერთმა ნაწილმა პირველი მსოფლიო ომის შედეგის გათვალისწინებით არმიის მომავალი ჯავშანტექნიკასთან ერთად მაღალი გამავლობის ავტომობილებში დაინახა.

1928 წლის გაზაფხულზე სამ ფირმას — Magirus, Bussing-NAG-სა და Daimler-Benz-ს მრავალღერძიანი საავტომობილო შასების პროტოტიპთა შექმნა დაევალათ, ხოლო შენიღბვის მიზნით სამუშაოებზე შეკვეთა ტრანსპორტის სამინისტრომ გააფორმა.

„ბუსინგმა" — ათბორბლიანი (ZRW), ხოლო „მაგირუსმა" და „დაიმლერ-ბენცმა" (პროექტირებაში ფერდინანდ პორშეც ეხმარებოდა) კი რვაბორბლიანი თითქმის მსგავსი შასები (ARW) წარმოადგინეს.

იმ დროისათვის ამ ნოვატორულ ავტომობილებს ყველა თვალი წამყვანი ჰქონდა, დაცურავდა და ტექნიკის ახალი მიღწევა იყო, მაგრამ საკმაოდ ძვირი გამოდგა და სერიულ წარმოებაზე უარი ითქვა.

ექსპერიმენტებმა კი თვლებიანი ჯავშანტექნიკის ორი მიმართულება გამოკვეთა: ერთი — მსუბუქი შასი ბორბლების ფორმულით 4X4-ზე, ხოლო მეორე კი — მძიმე შასი 8X8-ზე.

1930-32 წლებში რაიხსვერმა „დაიმლერს" სტანდარტული „ადლერი" 3GD-ს შასიზე (4X2) დაჯავშნული ავტომობილის აწყობა დაავალა, რომლისთვისაც ჯავშანკორპუსი 8 მმ-იანი ფოლადის ფურცლებით ფირმა Deurschen Edenstahl AG-მა დაამზადა.

ჯავშანავტომობილის ერთადერთი 7,92 მმ-იანი ტყვიამფრქვევი (MG13) უსახურავო კორპუსის შუაში ლითონის ფარის უკან იყო დაყენებული. რადიოსადგური გათვალისწინებული არ იყო და ორკაციანი ეკიპაჟი კავშირის საშუალებად სასიგნალო დროშებს იყენებდა.

არმიამ შეიარაღებაში ჯავშანავტომობილი Kfz 13 ინდექსით მიიღო და 1933-35 წლებში ბერლინში „დაიმლერ-ბენცის" ქარხანამ 147 Kfz 13 და 40 Kfz 14 (რადიოსადგურით) დაამზადა.

Sd.Kfz.221: მასა — 4 ტ, ეკიპაჟი — 2 კაცი, ჯავშანი — 5-8 მმ, კარბურატორიანი 75 ცხ.ძალიანი ძრავა, სიჩქარე — 90 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 320 კმ, შეიარაღება — 7,92 მმ-იანი ტყვიამფრქვევი





Sd.Kfz.231 (6-Rad): მასა — 5,7 ტ, ეკიპაჟი — 4 კაცი, ჯავშანი — 8-14,5 მმ, კარბურატორიანი 150 ცხ.ძალიანი ძრავა, სიჩქარე — 65 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 300 კმ, შეიარაღება — 20 მმ-იანი ქვემეხი, 7,92 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

Kfz 13-ით საკავალერიო პოლკების მეტყვიამფრქვევეთა და სადაზვერვო ასეულები დაკომპლექტდა, ხოლო 1936 წლიდან — სატანკო და მოტორიზებული დივიზიების სადაზვერვო ქვედანაყოფები.

მეორე მსოფლიო ომის წინ Kfz 13 საკმაოდ მოძველდა და მხოლოდ სასწავლო დანიშნულებას ასრულებდა.

1934 წლის დასაწყისში კონკურსი გამოცხადდა ორწამყვანხიდიან გაუმჯობესებული მახასიათებლების (პატარა მასა, გრუნტზე ნაკლები დაწოლა, საიმედოობა, მარტივი კონსტრუქცია, გაადვილებული რემონტი-მომსახურება და სხვ.) ჯავშანავტომობილზე.

1936 წლის ბერლინის გამოფენაზე ნაჩვენები ნიმუშებიდან საუკეთესოდ ქალაქ ცვიკაუს ქარხანა Horch-ის მოდელები დასახელდა.

ერთ-ერთზე ძრავა შასის უკანა ნაწილში იყო გადატანილი, ხოლო მეორეზე კი წინ დარჩა და ტრადიციული საავტომობილო კომპონირება შენარჩუნდა. პირველი — სპეციალურად დაჯავშნულ კორპუსზე, მეორე კი მსუბუქ და ყველგანმავალ ავტომობილებზე იყო გათვლილი.

Eisenwerken Weserhutte-მა კორპუსი 14,5 მმ სისქის ჯავშანფურცლებისაგან ელექტროშედუღებით დაამზადა და ეფექტურობის ასამაღლებლად ბორტებს დახრის დიდი კუთხეები მისცა. ჯავშანდაცვა შაშხანის ფოლადისგულიანი ვაზნებისა და ჭურვების ნამსხვრევებისგან დაცვაზე იყო გათვლილი.

წრიულად მბრუნავი კოშკურა 7,92 მმ-იანი ტყვიამფქვევით (MG 13) იყო აღჭურვილი, მაგრამ სერიული ჯავშანავტომობილები MG 34 ტიპის ტყვიამფრქვევებით აღიჭურვა.

კოშკურას ზევიდან მავთულიანი ბადისგან შეკრული ორი გადასახდელი ეკრანი ფარავდა და ისეთი კონსტრუქცია ჰქონდა, რომ მეტყვიამფრქვევეს საჰაერო სამიზნეებთან ბრძოლაც შეეძლო.

ჯავშანავტომობილმა (Sd Kfz 221) ადგილი სადაზვერვო ქვედანაყოფებში დაიკავა, მაგრამ სუსტ ადგილად შეიარაღება დარჩა და მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე საჭირო გახდა 7,92 მმ-იანი ტანკსაწინააღმდეგო თოფის (PzB 39) დამატება, თუმცა მისი ეფექტური ცეცხლი 100-150 მეტრს არ აღემატებოდა.

უკეთესი მახასიათებლების მქონე 28/20 მმ-იანი ტანკსაწინააღმდეგო PzB 41-ის დაყენება კოშკურის გადაკეთებას მოითხოვდა და ასეთი შეიარაღება მხოლოდ 34 ჯავშანავტომობილმა მიიღო.

ომის დასრულებამდე Sd Kfz 221-ის რამდენიმე მოდიფიკაცია შეიქმნა:

Sd Kfz 222-ს შეიარაღება გაუძლიერდა — ღია კოშკურის საერთო ლაფეტზე 20 მმ-იანი ქვემეხი (KwK 30) და 7,92 მმ-იანი ტყვიამფრქვევი (MG 34) მოთავსდა. მოგვიანებით KwK 30 იმავე კალიბრის უფრო ძლიერმა KwK 38-მა შეცვალა;

Sd Kfz 223-ზე რადიოსადგური დააყენეს, რომელიც ქვეითი დივიზიების სადაზვერვო ქვედანაყოფებში კავშირის მანქანის დანიშნულებას ასრულებდა;

რადიოსადგურით აღჭურვილი Sd Kfz 260/Sd Kfz 261 „პოლკი-დივიზიის“ რგოლში საშტაბო მანქანა იყო;

1935-44 წლებში გერმანიის არმიას სხვადასხვა მოდიფიკაციის სულ 2371

Sd.Kfz.232 (8-Rad): მასა — 8,8 ტ, ეკიპაჟი — 4 კაცი, ჯავშანი — 5-15 მმ, კარბურატორიანი 180 ცხ.ძალიანი ძრავა, სიჩქარე — 85 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 300 კმ, შეიარაღება — 20 მმ-იანი ქვემეხი, 7,92 მმ-იანი ტყვიამფრქვევი



ეროვნული ბიბლიოთეკა



Sd.Kfz.234/2 Puma — თვითმავალი საარტილერიო დანადგარი აღჭურვილი იყო 50 მმ-იანი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხით

მსუბუქი ჯავშანავტომობილი (4X4) გადაეცა.

პირველად დაჯავშნული ავტომობილები ვერმახტმა 1938 წელს ჩეხოსლოვაკიის სუდეტებისა და 1939 წლის მარტში ლიტვის მემელის (კლაიპედას) ოკუპაციისას გამოიყენა.

მეორე მსოფლიო ომის წინ არმია ორხიდიან 1200 დაჯავშნულ ავტომობილს ითვლიდა.

საბჭოთა კავშირთან ომში, განსაკუთრებით კი ზამთარში, ორწამყვანხიდიან ჯავშანავტომობილებს გაუჭირდათ, სამაგიეროდ, ამოცანებს ბევრად ეფექტურად აფრიკის კამპანიაში ასრულებდნენ.

არმია უფრო ძლიერ ჯავშანავტომობილებს საჭიროებდა და 1930 წლის თებერვალში შეიარაღების სამინისტრომ რამდენიმე ფირმას სამხიდიანი 1,5 ტონა ტვირთამწეობის სატვირთო ავტომობილის შასისა და Deutche Werke-ს ჯავშანკორპუსის გამოყენებით მძიმე ჯავშანავტომობილის (6X4) შექმნა შესთავაზა.

საექსპერიმენტოდ „დაიმლერ-ბენცმა“ შასი G-3, „ბუსინგმა“ — G-31, „მაგირუსმა“ კი M-206 შეარჩია. სამივე ფირმამ ძრავა შასის წინა ნაწილში დატოვა, დანარჩენი კი საბრძოლო ნაწილს დაუთმო, სადაც მეთაური, მსროლელი და 2 მძღოლ-მექანიკოსი (კიჩოს ნაწილში დამატებით მართვის მეორე პოსტი მოეწყო) მოთავსდა.

„დოიჩე ვერკეს“ ჯავშანკორპუსი ნაგლინი ფოლადისგან იყო დამზადებული და მედეგობის გასაზრდელად დახრის დიდი კუთხეები ჰქონდა.

შეიარაღება წრიულად მბრუნავ კოშკურაში მოთავსებული 20 მმ-იანი ქვემეხისა და 7,92 მმ-იანი ტყვიამფრქვევისგან შედგებოდა. კავშირის საშუალებად ისევ დროშები დარჩა.

გამოცდაზე უკეთესი მახასიათებლები „მაგირუსმა“ გამოავლინა — მართვის ორივე პოსტიდან ორივე მხარეს ერთნაირი სიჩქარით მოძრაობა შეეძლო, მაგრამ უარი არც სხვა ფირმებმა მიიღეს.

შეკვეთის თანახმად, „მაგირუსმა“ 75, „დაიმლერ-ბენცმა“ 36 და „ბუსინგმა“ 21 ახალი მოდელის ჯავშანავტომობილი Sd Kfz 231 (6-Rad) დაამზადეს.

დაბალი გამავლობა-მანევრულობის მქონე Sd Kfz 231 (6-Rad)-ით დასრულდა გერმანული დაჯავშნული ავტომობილების ერთგვარად გარდამავალი პერიოდი და დაიწყო იმ დროისათვის სრულიად განსხვავებულ კონსტრუქციათა საფუძველზე შექმნილი ჯავშანტექნიკის ეტაპი.

1935 წლიდან „ბუსინგის“ ყველა წამყვანთვლიან ოთხღერძა შასიზე (GS) ჯავშანავტომობილის საპროექტო სამუშაოებმა მეტი აქტუალურობა შეიძინა. პროტოტიპის საგამოცდო ციკლმაც კარგად ჩაიარა და 1936 წელს არმიამ შეიარაღებაში Sd Kfz 231 ინდექსით მიიღო. ახალ ჯავშანავტომობილს იმავე ინდექსის მატარებელი სამღერძა უნდა შეეცვალა და განმასხვავებლად აღნიშვნა (8-Rad) დაემატა.

Sd Kfz. 231 (8-Rad)-ში ყველაზე საინტერესო ოთხღერძა შასი იყო. მოხვევისას თვლების პირველი ორი წყვილი მოხვევის მიმართულებით, ხოლო ორი უკანა კი საწინააღმდეგო მხარეს უხვევდა. თანაც პირველი და მეოთხე წყვილები მოხვევის მეტ კუთხეს იღებდნენ.

რევერსი წინა და უკანა მიმართულებით მოძრაობისას ერთნაირ სიჩქარეს უზრუნველყოფდა, რაც გამავლობასა და მანევრულობას აუმჯობესებდა.

„დეუთიშე ვერკეში“ დამზადებული ჯავშანკორპუსი ეკიპაჟს მხოლოდ შაშხანის ვაზნებისა და ჭურვის ნამსხვრევებისგან იცავდა, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა და შუბლის მხარეს ჯავშნის სისქემ 30 მმ-მდე მოიმატა.

შეიარაღება 20 მმ-იანი ქვემეხისა და 7,92 მმ-იანი ტყვიამფრქვევისგან შედგებოდა.

სახაზო ჯავშანავტომობილებთან სერიულ წარმოებას იმავდროულად რადიოსადგურითა და ჩარჩოსებური ანტენით აღჭურვილი Sd Kfz 232 (8-Rad) გადაეცა.

1938 წლიდან GS-ის შასიზე საშტაბო მანქანები (Sd Kfz 263) მზადდებოდა. სხვა მოდელებისგან მათ დიდი შიდა მოცულობა განასხვავებდა, სადაც ძლიერი რადიოსადგური და ხუთკაციანი ეკიპაჟი თავსდებოდა.

Sd.Kfz.250/1: მასა — 5,38 ტ, ეკიპაჟი — 2 კაცი, დესანტი — 4 კაცი, ჯავშანი — 8-15 მმ, კარბურატორიანი 100 ცხ.ძალიანი ძრავა, სიჩქარე — 60 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 300 კმ, შეიარაღება — 7,92 მმ-იანი ტყვიამფრქვევი



ეროვნული ბიბლიოთეკა

Sd Kfz 263-მა სატანკო დივიზიებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა და, ფაქტობრივად, მოძრავი სამეთაურო პუნქტის დანიშნულებას ასრულებდა.

საბჭოთა კავშირთან ომის პირველივე თვეებში Sd Kfz 231 (8-Rad)-ის დაბალი საცეცხლე შესაძლებლობები გამოვლინდა.

გერმანული „ელვისებური“ ომის კონცეფცია კარგ დაზვერვაზე იყო გათვლილი, სადაც წარმატებას ბევრად განაპირობებდა მოწინააღმდეგის ძალების სწრაფად აღმოჩენა და დაცვის ხაზებში სუსტი ადგილების გამოვლენა.



Sd.Kfz.252: მასა — 5,73 ტ, ეკიპაჟი — 2 კაცი, ჯავშანი — 8-18 მმ, კარბურატორიანი 100 ცხ.ძალიანი ძრავა, სიჩქარე — 65 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 320 კმ, შეიარაღება — 7,92 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

სადაზვერვო მეწინავე რაზმების ჯავშანავტომობილების ეკიპაჟებს კი ტექნიკის დაბალი საცეცხლე შესაძლებლობები მოქმედების საშუალებას ყოველთვის არ აძლევდა.

მაშინ გაჩნდა მოკლელულიანი 75 მმ-იანი სატანკო ქვემეხით (KwK 38) აღჭურვილი საცეცხლე მხარდამჭერის მანქანის იდეა და მოკლე დროში პროტოტიპიც აიგო და Sd Kfz 233 სერიულ წარმოებასაც გადაეცა.

ევროპაში საბრძოლო მოქმედებათა არეალის გაფართოებასთან ერთად გერმანია ჯარების გადასხმას ჩრდილო აფრიკაშიც გეგმავდა, სადაც მოკავშირე იტალიის არმია არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში იყო.

1940 წლის 5 აგვისტოს შეიარაღების სამმართველომ აფრიკის პირობების გათვალისწინებით ახალი დაჯავშნული ავტომობილის შექმნა „ბუსინგს“, ხოლო კოშკურის კი „დაიმლერ-ბენცსა“ და „ფრიდრიხ შიჰაუს“ დაავალა.

ახალ ჯავშანავტომობილზე ჰაერით გაგრილების დიზელის ძრავას გამოყენება გადაწყდა, რომლის პროექტირება-დამზადება ჩეხოსლოვაკიურ „ტატრას“ დაევალა.

ორ წელიწადში საცდელი პროტოტიპი მომზადდა და გამოიცადა, მაგრამ დიზელის ძრავას სრულყოფამ იმდენად ბევრი დრო მოითხოვა, რომ აფრიკის კამპანია ვერმახტმა ახალი ჯავშანავტომობილების გარეშე მარცხით დაასრულა.

დიზელისძრავიანი ჯავშანავტომობილი (Sd Kfz 234) სერიული წარმოების კონვეიერზე 1943 წლის მეორე ნახევარში დადგა. წინა მოდელებისაგან განსხვავებით შუბლის 30 მმ-მდე გაზრდილი ჯავშანი 20 მმ-იან ტანკსაწინააღმდეგო ჭურვებსაც კი უძლებდა.

მომატებული წონის მიუხედავად, ძლიერი ძრავა, გაზრდილი კლირენსი და დიდი დიამეტრის თვლები კარგ გამავლობას მაინც უზრუნველყოფდა.

საბაზო Sd Kfz 234/1 მოდელი გერმანელმა კონსტრუქტორებმა სამი სახის თვითმავალი საარტილერიო დანადგარის დასამზადებლად გამოიყენეს:

Sd Kfz 234/2 Puma-ს წრიულად მბრუნავ კოშკურაში 50 მმ-იანი გრძელლულიანი ქვემეხი (Kwk-39/1) ჰქონდა დაყენებული და საბჭოთა T-34-ებს წარმატებით ებრძოდა. ამ მოდიფიკაციის ჯავშანავტომობილებზე ინფრაწითელი პროჟექტორი და ღამის ხედვის ხელსაწყოები გამოიცადა;

Sd Kfz 234/3-ის დაბალპროფილიანი ღია საბრძოლო ჯიხური 75 მმ-იანი მოკლელულიანი ქვემეხით (K51) იყო აღჭურვილი და Sd Kfz 233-ის მსგავს ტანკსაწინააღმდეგო დანადგარს წარმოადგენდა;

ბოლო მოდიფიკაცია Sd Kfz 234/4 იყო, რომელიც 75 მმ-იანი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხით (PaK 40) იყო შეიარაღებული;

მე-2 მსოფლიო ომის დროინდელ მსუბუქ ჯავშანტექნიკაში საუკეთესო მახასიათებლების გამო Sd Kfz 234 ტიპის ჯავშანავტომობილებს გამორჩეული ადგილი უკავიათ.

გერმანიის არმიის სატანკო შეტევები ყოველთვის ქვეითთა თანხლებით მიმდინარეობდა — ქვეითები ტანკების დაცვასთან ერთად შეტევით აღებულ პოზიციებსაც იკავებდნენ.

ასეთი ამოცანების ეფექტურად შესრულება მხოლოდ მოტორიზებულ და კარგად დაცულ ქვეით ქვედანაყოფებს შეეძლოთ, რისთვისაც საუკეთესო საშულებად ჯავშანტრასპორტიორი ჩაითვალა.

მართალია, ჯავშანტრასპორტიორების შექმნის გამოცდილება არ ჰქონდათ, მაგრამ 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან გერმანული ფირმების პროგრა-

Sd.Kfz.251/22 — თვითმავალი საარტილერიო დანადგარი აღჭურვილი იყო 75 მმ-იანი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხით



ეროვნული ბიბლიოთეკა

მებში არცთუ მცირე ადგილი ნახევრად მუხლუხა საარტილერიო გამწევებმა დაიკავეს, რაც პროექტირებას აადვილებდა.

ახალი სატანკო და მოტორიზებული დივიზიების ფორმირებამ ჯავშანტრანსპორტიორებზე მოთხოვნა კიდევ უფრო გაზარდა და საპროექტო სამუშაოებმა მეტი ინტენსივობა შეიძინა.

ექსპერიმენტული პროტოტიპებით დადგინდა ამ სახის ტექნიკის მრავალმხრივი შესაძლებლობები და დაიწყო მუშაობა მსუბუქი და საშუალო ჯავშანტრანსპორტიორთა შესაქმნელად.

1939 წელს ვერმახტის შემადგენლობაში მოიერიშე საარტილერიო ქვედანაყოფთა ჩამოყალიბებამ წინ წამოსწია ჭურვების გადამზიდი ტრანსპორტიორებისა და საარტილერიო მართვის მანქანების საჭიროება. შესაბამისად, სერიულად პირველად ამ დანიშნულების ტექნიკა დამზადდა.

ჭურვების გადამზიდ სპეციალურ ტრანსპორტიორს (Sd Kfz 252) მთლიანად დაჯავშნული კორპუსი ჰქონდა, რომლის მკვეთრად დაცერებულ კიჩოში ჭურვების დატვირთვა-გადმოტვირთვისთვის ფართო ლიუკი იყო დატოვებული.

საარტილერიო მართვის მანქანასაც (Sd Kfz 253) განსაკუთრებული ფორმის ჯავშანკორპუსი ჰქონდა და რადიოსადგურით იყო აღჭურვილი.

ორივე შემთხვევაში შასი მსუბუქი ჯავშანტრანსპორტიორის (Sd Kfz 250) იდენტური იყო და ძალიან მალე გაირკვა, რომ სპეციალიზებული ჯავშანტექნიკის საჭიროება თურმე არც კი იყო.

1941 წლის ივნისიდან მსუბუქი ჯავშანტრანსპორტიორების (Sd Kfz 250) სერიული წარმოება დაიწყო.

ჯავშანტრანსპორტიორის ბორტები, შუბლი და კიჩო — 14,5 მმ-იანი, ხოლო ფსკერი კი 8 მმ-იანი ფოლადის ფურცლებით იყო შეკრული. მედეგობის გასაზრდელად ბორტებს დახრის დიდი კუთხეები ჰქონდა მიცემული.

ჯავშანტრანსპორტიორის სტანდარტულ აღჭურვილობაში ტყვიამფრქვევთან ერთად 2 მეტრი სიგრძის მანჭვალიანი ანტენა შედიოდა.

სადესანტო განყოფილება სრულად შეიარაღებულ 4 ჯარისკაცს იტევდა.

ჯავშანტრანსპორტიორის შასიზე კაბელჩამწყობი, სხვადასხვა მოდიფიკაციის კავშირის მანქანა, თვითმავალი არტილერიის დაკვირვებისა და ცეცხლის მართვის მანქანა, საბრძოლო მასალების ტრანსპორტიორი, თვითმავალი 81 მმ-იანი ნაღმსატყორცნი, თვითმავალი 75 მმ-იანი საარტილერიო დანადგარი, სადაზვერვო მანქანა, თვითმავალი ტანკსაწინააღმდეგო დანადგარი და სხვა ტექნიკა მზადდებოდა.

„ჰანომაგის" საშუალო ჯავშანტრანსპორტიორი (Sd Kfz 251) ათკაციან დანაყოფს იტევდა და ქვეითთა მიღება-ჩამოსვლისთვის კიჩოში კარი იყო გამოჭრილი.

ჯავშანტრანსპორტიორის მთავარი დანიშნულება ქვეითების სწრაფი გადაყვანა იყო, მაგრამ ამასთან, საარტილერიო სისტემების ბუქსირებასა და საბრძოლო საშუალებათა ტრანსპორტირებას უზრუნველყოფდა. მან აფრიკისა და აღმოსავლეთის ფრონტის უგზოობის პირობებში კარგი გამავლობა გამოავლინა.

Sd Kfz 251-ის 22 მოდიფიკაციაა ცნობილი: 81 მმ-იანი თვითმავალი ნაღმსატყორცნი, კავშირის მანქანა, საარტილერიო გამწე, მესანგრეთა მანქანა, 75 მმ-იანი თვითმავლი საარტილერიო დანადგარი, სატელეფონო კაბელების ჩამწყობი, თვითმავალი პროჟექტორი, თვითმავალი ცეცხლსატყორცნი, სხვადასხვა სახის თვითმავალი საზენიტო დანადგარები, მოძრავი სატელეფონო სადგური, თვითმავალი ინფრაწითელი პროჟექტორი და სხვ.

**შალვა გოგიბერიძე**






# ბელგიელი კომანდოსები

## ბელგიელი პარაშუტისტ-კომანდოსები

ბელგიის საგანგებო ოპერაციათა ძალები პარაშუტისტ-კომანდოსების ბრიგადასა და საგანგებო დაზვერვის ქვედანაყოფებს აერთიანებს. საუკეთესოდ მომზადებულ პირად შემადგენლობას მაღალი დონის მობილურობა, საცეცხლე მომზადება და სახელოვანი წარსული აქვს. ბელგიელი კომანდოსების შესრულებული დავალებები სირთულით ამერიკულ რეინჯერთა ოპერაციებს არ ჩამოუვარდება, თუმცა მათი მომზადება განსხვავებულია.

ბელგიელ პარაშუტისტთა პირველი ასეული 1942 წლის 8 მაისს დიდ ბრიტანეთში მოხალისეებისგან ჩამოყალიბდა. ორწლიანი ინტენსიური წვრთნების შემდეგ ასეული (მეთაური კაპიტანი ბლონდილი) ოპერატიულ ქვედანაყოფად ცნეს და „ბელგიური ესკადრონის" სახელით სახელგანთქმულ SAS-ის ბრიგადაში ჩაირიცხა.

1944 წლის ივლისში ბელგიელ პარაშუტისტთა ჯგუფები საფრანგეთში (არდენი და ბოჟე), ბელგიასა (გედინი, ჰოგე-ვენენი და ლიმბურგი) და ჰოლანდიაში ფრისლანდის მახლობლად დივერსიული ამოცანების შესასრულებლად გადასხეს.

პარაშუტისტები მოკავშირეთა ჯარების ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ და ბრიტანელთა მე-6 საპარაშუტო დივიზიას სადაზვერვო მონაცემებით უზრუნველყოფდნენ.

1945 წლის აპრილში ქვედანაყოფის რიცხოვნობა გაიზარდა და პოლკის სტატუსს მიაღწია, რომელიც ჰოლანდიასა და გერმანიის ჩრდილოეთში დისლოცირებული სამი სადაზვერვო რაზმისგან შედგებოდა.

პოლკი ერთადერთი ბელგიური ქვედანაყოფია, რომელიც 1944 წლის ივლისიდან 1945 წლის მაისის ჩათვლით გერმანელების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა.

SAS-ის შემადგენლობიდან მოკავშირეთა პირველი ქვედანაყოფია, რომელმაც ბელგიის საზღვრები გადალახა და ქვეყანას განმათავისუფლებლად მოევლინა.

გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ პარაშუტისტები დანიასა და გერმანიის სამხრეთში კონტრდაზვერვითი ღონისძიებებით იყვნენ დაკავებულნი.

პოლკი ვესტმალში განთავსდა და წვრთნებსაც იქ გადიოდა. 1945 წლის აგვისტოში იქვე მოსამზადებელი ცენტრი შეიქმნა, ხოლო 1946 წლის მარტში პოლკი პოულსიურში გადავიდა.

პრინც-რეგენტის 1946 წლის 26 აგვისტოს დეკლარაციით პოლკი შტანდარტით დაჯილდოვდა. დღეისთვის შტანდარტი 1-ელ საპარაშუტო ბატალიონთან ინახება.

შტანდარტის ქსოვილზე ამოქარგულია ის ადგილები, სადაც პარაშუტისტები იბრძოდნენ: ნორმანდია, ბელგია, არდენი, ემდენი, ოლდენბურგი.

1953 წელს გადაიყვანეს ბატალიონი დისტში, სადაც დღემდე იმყოფება. საგანგებო ოპერაციების ძალების მებრძოლები ატარებენ წითელ ბერეტებს, რომლებზეც მეორე მსოფლიო ომიდან SAS-ისგან მემკვიდრეობით გადმოცემული ემბლემაა მიმაგრებული.

## კომანდოსები

კომანდოსთა ქვედანაყოფის ფორმირება 1942 წლის სექტემბერში შოტლანდიაში, აკნაკარის მიდამოებში დაიწყო. პირველ ბელგიელ მოხალისეებს მოგვიანებით ევროპის ოკუპირებული ქვეყნების (საფრანგეთი, ჰოლანდია, პოლონეთი) მოქალაქეებიც შეუერთდნენ.

ერთი წლის შემდეგ ქვედანაყოფი გემებით ჩრდილოეთ აფრიკაში გადაიყვა-



ბელგიელი სპეცრაზმელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



პარაშუტით ხტომა მომზადების ერთ-ერთი ელემენტია

ნეს, საიდანაც შემდეგ იტალიაში მოკავშირეთა მე-8 არმიის რიგებში იბრძოდნენ.

1944 წლის იანვარში კომანდოსები ამერიკის მე-5 არმიას გადაეცა და მდინარე გარიანოსთან მიმდინარე ბრძოლებში მონაწილეობდნენ.

1943-44 წლების ოპერაციებში გამოჩენილი მამაცობისთვის ქვედანაყოფმა შტანდარტზე Italy-ს ამოქარგვის უფლება მიიღო.

1944 წლის მარტში ბელგიური ქვედანაყოფი ბრიტანელ კომანდოსთა მე-4 ბრიგადის შემადგენლობაში შეიყვანეს და გადაიყვანეს იუგოსლავიაში, კუნძულ ვისზე, რომელსაც ბროზ ტიტოს პარტიზანები ბაზად იყენებდნენ.

კუნძულიდან კომანდოსები ადრიატიკის ზღვაში გერმანული სატრანსპორტო გემების წინააღმდეგ რეიდებს აწყობდნენ და თავი არ შეირცხვინეს, ამიტომაც შტანდარტს მომდევნო წარწერა Yugoslavia დაემატა.

1944 წლის მაისში კომანდოსები ბრიტანეთში დაბრუნდნენ, სადაც მათი რიგები შეივსო და დამატებით მომზადების კურსები გაიარეს.

1944 წლის ნოემბერში კომანდოსები მოკავშირეთა ჯარებთან ერთად კარგად დაცულ-გამაგრებულ კუნძულ ვოლჩერენზე გადასხდნენ. კუნძულიდან გერმანელები მდინარე შილდზე ნაოსნობას ბლოკავდნენ, რის გამოც მოკავშირეები ანტვერპენის ნავსადგურს ვერ იყენებდნენ. ამ ოპერაციის შემდეგ შტანდარტზე კიდევ ერთი წარწერა Walcheren-ი გამოჩნდა. 1944 წლის 15 მაისს კი ქვედანაყოფმა კომანდოსთა პოლკის ოფიციალური სტატუსი მიიღო.

1952 წელს ბელგიური საპარაშუტო და კომანდოსთა ქვედანაყოფები პარაშუტისტ-კომანდოსთა პოლკში გაერთიანდნენ.

1955 წელს ბელგიის კონგოში პარაშუტისტთა მე-3 ბატალიონი ჩამოყალიბდა. ბატალიონის ფორმირებისთვის ბაზად პარაშუტისტთა 1-ელი და კომანდოსთა მე-2 ბატალიონის ქვედანაყოფებია გამოყენებული.

1960 წელს ბელგიის კონგოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი ომის დროს პარაშუტისტთა მე-3 ბატალიონმა მრავალ საჰაერო-სადესანტო ოპერაციასა თუ რეიდში მიიღო მონაწილეობა.

1962 წელს ბატალიონმა დატოვა თავისი ბაზა ბურუნდიში და ბელგიაში დაბრუნდა და ლომბარსიჟდში ახალ ყაზარმებში განთავსდა.

1977 წელს ბატალიონმა დისლოცირების ადგილი კიდევ ერთხელ შეიცვალა და  დანიის საზღვართან ახლოს, კემპენში დამკვიდრდა.

1983 წელს პარაშუტისტ-კომანდოსების ბატალიონს ერთ-ერთი ოცეულის მეთაურად ბელგიის პრინცის მიღების პატივი დასდეს. ყაზარმები, სადაც ახლა ბატალიონია განთავსებული, კაპიტან პიერ გაილის სახელობისაა. კაპიტანი 1953 წელს კორეის ომში დაიღუპა.

ბატალიონის შტანდარტზე ზემოთ ხსენებულის გარდა ამოქარგულია ის ადგილებიც, სადაც ბელგიელ მოხალისეთა კორპუსი კორეის ომში 1951-53 წლებში იბრძოდა.

## პარაშუტისტ-კომანდოსთა მონაწილეობა სამხედრო მოქმედებებში

1960 წელს პარაშუტისტთა 1-ელმა ბატალიონმა ლულუაბერში ბლოკირებული ევროპელი ახალმოსახლეები გაათავისუფლა. ოპერაციები ჩაატარა ელიზავეტპოლსა და ჯადოტვილში, ხოლო 1961-62 წლებში რუანდასა და ბურუნდიში საზოგადოებრივი წესრიგი აღადგინა.

1964 წლის ნოემბერში 1-ელმა ბატალიონმა კონგოში ჩაატარა სამაშველო ოპერაციები, რომლის დროსაც სტენლივილსა და პაულისში დატყვევებული ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე გამოიხსნა. 48 საათზე ნაკლებ დროში პარაშუტისტთა ორი დესანტი გადასხეს და ოპერაციაში, რომელსაც „წითელი დრაკონი“ (დამამთავრებელი ფაზა „შავი დრაკონი“ იყო) ერქვა, აგრეთვე პარაშუტისტთა მე-3 ბატალიონის ქვედანაყოფი და კომანდოსების მე-2 ბატალიონის მე-12 ოცეული მონაწილეობდა.

1978 წლის მარტში პარაშუტისტთა 1-ელი ბატალიონი ზაირში გადაისროლეს. აქ  კომანდოსთა მე-2 ბატალიონის ნახევართან, პარაშუტისტთა მე-3 ბატალიონთან ერთობლივად მონაწილეობდა ოპერაცია „წითელ ლობიოში“, რომლის დროსაც იერიშით აიღეს კალვეზი და უცხოეთის 2000 მოქალაქე გაათავისუფლეს.

1979 წელს მე-2 ბატალიონი ზაირში ადგილობრივი არმიის დასახმარებლად გაიგზავნა.

1990 წელს კომანდოსების მე-2 ბატალიონი სადაზვერვო ესკადრონთან ერთად რუანდაში ჰუმანიტარულ ოპერაცია „მწვანე ლობიოში“ მონაწილეობდა.

1991 წლის სექტემბერში ოპერაცია „ლურჯი სხივის“ დროს პარაშუტისტ-კომანდოსების 1-ელი და მე-2 ბატალიონები ზაირიდან ევროპელთა ევაკუაციას უზრუნველყოფდნენ.

იმავე წელს ბელგიელი პარაშუტისტები ირანში აჯანყებული ქურთების დასახმარებლად მოქმედებდნენ.

## ბრიგადის შექმნა

ამ პერიოდისთვის პოლკი ტანკსაწინააღმდეგო ასეულით, საველე არტილერიის ბატარეითა და სადაზვერვო ესკადრონით გაძლიერდა.

1991 წლის ნოემბერში უზრუნველყოფისა და მხარდაჭერის ქვედანაყოფებით შევსებული პოლკი პარაშუტისტ-კომანდოსების ბრიგადად გადაკეთდა. ერთ-ერთი პირველი ქვედანაყოფი, რომელიც ახალშექმნილი ბრიგადის შემადგენლობაში შევიდა, სახელოვანი და დიდი ტრადიციების მქონე მე-3 სადაზვერვო-საპარაშუტო პოლკი იყო.

პოლკის წინამორბედად ითვლება ბელგიელ კარაბინერთა შენაერთი, რომელიც ჯერ კიდევ 1814 წლის 7 სექტემბერს სამეფო ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა. 1815 წლის 5 მაისს ბელგიის სახელმწიფოს სამხედრო მი-

ნისტრმა კავალერისტთა პოლკებისთვის საგანგებო, ერთიანი ნუმერაციის სისტემა დააწესა, რის შედეგადაც ბელგიელ კარაბინერთა მე-2 პოლკის დასახელება მიიღო და ამ ნომრით ვატერლოოს ბრძოლაში მონაწილეობდა.

1863 წელს კავალერიის რეორგანიზაციის შემდეგ პოლკი ულანთა მე-3 პოლკად გადაკეთდა.

პოლკი პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობდა. კავალერიის მოტორიზაციის გადაწყვეტილების შესაბამისად, 1938 წლიდან შეიარაღებაში მოტოციკლეტები და პატარა მუხლუხა მანქანები გამოჩნდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პოლკი სატანკოდ გადაკეთდა. ცივი ომის პერიოდში, ბერლინის კედლის დანგრევამდე, მას არაერთი რეორგანიზაცია შეეხო და რამდენჯერმე გადაიარაღდა. 1978 წელს, პოლკი სადაზვერვო ჯარების სარდლობას დაუქვემდებარეს, შტაბბინით — სპიჩში.

## საბრძოლო მოქმედებები ბრიგადის შემადგენლობაში

1992 წელს პარაშუტისტთა 1-ელი ბატალიონი ამერიკელ კოლეგებთან ერთად სომალიში მშვიდობის დამყარების ოპერაციაში მონაწილეობდა.

1993 წლის იანვარში მე-3 ბატალიონი კვლავ აფრიკაში დაბრუნდა. ამჯერად კონგოს დედაქალაქ ბრაზავილში ოპერაცია „მზიური ზამთრის" ჩასატარებლად. 1993 წლის აგვისტო-სექტემბერში მე-3 ბატალიონი სომალიში გაეროს სამშვიდობო ოპერაცია UNOSOM-ში მონაწილეობდა.

1993-94 წლებში 1-ელი ბატალიონი, გაეროს მისიის ფარგლებში რუანდაში მშვიდობას იცავდა. იქ ერთ-ერთი ოპერაცია „სუფთა დერეფანი" იყო, რომლის დროსაც ბატალიონი გზებზე უსაფრთხო მოძრაობას უზრუნველყოფდა, რათა რუანდის პატრიოტული ფრონტის მებრძოლები მოსალაპარაკებლად კიგალიში მშვიდობიანად მისულიყვნენ.

1994 წლის აპრილში კომანდოსთა მე-2 და პარაშუტისტ-კომანდოსთა მე-3 ბატალიონები ოპერაცია Silver Back-ში მონაწილეობდნენ და ბელგიისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეთა უდანაკარგო ევაკუაცია უზრუნველყვეს.

1997 წლის 24 მარტს პარაშუტისტთა 1-ელმა და კომანდოსთა მე-2 ბატალიონებმა, მე-3 ბატალიონის 22-ე ოცეულთან ერთად ოპერაცია Green Stream-ის დროს ზაირიდან ევროპელთა ევაკუაციის უსაფრთხოება უზრუნველყვეს.

ბრიგადის ქვედანაყოფები ბოსნიაში სამშვიდობო ოპერაციაშიც მონაწილეობდნენ.

## ბრიგადის ორგანიზაცია

დღეისთვის პარაშუტისტ-კომანდოსთან ბრიგადა ბელგიის მთელ ტერიტორიაზეა გაფანტული და შედგება: პარაშუტისტ-კომანდოსთა 3 ქვეითი ბატალიონისგან, ულანთა მე-3 საპარაშუტო პოლკისგან, საველე არტილერიის ბატარეისგან, 35-ე საჰაერო თავდაცვის ბატარეისგან, მე-14 საინჟინრო, 210-ე უზრუნველყოფისა და მე-17 სამედიცინო ასეულებისგან.

## პარაშუტისტთა პირველი ბატალიონი

1-ელი ბატალიონის დისლოცირების ადგილია ქალაქი დისტი. იგი, ძირითადად, მოხალისეებით არის დაკომპლექტებული და დაახლოებით ხუთასამდე პარაშუტისტ-კომანდოსს ითვლის.

ბატალიონი აერთიანებს საშტაბო და 4 ქვეითი ასეულს. საშტაბო ასეული სამეთაურო ჯგუფის, უზრუნველყოფის, მომსახურებისა (სამედიცინო მხარდაჭერის სექცია) და ნაღმსატყორცნელთა ოცეულებისაგან შედგება. საცეცხლე მხარდაჭერის ნაღმსატყორცნელთა ოცეულს შესასრულებელი ამოცანებიდან გამომდინარე, შეიარაღებაში ექვსი 81 მმ-იანი ან ამავე რაოდენობის 106,7 მმ-იანი ნაღმსატყორცნი აქვს.

ქვეითი ასეულის შემადგენლობაში სამეთაურო და ორი ქვეითი ოცეულია. ქვეითთა მესამე ოცეული მოქმედებას ომის საფრთხის ან თვით ომის დროს იწყებს.

ქვეითთა ოცეული 2 სექციისა და ტანკსაწინააღმდეგო დანაყოფისგან შედგება, ხოლო ეს უკანასკნელი Milan-ის ტიპის ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსებით არის აღჭურვილი.

ბატალიონი ევროპაში მოკავშირეთა სარდლობის მობილური ძალების შემადგენლობაში სწრაფი რეაგირების ქვედანაყოფის სახით შედის.

1-ელ ბატალიონს მონაწილეობა შეუძლია საჰაერო-სადესანტო, აერომობილურ თუ ქვეით საბრძოლო, საავარიო-სამაშველო და სამშვიდობო ოპერაციებში.

ბატალიონის თითოეული მებრძოლი ვალდებულია ყოველწლიური სამედიცინო შემოწმება გაიაროს და სამსახურებრივი ვარგისიანობის ფიტნესტესტები ჩააბაროს.

საკუთარი კვალიფიკაციის დასამტკიცებლად ნებისმიერი პარაშუტისტ-კომანდოსი ვალდებულია პარაშუტით არანაკლებ ოთხჯერ გადმოხტეს. შესასრულებელ ამოცანათა სიმრავლიდან გამომდინარე, პირადი შემადგენლობა მრავალფეროვან მომზადებას გადის.

წელიწადში ერთხელ ბატალიონი ოტერბურნში (დიდი ბრიტანეთი) მიემგზავრება, სადაც წვრთნებს ტაქტიკის განსავითარებლად და საბრძოლო ტექნიკის გამოყენების ასამაღლებლად გადის.

მთელი წელი პარაშუტისტ-კომანდოსთა თითოეული ასეული მომზადების პროგრამას გადის როგორც დამოუკიდებლად, ასევე ბატალიონის შემადგენლობაში და სამთო წვრთნებში მონაწილეობს. ყოველ ასეულს საშუალება აქვს გამოცდილების გაზიარების პროგრამის შესაბამისად მოემზადოს უცხოურ ქვედანაყოფთან ერთად, როგორც ბელგიაში, ასევე საზღვარგარეთ.

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

კომანდოსებს მოქმედება მეტწილად აფრიკაში უხდებათ



ეროვნული ბიბლიოთეკა

# შვეულმფრენები



## ამერიკული დამრტყმელი „ინდიელი“

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N25, 2010-N2-6, 2011)

ვიეტნამის ომიდან ამერიკელებმა სათანადო დასკვნა დროულად გამოიტანეს, სამხედრო კონცეფციებსაც გადახედეს და ახალი სამხედრო ტექნიკისთვის წაყენებული მოთხოვნებიც შეცვალეს.

მართალია, ტანკების წინაალმდეგ შვეულმფრენები მასშტაბურად პირველად ებრაელებმა გამოიყენეს, მაგრამ ამერიკელებსაც დიდი გამოცდილება ჰქონდათ და 1972 წელს აშშ-ის არმიამ ახალ ტანკსაწინაალმდეგო შვეულმფრენზე კონკურსი გამოაცხადა.

მთავარი მოთხოვნა იყო შვეულმფრენს დღე-ღამის მანძილზე, ნებისმიერ მეტეოპირობებში, ძლიერი ჰაერსაწინაალმდეგო თავდაცვის პირობებშიც კი, ტანკები გაენადგურებინა.

აშშ დამრტყმელი შვეულმფრენის იდეაზე მყარად „იჯდა“, იმავდროულად კი „კობრის“ შეცვლის თაობაზე გაურკვეველი ვითარება შეიქმნა. პროექტზე 1965 წლიდან კომპანია Lockheed-ი მუშაობდა და ჩანაფიქრით უახლოეს წლებში ტანკსაწინაალმდეგო შვეულმფრენის ადგილს „ლოქჰიდის“ AH-56 დაიკავებდა.

აპარატს საკმაოდ უცნაური სქემა ჰქონდა. კერძოდ, „კობრის“ მსგავსი ფიუზელაჟი მზიდი და კუდის ხრახნებით, მაგრამ კუდზე დამატებით მიმწოლი ხრახნი გამოჩნდა. სიახლემ სიჩქარის 407 კმ/სთ-მდე გაზრდა უზრუნველყო, რაც იმ დროისათვის წარმოუდგენელი მიღწევა იყო. „კობრის“ მსგავსად, შეიარაღებას ფრთებზე იყო ჩამოკიდებული.

პროექტის ამბიციურობის მიუხედავად, პროგრამა 10 პროტოტიპის შექმნით შემოიფარგლა, ხოლო 1972 წელს კი საერთოდ დაიხურა.

ასეთ ვითარებაში არმიამ საბრძოლო შვეულმფრენთა გასაუმჯობესებელი კონკურსი გამოაცხადა და მასში მონაწილე ხუთი ფირმიდან გამარჯვება Hughes Helicopters-ის AH-64-ს დარჩა. 1981 წელს შვეულმფრენი სერიაში ჩაუშვეს და ამერიკულ ტრადიციისამებრ ინდიელთა ერთ-ერთი ტომის — Apache-ის სახელი ეწოდა.

1989 წელს ახალ დამრტყმელ შვეულმფრენს პირველი რეალური „სამუშაო“ გამოუჩნდა — ამერიკელები პანამაში შეიჭრნენ. ოპერაცია Just Cause-ს მიზანი ამერიკელ მოქალაქეთა დაცვა და ქვეყნის პრეზიდენტის გენერალ ნო-



„აპაჩი“ თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით, მსოფლიოში ყველაზე სრულყოფილი შვეულმფრენია

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიეგას დაკავება იყო. 20 დეკემბრის ღამით შვეულმფრენებმა 82-ე საპარაშუტო-სადესანტო და მე-7 მსუბუქი ქვეითი დივიზიის ქვედანაყოფები პანამაში გადასხეს.

საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე 11 „აპაჩის“ მოვალეობა პატრულირება და წინასწარ გამოვლენილი გამაგრებული ობიექტების განადგურება იყო.

ის, რისთვისაც „აპაჩი“ შეიქმნა, პანამაში პრაქტიკულად არ არსებობდა, მაგრამ ეკიპაჟები შეიარაღების ნომენკლატურას და მათ შორის — „ჰელფაიერის“ ტიპის მართვად ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებსაც (სულ 8 ცალი გაისროლეს) სრულად იყენებდნენ.

იმავე ოპერაციაში დებიუტანტის სახით „სტელსის“ ტექნოლოგიებით შექმნილი თვითმფრინავი F-117A მონაწილეობდა, მაგრამ ლათინური ამერიკის ეს ქვეყანა უახლესი შეიარაღებისთვის პრიმიტიული პოლიგონი გამოდგა.



ბრძოლაში „აპაჩებს“ ასეთი სადაზვერვო OH-58-ები მიჰყვებიან. სწორედ მათ მიერ აღმოჩენილ სამიზნეებს კი შემდგომ „ინდიელები„ ესხმიან თავს

პანამელებს საკადრისი პასუხის გაცემის საშუალება არ გააჩნდათ და ამერიკელები დაუსჯელად მოქმედებდნენ, მაგრამ ამის მიუხედავად, სამმა „აპაჩმა“ ცეცხლსასროლი იარაღისგან მსუბუქი დაზიანებები მაინც მიიღო.

„ამერიკელმა ინდიელმა“ თავისი შესაძლებლობები ერთი წლის შემდეგ სრულად გამოავლინა, როცა აშშ-მა ქუვეითში შეჭრილი ერაყის ჯარების განდევნის ოპერაცია წამოიწყო.

1991 წლის 17 იანვარს 1-ელი საშვეულმფრენო ბატალიონის 8 „აპაჩმა“ ერაყელთა შორი აღმოჩენის ორ სახმელეთო რადიოლოკაციურ სადგურსა და ელექტრომომარაგების საშუალებებზე იერიში მიიტანა.

დამრტყმელ შვეულმფრენთა თანმხლებმა ორმა EH-60A-მ ერაყელთა რადარები წინასწარ „დააბრმავა“, ხოლო ძირითადი შეტევა დაბალი სიმაღლიდან და 6 კმ მანძილიდან დაიწყო.

ეკიპაჟებმა ტყვია-წამალი არ დაზოგეს და 4 წუთში ერაყელებს 27 „ჰელფაიერი“, 70 მმ-იანი 100 უმართავი რაკეტა და 4 ათასი საქვემეხო ჭურვი ესროლეს.

რადარების განადგურებით 27 კმ-იანი დერეფანი გაჩნდა და რამდენიმე წუთში ასამდე დამრტყმელი თვითმფრინავისთვის ბაღდადისკენ გზა გათავისუფლდა.

ომის პირველ თვეს AH-64-ებმა ერაყელთა 32 ტანკი და 100-მდე ჯავშანტექნიკის სხვა ერთეული გაანადგურეს.

25 თებერვალს 30-მდე დამრტყმელმა შვეულმფრენმა ერაყულ ჯავშანკოლონას ჩასაფრება მოუწყო. ამის შესახებ მონაცემები ამერიკელებმა თანამგზავრებიდან მიღებული ფოტოებით დაადგინეს.

გზის პარალელურად, დაბალ სიმაღლეზე, ერთ ხაზზე ჩამწკრივებულმა „აპაჩებმა“ პირწმინდად გაანადგურეს ჯავშანკოლონა, რომელიც 84 ტანკის, ჯავშანტრანსპორტიორისა და ქვეითთა საბრძოლო მანქანის, 38 ავტომობილისა და 8 ქვემეხისგან შედგებოდა.

ამერიკელთა დანაკარგი „შილკასგან“ დაზიანებული ერთი „აპაჩი“ იყო. ეკიპაჟმა ავარიული დაჯდომა შეასრულა და გადარჩა.

ერაყის 42-დღიანი სამხედრო კამპანია აშშ-ს არმიას 20-ზე მეტ ჩამოგდებული შვეულმფრენად დაუჯდა, საიდანაც 3 — AH-64A (გამოყენებული 200-დან) 4 — AH-1S, 6 — UH-60, 4 — „იროკეზი“ და 3 სადაზვერვო OH-58 იყო.

თვენახევრიან კონფლიქტში „აპაჩმა“ მაღალი სიცოცხლისუნარიანობა გამოამჟღავნა. დაკარგული სამი აპარატისგან ერაყელებმა მხოლოდ ერთი ჩამოაგდეს. ორიდან ერთი სადესანტო ხომალდზე დატვირთვის დროს გაჩენილმა ხანძარმა იმსხვერპლა, მეორე კი აეროდრომზე საწვავით გამართვისას მომხდარ ავარიას შეეწირა.

2003 წლიდან „აპაჩების“ ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაიწერა — აშშ-მა ერაყში მორიგი სამხედრო ოპერაცია Iraq Freedom-ი წამოიწყო. ამჯერადაც დამრტყმელი შვეულმფრენები მოწინავე ხაზზე აღმოჩნდნენ. ოპერაციისათვის A (საბაზო მოდელი) და D (RamiT მოქმედებისთვის შექმნილი ვერსია) მოდიფიკაციის 140-მდე „აპაჩი“ გამოიყო.

თავიდან „აპაჩის“ კონცეფცია დღეღამის ნებისმიერ დროს გამოყენებაზე იყო გათვლილი, მაგრამ შვეულმფრენის ღამით ხედვის „თვალები“ არც ისე ეფექტური გამოდგა.

მოდერნიზაციით შექმნილ მოდიფიკაცია AH-64D Apache Longbow-ს წინამორბედისაგან მზიდი ხრახნის მილისაზე დამაგრებული რადიოლოკაციური



AH-56-მა ვერ აჯობა „აპაჩს“ და მუზეუმის ექსპონატად დარჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეს დამრტყმელი შვეულმფრენი მხოლოდ ერთ მიზანს — მოწინააღმდეგის აღმოჩენა-განადგურებას ემსახურება

სადგური და ცხვირა ნაწილის ფორმა განასხვავებდა, ხოლო საბორტო ელექტროაღჭურვილობის მოცულობის გაზრდამ კაბინის გვერდითი ნაკვეთურების გაგანიერება მოითხოვა.

აპარატის 2 მლნ დოლარის ღირებულების რადიოლოკაციური სადგური წინ 10 კმ-ზე ხედავს და 54 $მ^2$-ის ფართობზე 256-მდე სამიზნეს პოულობს, ხოლო საბორტო კომპიუტერის მონაცემთა ბაზა ტექნიკის იდენტიფიცირებას ახდენს. მას მოწინააღმდეგის რადარის აღმოჩენა და კოორდინატთა დადგენაც შეუძლია.

კიდევ სხვა გაუმჯობესებათა ხარჯზე Longbow (ქართულად „დიდ მშვილდს“ ნიშნავს) ერთნაირი ეფექტურობით როგორც დღისით, ასევე ღამით მოქმედებს.

ერაყში Longbow-ების გამოყენება ოპერაციის პირველივე საათებიდან დაიწყო და ეკიპაჟებმა მართვადი რაკეტებით ერაყელთა სამეთვალყურეო პუნქტი გაანადგურეს. რამდენიმე დღის შემდეგ ამერიკელმა პილოტებმა თავიანთ ანგარიშზე ტანკიც ჩაიწერეს.

**ავღანეთისა და ერაყის ორივე კამპანია აშშ-ს 27 „აპაჩის“ ფასად დაუჯდა**

2003 წლის 24 მარტს 35-40 შვეულმფრენის მონაწილეობით პირველი მასშტაბური რეიდი მოეწყო, მაგრამ ერაყელებმა ტექნიკა გადამალეს და მხოლოდ 4-5 ტანკისა და რამდენიმე ჯავშანტრანსპორტიორის განადგურება მოხერხდა.

ერაყელთა ცეცხლით 27 შვეულმფრენი დაზიანდა, ხოლო ერთ-ერთს РПГ-7-დან ნასროლი რეაქტიული ყუმბარა ძრავაში მოხვდა.

იმავე დღეს ამერიკელებმა პირველი AH-64D დაკარგეს. ამ შვეულმფრენთან დაკავშირებული ისტორია ერთგვარი დეტექტივია. ჩამოგდებული აპარატის ფონზე, ძველი თოფით ხელში ერაყელი გლეხის ფოტომ მთელი მსოფლიო შემოიარა. ერაყელები ამტკიცებდნენ, რომ ბერიკაცმა მსოფლიოში ყველაზე სრულყოფილი შვეულმფრენი ძველისძველი თოფით და ისიც მხოლოდ ერთი გასროლით ჩამოაგდო. ასეა თუ ისე, 18 მლნ დოლარად ღირებული შვეულმფრენი და ეკიპაჟი მოწინააღმდეგის ხელში აღმოჩნდა.

მეორე დღეს შოკირებულმა ამერიკელებმა შვეულმფრენის გასანადგურებლად მსხვილი ოპერაცია წამოიწყეს, მაგრამ მტვერმა ავიაციას მოქმედებაში ხელი შეუშალა, ხოლო არტილერიამ კი დააგვიანა და შედეგად ერაყელებმა ნაალაფარი სხვაგან გადაიტანეს.

ორდღიანი უშედეგო ძებნის შემდეგ აშშ-ის სპეცრაზმმა შვეულმფრენს ბაღდადის საერთაშორისო აეროპორტის მახლობლად მიაგნო და გამოძახებულმა ავიაციამ ის ბომბებით გაანადგურა.

დიდ პრობლემად გადაიქცა საველე აეროდრომებზე დიდი რაოდენობის დამრტყმელ შვეულმფრენთა საწვავითა და ტყვია-წამლით მომარაგება.

30 მარტს ქვეითთა დასახმარებლად გაგზავნილი ორი „აპაჩი“ ჩასაფრებაში მოხვდა. ფერდობიდან დაბალ სიმაღლეზე მფრენ შვეულმფრენებს ერაყელებმა ცეცხლი სხვადასხვა საშუალებითა და მათ შორის 23 მმ-იანი ავტომატებით გაუხსნეს. ორივე „აპაჩი“ დაზიანდა, მაგრამ ბაზამდე მაინც მიაღწიეს.

იშვიათი არ იყო ადამიანური ფაქტორით გამოწვეული დანაკარგიც. 31 მარტს მტვრის ქარბუქში მოხვედრილმა ეკიპაჟმა შეცდომა დაუშვა და დაჯდომისას შვეულმფრენი გადაყირავდა და მზიდი ხრახნის ნიჩბები დაამტვრია.

პრობლემათა მიუხედავად, ეკიპაჟები შეთანხმებულად მოქმედებდნენ და ბრიტანულ „ტორნადოებთან“ ერთობლივი მოქმედების ტაქტიკასაც კი ამუშავებდნენ.

ერაყის კამპანია Apache Longbow-სთვის შეიძლება დადებითად შეფასდეს. გამოსაყოფია არტილერიასთან, ზალპური ცეცხლის რეაქტიულ





ყველა ცხელ წერტილში „აპაჩების“ გვერდით, მათი უმცროსი ძმები „კობრები“ დგანან

სისტემებთან თუ ტანკებთან შეთანხმებული მოქმედებები. ყველაფერი ეს კი თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით გახდა შესაძლებელი.

ღამით ბრძოლისთვის AH-64D დამრტყმელ შვეულმფრენთა შორის ყველაზე ეფექტურია, მაგრამ ამერიკელები მის გამოყენებას მაინც დღისით ამჯობინებენ.

Apache-ის მაღალი ეფექტურობა მასში გამოყენებულმა ტექნოლოგიებმა უზრუნველყო და ამიტომაც ის თავის კლასში ყველაზე სრულყოფილ საფრენ აპარატად ითვლება, რომლის ერთადერთი დანიშნულება მოწინააღმდეგის აღმოჩენა-განადგურებაა.

მიღებული ტაქტიკის შესაბამისად, ამ ტიპის შვეულმფრენები ჯგუფურად ჩასაფრებიდან მოქმედებენ და მოწინააღმდეგის მოლოდინში ბუნებრივ რელიეფსა ან ხეებს ეფარებიან. თანაც ისე, რომ მზიდი ხრახნის მილისაზე დაყენებული რადიოლოკაციური სადგურით მიდამოს ზვერავენ. სამიზნის აღმოჩენისთანავე ყველა შვეულმფრენი ჩასაფრებიდან გამოდის, ხსნის ცეცხლს და ისევ იმალება.

ბრძოლაში შვეულმფრენს მანევრულობაც ეხმარება. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ 100 კმ/სთ-ში სიჩქარეს „აპაჩი“ სულ რაღაც 6 წმ-ში აღწევს. ასეთი მაჩვენებელი კი ბევრ სპორტულ ავტომობილსაც კი შეშურდება.

ნებისმიერ დამრტყმელ შვეულმფრენზე ჯავშანს დიდი ყურადღება ეთმობა. „აპაჩზე“ საწვავის ავზები და ეკიპაჟის კაბინა ამ მხრივ ყველაზე უკეთ დაცულია.

საწვავის ავზების ადგილები შიგნიდან ეპოქსიდური ფისის სამი შრით არის დაფარული. ზევიდან ბალისტიკური ქაფის ბლოკები აქვს დაწებებული და პოლიმერული ქსოვილის რამდენიმე შრით არის შეფუთული, რომელიც გარედან კევლარით არის დაჯავშნული. რეზინისგან დამზადებული ავზები სპეციალური რეაგენტით არის გაჟღენთილი, ავზის გახვრეტისას საწვავთან შეხებისას რეაქციაში შედის და გახვრეტილ ადგილს ავსებს.

AH-64D-ს მოდერნიზებისას კაბინიდან ამოღებული 1200-მდე ხელსაწყო, ტუმბლერი თუ ღილაკი ციფრული სისტემებით შეიცვალა. გასაკვირია და 14 მეტრი სიგრძის შვეულმფრენში 13 კმ ელექტროსადენია გამოყენებული. შედარებისთვის: ეს ეიფელის კოშკის სიმაღლეს 40-ჯერ აღემატება.

დღეისთვის ეს დამრტყმელი შვეულმფრენი მსოფლიოს 13 ქვეყნის შეიარაღებაშია. მათ შორის არიან დიდი ბრიტანეთი (66 AH-64D და 67 AH-64D), ბაჰრეინი (8 AH-64A), საბერძნეთი (37 AH-64A და 12 AH-64D, ეგვიპტე (35 AH-64A), ისრაელი (30 AH-64A და 18 AH-64D), ქუვეითი (12 AH-64D), ჰოლანდია (29 AH-64D), არაბთა გაერთიანებული საამიროები (30 AH-64A), საუდის არაბეთი (12 AH-64A), სინგაპური (12 AH-64D), აშშ (241 AH-64A და 500AH-64D), იაპონია (10 AH-64D), ტაივანი (30 AH-64D).

ავღანეთისა და ერაყის ოპერაციებში „აპაჩების“ გვერდით მათი „უმცროსი ძმები“ — „კობრები“ დგანან. სამხედრო კამპანიის პირველივე დღეებიდან მოქმედებებში „კობრის“ AH-1W მოდიფიკაცია (საზღვაო ქვეითთა კორპუსს ეკუთვნის) აქტიურად არის ჩართული. სწორედ მათი ბორტიდან შესრულდა პირველად თერმობარული საბრძოლო ქობინის მქონე „ჰელფაიერის“ ტიპის რაკეტების სროლები, რომლის ეფექტურობამ მოლოდინს გადააჭარბა.

ამ რაკეტებს შენობა-ნაგებობების გასანადგურებლად (მათ შორის ბაღდადშიც) იყენებდნენ. გამოცდილ ოპერატორს რაკეტის „შეგდება“ შენობის ფანჯარაშიც კი შეუძლია. დახურულ სივრცეში საბრძოლო ქობინი მაქსიმალურ ეფექტს იძლევა და 2-3-სართულიანი შენობიდან მხოლოდ ნანგრევებიღა რჩება.

ამერიკელ საზღვაო ქვეითებს „სუპერკობრები“ დაეხმარნენ ქალაქ ალნასირისათვის ბრძოლებში. ერთ დღეში შვეულმფრენებმა 138 საბრძოლო გაფრენა შეასრულეს და მსუბუქი დაზიანება მხოლოდ 8 მათგანმა მიიღო.

ბაღდადის სამხრეთით სადამ ჰუსეინის არმიის ელიტურ ნაწილებთან — რესპუბლიკურ გვარდიასთან ბრძოლებში შვეულმფრენები პრაქტიკულად 24 სთ-ის განმავლობაში მოქმედებდნენ. რამდენიმე დღე საზღვაო ქვეითებს დღისით — 4 წყვილი, ხოლო ღამით კი 3 წყვილი საცეცხლე მხარდაჭერას უკეთებდა.

ზოგიერთი შვეულმფრენის გამოყე-



ერაყის მეორე კამპანიისას ჰუსეინის განადგურებული ტანკების უმეტესობა დამრტყმელი შვეულმფრენების ანგარიშზე მოდიოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერაყსა თუ ავღანეთში ქვეითი ჯარის ერთადერთ იმედად ისევ შვეულმფრენი რჩება

ნება 48 სთ-ის განმავლობაში შეუჩერებლად მიმდინარეობდა. „სუპერკობრები" მიწაზე მხოლოდ საწვავისა და ტყვიაწამლის შესავსებად ეშვებოდნენ. ეკიპაჟებიც მაშინ იცვლებოდნენ და ყველაფერი ეს ძრავების გამოურთველად ხდებოდა. ღამით ფრენისას მფრინავები ღამის ხედვის სათვალეებს იკეთებდნენ.

ოპერაცია Iraq Freedom-ის მსვლელობისას, „სუპერკობრებმა" ერაყულ სამიზნეებზე 334 „ჰელფაიერი", 345 „თოუ", 55665 უმართავი საავიაციო რაკეტა და 20 მმ-იანი ქვემეხის 64016 ჭურვი დახარჯეს.

გაანადგურეს 697 სამიზნე, საიდანაც 47 T-55-ის ტიპის ტანკი, 9 — T-62, 34 — T-72, 77 ჯავშანტრანსპორტიორი და 82 საარტილერიო დანადგარი იყო. ერთ-ერთი საბრძოლო გაფრენისას, შვეულმფრენების ეკიპაჟებმა აეროდრომზე 4 МиГ-29-ის ტიპის გამანადგურებელი აღმოაჩინეს, მაგრამ განადგურების უფლება არ მიეცათ.

| მოდიფიკაცია | AH-64A | AH-64D Longbow |
|---|---|---|
| სიგრძე მზიდი ხრახნით, მ | 17.73 | |
| სიმაღლე, მ | 3.87 | 4.95 |
| მზიდი ხრახნის დიამეტრი, მ | 14.63 | |
| წონა – ცარიელის, კგ | 4660 | 5165 |
| წონა – მაქსიმალური ასაფრენი, კგ | 8000 | 10433 |
| ძრავა | 2xGeneral Electric T700-GE-701 | 2xGeneral Electric T700-GE-701C |
| სიმძლავრე, ცხ.ძ | 2x1695 | 2x1890 |
| მაქსიმალური სიჩქარე, კმ/სთ | 300 | 293 |
| პრაქტიკული მანძილი, კმ | 690 | 476 |
| ფრენის ხანგრძლივობა, სთ | 3.57 | 2.44 |
| პრაქტიკული ჭერი, მ | 6100 | 5915 |
| ეკიპაჟი | 2 | |
| შეიარაღება | | |
| ქვემეხი | 30 მმ-იანი M230 Chain Gun | |
| საბრძოლო კომპლექტი | 1200 | |
| მართვადი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები | 4×4×AGM-114 | |
| უმართავი რაკეტები | 4×19×70 მმ-იანი Hydra | |

დღეს ერაყსა თუ ავღანეთში ამერიკული შვეულმფრენები ვიეტნამის მსგავსად მეტწილად ტვირთის გადატანით, დაშორებული ბაზების მომარაგებითა და ქვეითთა საცეცხლე მხარდაჭერით არიან დაკავებული. თუმცა ჯუნგლებით დაფარული ვიეტნამისგან განსხვავებით, აზიის ამ ქვეყნების ქვიშიანი გარემო შვეულმფრენთა მოქმედებაზე გავლენას ახდენს.

მართალია, ახლა ერაყსა და ავღანეთში საბრძოლო მოქმედებები ნაკლები ინტენსიურობით მიმდინარეობს, მაგრამ ზოგჯერ ჩასაფრებაში მოყოლილი ქვედანაყოფის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად ისევ შვეულმფრენი რჩება. შვეულმფრენი შეუცვლელია დაჭრილთა დროულ ევაკუაციაშიც.

მსოფლიოს ამ ცხელ წერტილებში შვეულმფრენთა გამოყენება მაინც რისკთან არის დაკავშირებული. 2001 წლიდან მოყოლებული ავღანეთში ამერიკელებმა სხვადასხვა მიზეზით 49 შვეულმფრენი დაკარგეს, საიდანაც 9 დამრტყმელი — 7 AH-64 და 2 AH-1W (გამოყენებული 54-დან) იყო.

ავღანეთთან შედარებით საავიაციო დანაკარგის სტატისტიკა ერაყში ბევრად შემაშფოთებელია. 2003 წლიდან ამ ქვეყანაში ტექნიკურ გაუმართაობას, ეკიპაჟის შეცდომებსა თუ პარტიზანთა ცეცხლს 87 შვეულმფრენი შეეწირა. აქედან, არსებული ცნობებით, 17 „აპაჩი" და 6 „კობრა" იყო.

**ალექსანდრე აფაქიძე**

# ლეონიდას სპარტელი



ლეონიდასი სპარტის მეფე და მხედართმთავარი იყო, რომელმაც სამხრეთი საბერძნეთი სპარსელებისგან დაიცვა. მისმა მცირერიცხოვანმა ამალამ სიკვდილამდე იბრძოლა თერმოპილესთან, რამაც ლეონიდასს სახელი მოუხვეჭა და მამაცი სპარტელის რეპუტაცია დაუმკვიდრა. სახელი ლეონიდასი „ლომის სულის მქონეს“ ნიშნავს. მისი ქანდაკება ახლაც დგას ბრძოლის ველთან ახლოს, მეორე ქანდაკება კი ქალაქ სპარტის შუაგულშია აღმართული, დღევანდელი საბერძნეთის ლაკონიის მხარეში, პელოპონესში.

უცნობია, როდის დაიბადა ლეონიდასი, მაგრამ ვიცით, რომ ის სპარტის მეფე ანაქსანდრიდე II-ის ვაჟი იყო. 489 წელს მან ტახტზე თავისი ნახევარძმა კლეომენე შეცვალა, რომელიც ჭკუიდან შეიშალა და თავი მოიკლა. ლეონიდას I-მა კლეომენეს ქალიშვილი გორგო შეირთო ცოლად. მიჩნეულია, რომ ლეონიდასი კლეომენეს მხარს უჭერდა ათენზე თავდაპირველი შეტევის დროს, თუმცა სპარსელებთან ბრძოლის სურვილით სულაც არ იწვოდა. სპარსელებსა და ბერძნებს შორის ომი ძვ. წ. 546 წელს დაიწყო. ამ დროს სპარსულმა ჯარებმა ანატოლიაში, ბერძნული ქალაქ-სახელმწიფო იონია (თანამედროვე თურქეთში) აიღეს. ძვ. წ. 500 წელს იონიელი ბერძნები აჯანყდნენ. მართალია, იონიელთა აჯანყება ჩაახშვეს, მაგრამ ათენელებმა ამბოხებულებს მცირე ფლოტილია მაინც გაუგზავნეს დასახმარებლად. ეს დარიოსმა საბაბად გამოიყენა და საბერძნეთის ევროპული ნაწილისკენ დაძრა ფლოტი. ძვ. წ. 492 წელს ევროპისკენ დაძრული სპარსელების ხომალდები ქარიშხალმა იმსხვერპლა. ორი წლის შემდეგ, 490 წელს, დარიოსმა მარათონის მახლობლად 25000 მეომარი გადასხა. ათენმა მომხდურთა განდევნაში დახმარება სპარტას სთხოვა. სპარტელები რელიგიური დღესასწაულის გამო დაყოვნდნენ, ამიტომაც ათენელებს 10000 კაცითა და პლატედან მაშველად მოსული 1000 მეომრით მოუწიათ მტერთან გამკლავებამ. სანამ სპარსთა კავალერია საქმით იყო გართული, ბერ-

**თერმოპილეს ხეობაში ლეონიდასის წინააღმდეგობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბერძნებზე და სპარტელთა იდეალი აამაღლა. როდესაც „უკვდავნი“ გამოჩნდნენ მცირერიცხოვანი ბერძნების უკან, ლეონიდასმა თავისი მებრძოლები პატარა გორაკზე გაამაგრა. იქ მათ წრე შეკრეს და სისხლის ბოლო წვეთამდე მედგრად იბრძოლეს.**



ეროვნული ბიბლიოთეკა



სალიის დაცვის მთავარ გეგმაზე არარეალურობის გამო უარი თქვეს. ამის მაგივრად, ბერძნები თერმოპილეს ვიწრო ხეობაში გამაგრდნენ.

ზღვიდან შემოტევებისგან რომ დაეცვათ ჯარი, ბერძნული ფლოტილიის 271 ხომალდი არტემისიონთან დადგა სამხედრო რეიდზე და კუნძულ სკიათოსსა და კონტინენტურ საბერძნეთს შორის უბეების გამაგრება ითავა.

## „მაშ, ჩვენ ჩრდილში შევებრძოლებით“

სპარსთა რაზმმა 200 ხომალდის შემადგენლობით ბერძენთა გაოცება სცადა, მაგრამ ბერძნებმა წინასწარვე გაითვალისწინეს ეს ხრიკი და უკუდგნენ, რათა მტრის ფლოტილიის ძირითადი ნაწილი ჩაერთოთ ბრძოლაში. იმ ღამით შემაძრწუნებელმა ქარიშხალმა სპარსული ფლოტი გაანადგურა, პორტში გამაგრებულ ბერძნებს კი ზარალი არ მისდგომიათ. ამასობაში თერმოპილესთან ლეონიდასი 200000-კაციან ლაშქარს შეებრძოლა.

ძენთა სარდალმა მილტიადესმა შანსი გამოიყენა და შეტევაზე გადავიდა. ათენელებმა გადამწყვეტი ბრძოლა მოიგეს და მხოლოდ 192 კაცი დაკარგეს, სპარსელებმა კი — 6400 მეომარი.

## სპარსელთა დაბრუნება

მარათონთან განცდილი მარცხის შემდეგ სპარსელები შინ დაბრუნდნენ, მაგრამ ათი წლის შემდეგ ბევრად მრავალრიცხოვანი ლაშქრით დაიძრნენ ქსერქსეს მეთაურობით, რომელმაც მამამისი დარიოსი ძვ. წ. 486 წელს შეცვალა. ეს უზარმაზარი ძალა ნელა მიიწევდა დასავლეთისკენ. ბერძნებს მომზადების საშუალება ჰქონდათ. სპარსელთა წინააღმდეგ ბერძნული გაერთიანება ძვ. წ. 481 წელს შეიქმნა. ჯარის წინამძღოლობა სპარტელებს ერგოთ, ფლოტისა — ათენელებს. თე-



„ლიგა“
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge

თერმოპილე „თბილ ჭიშკარს“ ნიშნავს. ამ ხეობის სახელიც სწორედ იქიდან მომდინარეობს, რომ იქვე გოგირდის თბილი წყაროები ამოჩქეფს. ერთი მხრიდან ზღვით, მეორიდან კი ციცაბო კლდეებით შემოსაზღვრული ხეობა თავდასაცავად საუკეთესო სტრატეგიული ადგილია, რომელიც სამხრეთ და ჩრდილოეთ საბერძნეთს შორის მიმავალ გზას აკონტროლებს. ქსერქსეს უზარმაზარი ძალის წინააღმდეგ, რომელსაც, გადმოცემით, 20000 ლიბიელი მეეტლე ჰყოლია, ლეონიდასმა


სპარტის მეფე ლეონიდას მადლიერმა ბერძნებმა ძეგლი აუგეს

როდესაც ლეონიდასი წინააღმდეგობისთვის ემზადებოდა, სპარსი დესპანი ეახლა, რომელმაც სცადა აეხსნა, თუ რა უსარგებლო იქნებოდა სპარსელთა უზარმაზარ არმიასთან შერკინება. „ჩვენ იმდენი მოისარი გვყავს, მათი მხოლოდ თითო გასროლა დააბნელებს მზეს“, — უთხრა ლეონიდასს. „მაშ, ჩვენ ჩრდილში შევებრძოლებით“, — მიუგო მეფემ დესპანს.

4000 პელოპონესელი გამოიყვანა, მათ შორის — 300 სპარტელი, ელიტური სამეფო ჯარი. მონათა და ბერძენ ყმათა კონტინგენტი მაქსიმუმ 6000-7000 უნდა ყოფილიყო.

### ხეობის შენარჩუნება

თერმოპილესთან ბრძოლამ სამ დღეს გასტანა ძვ. წ. 480 წლის აგვისტოში. მიუხედავად იმისა, რომ მეტად მცირენი იყვნენ ლეონიდასის მეომრები, მაინც მამაცურად იგერიებდნენ სპარსელთა შეტევებს. ქსერქსემ თავისი ელიტური ჯარის — „უკვდავთა“ გაგზავნა გადაწყვიტა, მაგრამ ამაოდ — უმეტესობამ ბრძოლაში ჩაბმა ვერ შეძლო ხეობის სივიწროვის გამო. ბერძნები უფრო გრძელი შუბებით იყვნენ შეიარაღებულნი და „უკვდავთ“ ახლოს არ უშვებდნენ, ამიტომ ისე ჩანდა, რომ ბერძნები განუსაზღვრელი დროით იდგებოდნენ ხეობაში. მაგრამ ბრძოლის მეორე დღეს ბერძენმა მოღალატემ, სახელად ეფიალტემ ქსერქსეს შესთავაზა, ბერძნულ ჯარს უკნიდან მოვუაროთო და მთიდან მიპარვა ურჩია. იმავე ღამეს 10000 „უკვდავი“ ჰიდარნეს მეთაურობით გზას გაუდგა. იმ გზაზე 1000 ფოკელი იყო ჩაყენებული, რომელთაც ლეონიდასმა ხეობის დაცვა დაავალა. ფოკელებმა მომხდური რომ დაინახეს, იფიქრეს, შევებრძოლოთო და ბორცვზე ავიდნენ შეტაკების დასაწყებად, მაგრამ სპარსელთა ათასეულმა მათ გვერდი აუარა და გზა განაგრძო.

როგორც კი ბერძნებმა შეიტყვეს, სპარსელთა ჯარი ფლანგიდან გვივლისო, ლეონიდასს შესთავაზეს: ან უკუვიქცეთ, ან მივიმალოთო. ლეონიდასმა ყველა დაითხოვა, ვისაც წასვლა სურდა. იგი ხეობაში 300 სპარტელით, 400 თებელითა და 700 თესპიელით დარჩა სასიკვდილო ბრძოლის გასამართად. ლეონიდასი მოკლეს, მისი მებრძოლები გაჟლიტეს. ლეონიდასის თავგანწირვამ ბერძნებს საშუალება მისცა დისციპლინირებულად დაეხიათ უკან. იმ დროისათვის, როდესაც სპარსელებმა ათენს მიაღწიეს და გადაწვეს ქალაქი, მოსახლეობა უკვე გახიზნული იყო.

შეიძლება ლეონიდასი ასეთი გმირული სიკვდილის მოსურნეც იყო, თუმცა, ისიც შესაძლოა, მის თვითმკვლელობის ტოლფას საქციელს სხვა მიზეზიც ჰქონოდა. მისანს ნაწინასწარმეტყველები ჰქონდა, რომ ან სპარტა დაიღუპებოდა, ან მისი რომელიმე მეფე. სპარტას ტრადიციულად ორი მეფე მართავდა. თავისი სიკვდილით ლეონიდასმა მშობლიური ქალაქი იხსნა დაღუპვისაგან. მას მერე, რაც სპარსელებმა ათენი აიღეს, ისინი ზღვაზე დამარცხდნენ ბერძნებთან. ეს სალამინთან ბრძოლაში მოხდა, რამაც ბოლო მოუღო ქსერქსეს საბერძნეთზე ბატონობას. ლეონიდასსა და გორგოს ვაჟი პლისტარქე სპარტის მეფე გახდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რომაელთა ლაშქრობა ქართულ მიწაზე



გნეუს პომპეუსი

„...ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, იბერიის საპასუხო სამხედრო მოქმედებები თანმიმდევრულია და აშკარად ერთიან სტრატეგიას ექვემდებარებოდა, მოწინააღმდეგის ძალების რეალური შეფარდებიდან გამომდინარე, გადამწყვეტი ბრძოლის გამართვა შესაძლებელია იბერთა მარცხით და მთელი ომის ელვისებური წაგებით დასრულებულიყო, ამიტომ არტაგმა უარი სთქვა გადამწყვეტი ბრძოლის გამართვაზე და ქვეყნის სიღრმეში საარიერგარდო ბრძოლებისა თუ ბუნებრივი დაბრკოლებების საშუალებით ცდილობდა ომის გაჭიანურებასა და მოწინააღმდეგის მოქანცვის ტაქტიკას“.

*სოსო მარგიშვილი*



ლეგიონი მარშისას

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N25, 2010-N2-6, 2011)

ქრისტესშობამდე II საუკუნეში რომის მზარდ და ამბიციურ გეგმებში კავკასიის დაპყრობაც დადგა, არადა, კავკასია და ახლო აღმოსავლეთი ამ დროს ძალზე რთულ და ჩახლართულ პოლიტიკურ სიტუაციებში იყო.

ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის ნანგრევებზე წარმოქმნილი სელევკიდების ირანული იმპერია ერთმანეთის მიყოლებით კარგავდა ტერიტორიებს, რომლის ადგილზეც ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები იქმნებოდა. ასე დაუმეზობლდნენ საქართველოს სამხრეთით პართიის ირანული სახელმწიფო, არმენიის და პონტოს აგრესიული სამეფოები.

ამ დროს გართულდა იბერიის ქართული სამეფოს მდგომარეობაც — ქვეყნის სამხრეთის არცთუ მცირე ტერიტორიები ირანმა და არმენიამ მიიტაცა.

პონტოს სამეფო კი უკვე აშკარად იკიდებდა ფეხს კოლხეთში, სადაც იბერიის სამეფოს გავლენის შესუსტება შეიმჩნეოდა. მეფე ფარნავაზის შექმნილი ერთიანი ქართული სახელმწიფო დაირღვა და დასავლეთი კოლხეთი იბერიას მხოლოდ ნაწილობრივ თუ ემორჩილებოდა.

რომაელებმა ქრისტესშობამდე 190 წელს სელევკიდებს მაგნეზიის ბრძოლა მოუგეს და აზიაში ფეხის მოკიდებას შეეცადნენ. წარმატებულ სამხედრო ოპერაციებთან ერთად რომი „ჩვეულ სტილსაც“ არ ღალატობდა და პოლიტიკური ხრიკებით, სახელმწიფოთა ერთმანეთზე გადამტერებითაც მოქმედებდა.

ქრისტესშობამდე 120 წელს პონტოში სახელოვანი მითრიდატე VI ევპატორი გამეფდა, რომელიც რომის უძლიერეს

ხიდის ნაშთი მცხეთასთან, რომელიც არტაგმა ჯერ დაუნგრია, შემდეგ კი აღუდგინა პომპეუსს



ეროვნული ბიბლიოთეკა

იმპერიას არ შეუშინდა და დაუპირისპირდა. შეიძლება ითქვას, რომს მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ჰანიბალის შემდეგ ასეთი მძლავრი მოწინააღმდეგე არ ჰყოლია. დაიწყო ხანგრძლივი ომი, რომელმაც თითქმის 30 წელს გასტანა და რასაც ქართველნიც ვერ ასცდნენ.

**თავიდან მითრიდატემ შეძლო რომის წინააღმდეგ კავკასიურ სახელმწიფოთა გაერთიანება. იბერიელები, სომხები, ალბანელები რომაელებს ერთად ებრძოდნენ და მითრიდატემ რომაელების არა მარტო შეკავება, არამედ მათი კავკასიიდან და მცირე აზიიდან განდევნაც კი მოახერხა.**

მაგრამ აქ რომაელებმა ჩვეული პოლიტიკური ხრიკები და ტაქტიკა აამუშავეს, რითაც მითრიდატეს მოკავშირეები ზოგი ბრძოლით, ზოგიც იძულებით ჩამოაშორეს.

გადამწყვეტი ომის წინ რომის აღმოსავლური სამხედრო კამპანიის სარდლად სახელოვანი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე გნეუს პომპეუსი დაინიშნა.

**პონტოს მეფის მთავარი მოკავშირე არმენიის მეფე ტიგრანი იყო. რომაელებმა პირველსავე ბრძოლაში სასტიკად დაამარცხეს არმენები და ტიგრანი ახლა უკვე რომაელთა მოკავშირეობაზე დათანხმდა. ის ამჯერად მითრიდატეს წინააღმდეგ გამოვიდა და რომაელთა საამებლად მისი შეპყრობისათვის ჯილდოც კი დააწესა.**

მარტოდმარტო დარჩენილმა პონტოს მეფე მითრიდატემ ბრძოლა ვერ გაბედა და იბერიის გავლით კოლხეთში გაიქცა.

ტიგრანის დამორჩილების შემდგომ რომაელებმა მტკვრის ქვემო წელზე მათ



იბერის დედაქალაქი — მცხეთა

ბანაკზე თავდასხმისას ალბანელებიც დაამარცხეს და იბერიას მოადგნენ.

მცდარია შეხედულება თითქოს რომაელებმა იბერიაში ლაშქრობა მხოლოდ მითრიდატე VI-ის საბოლოო განადგურების მიზნით მოაწყვეს. ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო, მაგრამ ეს უფრო საბაბად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე ნამდვილ მიზეზად.

რომს უფრო ახალი ტერიტორიების დაპყრობა, დამორჩილება და სიმდიდრე აინტერესებდა.

სწორედ ამ მიზეზებმა გამოიწვია ქრისტეშობამდე 65 წელს რომის ლეგიონების ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე შემოჭრა.

ქართულ და უცხოურ ლიტერატურაში გაბატონებულია აზრი, რომ რომაელთა სამხედრო კამპანია იბერიაში ასე თუ ისე გასეირნება იყო და რომაელებმა საკმაოდ ადვილად მოახერხეს იბერიის დამორჩილება.

აწ გარდაცვლილი სამხედრო ისტორიკოსი **სოსო მარგიშვილი** დღემდე ერთადერთი მკვლევარია, რომელიც პომპეუსის იბერიაში ლაშქრობას სამხედრო-სტრატეგიული და კრიტიკული კუთხით მიუდგა.

სწორედ მისი მონოგრაფიის, ძველი რომაელი ავტორების ცნობების, თანამედროვე გამოკვლევებისა და ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა საფუძველზე რომაელთა საქართველოში ლაშქრობა შემდეგი სახით წარმოგვიდგინა.

მთელი რიგი რომაული უძველესი ცნობები გასაგებ მიზეზთა გამო ცალმხრივი და მიკერძოებულია. დიონ კასიოსი, პლუტარქე, აპიანე და ანტიკური ხანის სხვა ისტორიკოსები ამ ომის აღწერისას ამბობენ, რომ იბერიის მეფე არტაგი მთელი სამხედრო კამპანიის მანძილზე გარბოდა და რომაელები მას მისდევდნენ.

ამასთან, რომაელთა ცნობებით, იბერიის დალაშქვრა იმანაც განაპირობა,

**პომპეუსის ლაშქრობის სავარაუდო მარშრუტი და ბრძოლის ადგილები**



ეროვნული ბიბლიოთეკა



რომაული რელიეფი. შეტევა ციხესიმაგრეზე

რომ პომპეუსმა შეიტყო თითქოს იბერიის მეფე არტაგი (იგივე არტოკლე) რომაელთა ბანაკზე მალულ თავდასხმას აპირებდა. არადა, მანამდე პომპეუსთან მიდიან არტაგის ელჩები და დაზავებას სთავაზობენ. უცნობია, რაზე შეთანხმდნენ არტაგი და პომპეუსი, თუმცა სამხედრო დაპირისპირების თავიდან აცილება მაინც არ მოხერხდა.

ქრისტეშობამდე 65 წელს პომპეუსი, სავარაუდოდ, 3 ლეგიონითა და დამხმარე ძალებით (დაახლოებით 20 ათასი მეომარი) უნდა შემოსულიყო.

რომაული ლეგიონი 6 ათას მეომარსა და დამხმარე პერსონალს ითვლიდა. იბერიაში ლაშქრობისას დადასტურებულია ცალკეული კოჰორტებისა თუ „საარტილერიო“ და საინჟინრო ნაწილების შემოყვანა.

**გაზაფხულზე მოულოდნელად რომაელები საქართველოში, როგორც უკვე დამტკიცებულია, აღმოსავლეთიდან, თანამედროვე აზერბაიჯანის მხრიდან შემოვიდნენ, და არა სამხრეთიდან, სამცხე-ჯავახეთის გავლით.**

პომპეუსი არმიით მტკვრის ხეობას აუყვა და ისე მიადგა იბერიის სამეფოს დედაქალაქ მცხეთას, რომ გზაში დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია.

მოულოდნელი შემოჭრისათვის გამოიყენა როგორც დეზინფორმაცია, თითქოს ის ალბანეთში ლაშქრობას აპირებდა, აგრეთვე, სწრაფი საბრძოლო მარშ-ნახტომი, რითაც ლეგიონი დღეში 40 კმ-ს ფარავდა.

რომაელთა მოულოდნელმა ხრიკმა ნაყოფი გამოიღო, იბერიის მეფემ ვერ შეძლო ჯარების დროულად ორგანიზება და ვერც დედაქალაქამდე საბრძოლო წინაღობები შექმნა.

აღმოსავლეთიდან დედაქალაქს საკმაოდ მძლავრი არმაზციხე იცავდა (მისი ნაშთები დღესაცაა შემორჩენილი), მაგრამ იქ ნამდვილად არ იყო ბრძოლისათვის აუცილებელი მრავალრიცხოვანი გარნიზონი და ვერც მოუმზადებელმა არტაგმა გარისკა რომაელთა ჯარებთან პირისპირ შებმა.

არტაგი სწორად მოიქცა და ციხესიმაგრე ბრძოლის წინა ხაზად გამოიყენა. სანამ რომაელები არმაზციხეს უტევდნენ, თავად მცირერიცხოვანი ჯარებით ორგანიზებულად უკან დაიხია და ხელსაყრელი პოზიციები დაიკავა.

სავარაუდოდ, არმაზციხის მამაცმა დამცველებმა რომის სახელოვან ლეგიონებთან საარიერგარდო ბრძოლაში თავი გაწირეს, მაგრამ სამეფოს ძალები გადაარჩინეს და იბერიაში ელვისებური გამარჯვების პომპეუსის გეგმა პირველსავე ბრძოლაში კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს.

**სანამ რომაელები ციხის აღებას და მტკვრის მარჯვენა მხარის მთლიანად დაკავებას მოახერხებდნენ, არტაგმა ხიდის აყრა და გადასასვლელი ფონების ჩაკეტვა მოასწრო.**

მაშინდელი რომის არმია პროფესიონალი მეომრებით იყო დაკომპლექტებული და ისინი ნებისმიერი რელიეფისათვის მორგებულ ტაქტიკას ფლობდნენ, არც მდინარის ფორსირება იყო მათთვის უცხო საქმე.

რომაელები მდინარის გადალახვას დიდი დროისა და მსხვერპლის საფასურად შეძლებდნენ, მაგრამ ომის შეყოვნება არც რომისა და არც პომპეუსის გეგმებში ნამდვილად არ შედიოდა.

აქ რომაულმა ხრიკებმა მაინც ითამაშა გარკვეული როლი, რაზეც რომაელი ავტორები საეჭვოდ დუმან. როგორც ჩანს, პომპეუსი არტაგს შეუთანხმდა, თუ ხიდს აღუდგენდა, მაშინ უბრძოლველად გაეცლებოდა.

არტაგმა პირობა შეასრულა, ხოლო პომპეუსი გადავიდა თუ არა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მოულოდნელად კვლავ განაგრძო ბრძოლა.

არტაგმა ბრძოლას თავი კვლავ აარიდა და არაგვის ხეობისაკენ დაიხია, მაგრამ ხელსაყრელი დისტანცია უკვე დაკარგული ჰქონდა და რომაელები კუდში მისდევდნენ.

ერთადერთი გამოსავალი პირისპირ ბრძოლა იყო და არაგვის ხეობაში (სოსო მარგიშვილის სავარაუდო გამოთვლებით ჟინვალ-ანანურთან) იბერიელებმა მომზადებულ პოზიციებზე რომაელებს მძიმე ბრძოლა გაუმართეს. სასტიკ ომში 9 ათასი იბერიელი მეომარი დაიღუპა. რომაელთა დანაკარგი არ ჩანს, თუმცა ისინიც საკმაოდ უნდა დაზარალებულიყვნენ.

ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ წინააღმდეგობა არ შეუწყვეტიათ და პარტიზანული ომის ტაქტიკაზე გადავიდნენ. არტაგმა ამჯერად არაგვის მარ-



რომაული ლეგიონის კატაპულტი, რომელიც ქვის ჭურვს 300-მ-მდე ტყორცნიდა



**კუს წყობით ციხე-სიმაგრეზე შტურმი**

ჯენა სანაპირო გაამაგრა და, როგორც ჩანს, ახალი შევსება მიიღო, ან მოკავშირე ჩრდილოკავკასიელი მეომრები შეემატნენ. სხვა მხრივ ძნელად ასახსნელია ის ფაქტი, რატომ ვერ შეძლეს რომაელებმა ქართველთა საბოლოო განადგურება.

საკმაო ლოდინის შემდეგ რომაელებმა საბოლოო იერიშის მიზნით არაგვი გადალახეს. ამ ფაქტს დამაჯერებლობას ვერც ადიდებული არაგვის გადალახვის სირთულე მატებს, რადგან რომაულ არმიას ნებისმიერი დიდი მდინარის ფორსირება სწრაფად შეეძლო და თუნდაც ადიდებული არაგვი მათ ნამდვილად ვერ შეაყოვნებდა.

პომპეუსმა მდინარე გადალახა, მაგრამ ბრძოლის გაგრძელება არც



**ბრძოლას ლეგიონერები შუბების ტყორცნით იწყებდნენ და შემდეგ ხმლებით ბრძოლაზე გადადიოდნენ**

ერთ მხარეს აღარ აკმაყოფილებდა და ქართველები და რომაელები დაზავდნენ.

გაჭიანურებული ბრძოლისა და დროის გაყვანის ტაქტიკამ, ასე თუ ისე, გაამართლა და არტაგმა დამარცხებულ სიტუაციაშიც კი პომპეუსთან მეტნაკლებად ხელსაყრელ ზავს მიაღწია.

პომპეუსმა გზა განაგრძო და სურამის ქედით დასავლეთ საქართველოში გადავიდა, რომელიც ამ დროს სკეპტუხიებად იყო დაყოფილი. ზოგი სკეპტუხია იბერიის შემადგენლობაში შედიოდა, ამიტომ არტაგთან დადებული ზავის გამო პომპეუსმა უბრძოლველად გაიარა.

**მაგრამ დამოუკიდებელი სეპარატისტული სკეპტუხიები რომაელებს არ დაემორჩილნენ და ბრძოლა გაგრძელდა. მაგალითად, ქალაქ ვანში აღმოჩენილია რომაული კატაპულტის ჭურვები და ნანგრევების კვალი.**

რომაელების კავკასიურ პოლიტიკას წინ ვეღარავინ დაუდგა. თუმცა, უფლება გვაქვს თამამად განვაცხადოთ, რომ მარცხისა და დაზავების მიუხედავად, არტაგმა სახელმწიფოებრიობისა და სამეფოს შენარჩუნება შეძლო.

რომის მძლავრ სახელმწიფოს ქართული სახელმწიფოს მოსპობა არ გაუჭირდებოდა, მაგრამ ის მოერიდა მებრძოლი ქართველების უსასრულო წინააღმდეგობას და სტრატეგიულად საჭირო კავკასიის არასტაბილურობის, ამის სანაცვლოდ იბერიის „მოკავშირეობა“ მიიღო.

**არტაგის ბრძოლის ტაქტიკამ რომი აიძულა, ქართული სახელმწიფოს არსებობას შეჰგუებოდა.**

**გიორგი ბერიძე**



**რომაელებთან „ნაბრძოლი“ არმაზციხის ნაშთები**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანეკდოტი

● სტალინის სახლ-მუზეუმში სვანი შევიდა და სავარძელში ჩაჯდა. რამდენიმე წუთში მასთან დაცვა მივიდა და ეუბნება:

— აქ დაჯდომა არ შეიძლება, ეს სტალინისაა.

— გავიგე, ძმაო, რომ მოვა, ავდგები.



● ამერიკული სამხედრო თვითმფრინავი ჩამოვარდა შავ ზღვაში. გადარჩენილმა ეკიპაჟმა პლაჟამდე მიაღწია, კაპიტანი ეუბნება მფრინავს:

— მიდი და გაიგე, რომელ ქვეყანაში ვართ!

მფრინავი მივიდა პლაჟზე წამოწოლილ გოგონასთან, რომელიც მზეს ეფიცხებოდა:

— მის, სად ვართ?

— შენ მე ვინ გგონივარ, აქედან დაიხვიე, სანამ ჩემი ძმისთვის დამიძახია!

— სერ, საქართველოში ვართ!



● — გენერალო, საკვების მარაგი ცოტაა, ჯარისკაცების მხოლოდ ნახევარს ეყოფა, რა ვქნათ?

— კვების საათი შეტევის შემდეგ გადაიტანეთ!



## kARMY კატურა



შეყვარებული არტილერისტი

# საყვარელი XXI

ჩვენი დოსიე: ოჯახის რეაქტიულძრავიანი გამანადგურებელი,

უმაყუჩო.

აღწერილობა: უმეტეს შემთხვევაში გარეგნულად ლამაზია, ასევე შინაგანი სიმხურვალითაც გამოირჩევა. წინა მხარეს დაყენებული აქვს ორი სხვადასხვა კალიბრის რაკეტა, რომელიც ხშირად სილიკონ I-ით არის გაძლიერებული.

გამანადგურებელი „საყვარელი XXI"-ის ძირითადი ადგილსამყოფელი XXI საუკუნეშიც ტრადიციულად ჩინოვნიკთა თუ ბიზნესმენთა კაბინეტების მისაღებია.

მასა: სხვადასხვა წონის. იარაღი რაც უფრო მსუბუქია, მით საშიშია.

სიგრძე: ძირითადად, ფეხების სიგრძეს ექცევა ყურადღება, თუ იგი აღემატება ცოლისას, მომენტალურად მოდის მოქმედებაში და დიდი სიფრთხილეა საჭირო.

ყველაზე მეტად იგი ანადგურებს ჯიბეს.

გამანადგურებელი გამოიგონეს დიდი ხნის წინ. თავდაპირველად იყენებდნენ მეფეები და დიდებულები, თუმცა მალევე უბრალო ადამიანებშიც პოვა ფართო გავრცელება. მამაკაცების უმრავლესობა მისი მსხვერპლი თავისივე ნებით ხდება და მასთან ხანგრძლივი ურთიერთობა მთლიანად ანადგურებს ოჯახურ სითბოს, თუმცა არის შემთხვევები, როცა გარკვეული დროის შემდეგ, თავად ეს იარაღი ხდება თავისნაირი იარაღის მსხვერპლი.



იარაღი ვნებს როგორც მამაკაცის ჯიბეს, ასევე საზოგადოებას, რადგან ბოლო დროს მათ წარმომადგენლებს უკვე თანამდებობებზე ნიშნავენ.

# სერჟანტის შეცდომა

საბჭოთა ჯარში მსახურობისას ჩემს ოცეულში იყო ერთი ჩუქჩა, უცნაური გვარით ზოზო. ძალიან მხიარული ბიჭი იყო და ყველას უყვარდა. თავის გვარზეც ბევრს გვაცინებდა, არ ვიცი, რომელი ეროვნებისაა და რას ნიშნავსო, გვეუბნებოდა. ერთხელაც ასეთი კურიოზი მოხდა, ერთ დღეს მოვიდა ახალი სერჟანტი ვინმე ორლოვი, დაგვაყენა პლაცზე და გაცნობის მიზნით დაიწყო სიის ამოკითხვა:

— პეტროვ გძე!

— ზდეს ტავარიშ სერჟანტ!

— გალკინ!

— ია!

— გიორგაძე!

— ია!

— ტრიტიშიტრიდციტ!

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, სერჟანტმა ისევ გაიმეორა:

— ტრიტისიაჩტრიდციტ!

— ია, — მოულოდნელად დაიძახა ზოზომ, — ნო ნე ტრიტიშიტრიდცატ, ია ზოზო, ტავარიშ სერჟანტ!

მოგეხსენებათ, რუსულად ზოზო ასე იწერება 3030, ჰოდა, შეეშალა სერჟანტს და... სანამ მას არ გაეცინა, ვერავინ გაბედა, აი, მერე კი კარგა ხანს ხარხარებდა მთელი ოცეული.




# გამოდი მწყობრიდან!



ეს ამბავი ერთმა ნაცნობმა მიამბო, ანეკდოტად გავრცელდა, მაგრამ ნამდვილად მე შევესწარიო. ჯარში გვყავდა ერთი ძალზე ხუმარა და ენაკვიმატი კაპრალი გოჩა ბ.-ძე. როცა ჯარის საქმეებით არ ვიყავით დაკავებული, ყოველთვის გვართობდა, ათას ანეკდოტს გვიყვებოდა და თავადაც იგონებდა სასაცილო სიტუაციებს. ერთხელ პოლიგონზე წაგვიყვანეს, ვარჯიშებს რომ მოვრჩით, სერჟანტი გართობის ხასიათზე დადგა, მწყობრში ჩაგვაყენა და გოჩას ახალი ანეკდოტის მოყოლა უბრძანა. ჩვენდა გასაოცრად გოჩამ „ბრძანების“ შესრულებაზე უარი განაცხადა:

— გამოდი მწყობრიდან! — ბრძანა ოფიცერმა, ამის თქმა იყო და გოჩა მოწყვეტით დაენარცხა მიწას. ყველანი მოვცვივდით, საველე ექიმიც მოვიდა, წვეთები შევასუნთქეთ და როგორც იქნა, მოვასულიერეთ.

— რა დაგემართა? — ჰკითხა სერჟანტმა.

— ხომ მიბრძანეთ, ბატონო სერჟანტო, მწყობრიდან გამოდიო, ჰოდა, მეც გამოვედი, — გაიცინა გოჩამ.

„გაბრაზებული“ სერჟანტი გოჩას პასუხმა გაამხიარულა.

ჯარისკაცური ცხოვრება აღსავსეა კურიოზებით და კარგ ანეკდოტს ბრძოლის ველზე თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი მეომრებისთვის ხშირად აუმაღლებია საბრძოლო სულისკვეთება. გამოგვიგზავნეთ „არსენალის“ რედაქციაში ფოტოები, კურიოზები, რომლებიც თქვენ ან თქვენს მეგობრებს გადაგხდენიათ, ასევე სასაცილო ანეკდოტები სამხედრო თემაზე, რათა კარგი განწყობა „არსენალის“ დანარჩენ მკითხველებსაც შევუქმნათ.

E-mail: arsenali@kvirispalitra.com

ტელ.: 896 12 18 19

# ფოტოკომიკი



შემოწმება გაუტკბა

რუბრიკა მოამზადეს სულხან ნამჩევაძემ და გელა კორძაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ყარაბაღელებს ირანული „ჰერკულესის“ ჩამოგდება შერჩათ

**1994 წლის 17 მარტს ყარაბაღის თავზე, ქ. ჰანკენდის რაიონში, სომხების საზენიტო გათვლამ რაკეტით ჩამოაგდო ირანის სამხედრო-საჰაერო ძალების „ჰერკულესი“, რომელშიც ირანელი დიპლომატები და მათი ოჯახის წევრები ისხდნენ. ავიაკატასტროფას ბორტზე მყოფი 32-ივე ადამიანი (მათ შორის 9 ბავშვი) შეეწირა.**

კავკასია აზიისა და ევროპის შემაერთებელი ხიდია, ოღონდ არა მარტო სახმელეთო, არამედ საჰაეროც. ვისაც არ დაეზარება ყოველ ათ-თხუთმეტ წუთში ერთხელ ცაში ახედვა, აუცილებლად დაინახავს ლურჯ, ლაჟვარდოვან კაბადონზე თეთრ ხაზს, რომელსაც უჩინარი მხატვარი ავლებს. ეს ის ინვერსირებული კვალია, რასაც მაღალ სიმაღლეებზე მფრენი სამგზავრო თუ სამხედრო თვითმფრინავები ტოვებენ.

სამგზავრო ლაინერებში კომფორტულად მოწყობილ ადამიანებს, წესით, არაფრის არ უნდა ეშინოდეთ, რადგან მათი თვითმფრინავის ფრენის მარშრუტი წინასწარ არის შეთანხმებული მიწაზე მყოფ დისპეტჩერებთან და მათ უსაფრთხოებაზე ასობით ადამიანი ზრუნავს.

შეიძლება ასევე უდარდელად დაჰყურებდნენ დედამიწას ილუმინატორებიდან ის მგზავრები, რომლებიც სუსხიანი მოსკოვიდან მშობლიურ თეირანში ბრუნდებოდნენ. რატომაც არა — სადარდელი არაფერი ჰქონდათ — ირანის სამხედრო-საჰაერო ძალების C-130 ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავმა მოსკოვში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომლებს შერემეტიევოზე ჩააკითხა და სამშობლოში გამოაფრინა.

ფრენის მარშრუტი დასასრულს უახლოვდებოდა. ირანულმა „ჰერკულესმა“ გადმოკვეთა კავკასიონის ქედი და გეზი ირანისკენ აიღო. აზერბაიჯანის საჰაერო სივრცეში „ჰერკულესის“ მგზავრების ნაწილი მთაგორიან რელიეფს ათვალიერებდა, ნაწილსაც ეძინა. ამ დროს ერთმა პატარა ირანელმა გოგონამ დედას ხელი ჩასჭიდა — ნახე, რა ლამაზი თეთრი ძაფი მოექანება ჩვენკენო. გოგონამ წინადადების დამთავრება ვერ მოასწრო, რომ საშინელი აფეთქების ხმა გაისმა და „ჰერკულესი“ ჰაერშივე დაიშალა. მისი ალმოდებული ნაწილები, ადამიანების ნაკვთებთან ერთად 7 კმ-ის სიმაღლიდან



საზენიტო რაკეტამ ირანული „ჰერკულესი“ ჰაერშივე დაშალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწაზე ცვიოდა — ერთ წამში ათობით ადამიანის სიცოცხლე შეწყდა.

„ჰერკულესის“ დაღუპვის მიზეზის გამოძიებას დიდი დრო არ დასჭირვებია — იგი მართვადი საზენიტო რაკეტით (სავარაუდოდ, Куб-ის სისტემის) იქნა ჩამოგდებული. მალე ჩამომგდების ვინაობაც გახდა ცნობილი — აუღიარებელი მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ნაწილის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის გათვლა. თუმცა ყველაფრის დაბრალება მეზენიტე-კაპიტანსა და რიგითებზე არ შეიძლებოდა, რადგან მათ ბრძანება სტეფანაკერტიდან მიიღეს — ჩამოეგდოთ ყარაბაღის საჰაერო სივრცის ყველა დამრღვევი.

სამოქალაქო პირთა და მით უმეტეს, ხელშეუხებელი დიპლომატების დაღუპვას სამხრეთ კავკასიის ცაში უთუოდ დიდი სკანდალი მოჰყვებოდა, მაგრამ ყველასგან მოულოდნელად, ეს ტრაგედია შედარებით უხმაუროდ ჩაიფარცხა.

ოფიციალურმა თეირანმა, რომელიც სულ მცირე კრიტიკასაც კი ავადმყოფურად განიცდის, რაიმე სერიოზული პროტესტი არ განაცხადა თვითაღიარებული სეპარატისტების მიმართ. როგორც შემდგომში გაირკვა, ამას გარკვეული მიზეზებიც ჰქონდა — თეირანი აფართოებდა კავშირებს ერევანთან და მას ერთგვარად მხარსაც კი უჭერდა აზერბაიჯანელებთან ომში; ამიტომაც ამ ერთი თვითმფრინავისა და მისი მგზავრების გამო არც ერთს არ სურდა ურთიერთობების გაფუჭება.

ამასთან, სომხებმა ირანელები დაარწმუნეს — რუსეთიდან აზერბაიჯანის საჰაერო სივრცეში შემოფრენილი ირანული „ჰერკულესის“ ეკიპაჟი საგანგებოდ მოატყუა ბაქოელმა დისპეტჩერმა და იგი მთიანი ყარაბაღისკენ მიმართაო. სტეფანაკერტელ მზვერავებს კი იმ მომენტისთვის თითქოს ჰქონდათ ინფორმაცია, რომ აზერბაიჯანელები სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავ Ан-12-ით ეცდებოდნენ, მთიანი ყარაბაღის თავზე ჩამოეყარათ მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებებით სავსე კასრები. ამიტომაც, როგორც კი ყარაბაღელმა მეზენიტეებმა დაინახეს ოთხძრავიანი, ტურბოხრახნიანი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი, იგი აზერბაიჯანელების Ан-12 ეგონათ (ამერიკული С-130 და საბჭოთა Ан-12 მართლაც ძალიან ჰგვანან ერთმანეთს) და საზენიტო რაკეტაც ესროლეს.

**ირაკლი ალადაშვილი**

# ეს საინტერესოა



● მეორე მსოფლიო ომში ბრიტანელებმა შეიმუშავეს ახალი რადარი, რომელიც მფრინავებს გერმანული ბომბდამშენების ღამით დანახვის საშუალებას აძლევდა. ამ ტექნოლოგიის გასაიდუმლოების მიზნით ბრიტანეთის საჰაერო ძალებმა პრესაში გაავრცელეს ცნობა, რომ ბრიტანელთა მფრინავების ასეთი უჩვეულო მხედველობა სპეციალური სტაფილოს დიეტის დამსახურება იყო.

● ცნობილი ფრანგი მომღერალი ედიტ პიაფი საფრანგეთის ოკუპაციის დროს ხშირად აწყობდა კონცერტებს გერმანიის ტერიტორიაზე განლაგებულ სამხედრო ტყვეთა ბანაკებში, სადაც კონცერტის შემდეგ იღებდა სამახსოვრო სურათებს ტყვეებსა და გერმანელ ოფიცრებთან ერთად. პარიზში მომღერლის დაბრუნების შემდეგ, წინააღმდეგობის მებრძოლები ჭრიდნენ სახეებს ტყვეების სურათებიდან და ამზადებდნენ ყალბ დოკუმენტებს, რომელთაც პიაფი განმეორებითი კონცერტების დროს ფარულად გადასცემდა ტყვეებს. ამ გზით მოახერხა რამდენიმე მათგანმა ბანაკიდან თავის დაღწევა.

● 1944 წელს იაპონიის არმიის უმცროსმა სერჟანტმა ონოდე ჰიომ ფილიპინების ერთ-ერთ კუნძულ ლუბანგზე პარტიზანული რაზმის ხელმძღვანელობის ბრძანება მიიღო. ბრძოლებში თავისი მებრძოლების დაკარგვის შემდეგ, ონოდემ ჯუნგლებს შეაფარა თავი. 1974 წელს ონოდე ჰირო იმავე კუნძულზე იპოვეს, სადაც პარტიზანულ ბრძოლას აგრძელებდა. ონოდეს ვერაფრით დააჯერეს, რომ ომი დამთავრდა, მან უარი განაცხადა იარაღის დაყრაზე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც კუნძულზე ჩაიყვანეს ონოდეს უშუალო მეთაური, რომელმაც მას დანებება უბრძანა, ლეიტენანტი ჯუნგლებიდან გამოვიდა და იაპონიის დამარცხება აღიარა.

● 1945 წლის 6 აგვისტოს იაპონელი ინჟინერი ცუტომუ იამაგუტი ჰიროსიმაში ატომურ დაბომბვაში მოყვა, მაგრამ სასწაულებრივად გადაურჩა ატომური ბომბის აფეთქებას თავშესაფარში. მეორე დღეს ინჟინერი მშობლიურ ქალაქ ნაგასაკიში დაბრუნდა, მაგრამ ისევ წამოეწია ატომური დაბომბვა! იღბლიანმა იამაგუტიმ 2010 წლამდე იცოცხლა და ორ ატომურ დაბომბვას გადარჩენილ ერთადერთ ადამიანად ითვლებოდა.

● მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებმა დაიკავეს ნიდერლანდები, რის გამოც სამეფო ოჯახი გადაიყვანეს კანადაში, სადაც დედოფალ იულიანას მესამე ქალიშვილი მარგრიტი შეეძინა. სამშობიაროს პალატა, სადაც დედოფალი იწვა, კანადის მთავრობამ საგანგებო დადგენილებით დაუყოვნებლივ გამოაცხადა კანადის იურისდიქციის გარეთ მყოფ ტერიტორიად იმ მიზნით, რომ მარგრიტს მომავალში ნიდერლანდების სამეფო ტახტზე ასვლის შესაძლებლობა მისცემოდა. ნიდერლანდების კანონით, დაბადებისთანავე უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღების გამო სამეფო ოჯახის მემკვიდრეს ტახტზე უფლება აღარ აქვს. კანადისთვის მადლობის ნიშნად, ნიდერლანდების სამეფო ოჯახი ყოველწლიურად ოტავაში, ტიტების ყოველწლიურ ფესტივალზე ათასობით ტიტას ბოლქვს გზავნის.

● დიდ სამამულო ომში, ლენინგრადის ბლოკადის დროს, ისააკის ტაძარი ერთხელაც არ მოხვედრილა გერმანელთა არტილერიის ცეცხლში, მხოლოდ ერთადერთხელ აფეთქდა შემთხვევითი ყუმბარა მის დასავლეთ კიდესთან. მიზეზი ძალზე პროზაული იყო — ქალაქის ამ ყველაზე მაღალ წერტილს გერმანელი არტილერისტები ორიენტირად და ცეცხლის კორექტირებისთვის იყენებდნენ. უცნობია, ეს იცოდა თუ არა ქალაქის ხელმძღვანელობამ, როდესაც ტაძრის სარდაფებში მუზეუმების უძვირფასეს ექსპონატებს მალავდა, მაგრამ ფაქტია, რომ ყველა მათგანი გადარჩა.

*მოამზადა*
**ვახტანგ კაპანაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ბერეტას“ ახალი ცეცხლსასროლი ოჯახი

„არსენალის“ იარაღის მაღაზიის გასულ ნომერში სტატია ცნობილი იტალიური საიარაღო ფირმის „ბერეტას“ ახალ პისტოლეტ Px4 Storm-ს მიეძღვნა. თუმცა იტალიელმა მეიარაღეებმა 9x19 მმ Para-ს ვაზნაზე ზემოხსენებული პისტოლეტის გარდა ცეცხლსასროლი იარაღის მთელი ოჯახი შექმნეს, მათ შორის კარაბინი Cx4 და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი Mx4.

ეს იტალიური ცეცხლსასროლი ოჯახი, ძირითადად, სამოქალაქო საიარაღო ბაზარზე გასაყიდად არის განკუთვნილი, რათა მოქალაქეებმა თავის დაცვისთვის თუ სპორტული სროლისთვის გამოიყენონ.

ამ იარაღის შექმნისას იტალიელმა კონსტრუქტორებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს დიზაინსა და მოხერხებულობას.



კარაბინი Cx4 Storm-ი გამოირჩევა დახვეწილი და ელეგანტური ფორმებით და ამასთან, მოხერხებულია ცაციებისთვისაც, რადგან შედარებით ადვილად შეიძლება იარაღის მართვის ორგანოების გადაყენება ერთი მხრიდან მეორეზე.

კარაბინის გრძელი ლულა (პისტოლეტთან შედარებით) 9 მმ-იანი პისტოლეტის ტყვიის 100-150 მ-ში მიზანში მორტყმას უზრუნველყოფს, მით უმეტეს, თუ კარაბინი ოპტიკური სამიზნითაა აღჭურვილი. არადა, კარაბინის სალულეზე Picatinny Rail-ის ტიპის მიმმართველია დამონტაჟებული, რომელზეც იარაღის აქსესუარების — ტაქტიკური ფარანის, წინა ხელის მოსაკიდის, ლაზერული მიზანმომნიშვნელის დაყენება შეიძლება.

კარაბინი Cx4 ნახევრად ავტომატური იარაღია, რომლის ავტომატიკა თავისუფალი საკეტის უკუცემის ენერგიას იყენებს. სროლა დახურული საკეტიდან ხდება. კარაბინის პისტოლე-

**ჩვენი დოსიე:** თვითდამტენი კარაბინი Beretta Cx4 Storm-ი 2,5 კგ-ს იწონის. მისი სიგრძე 7,55 მმ-ია (ლულის სიგრძე 422 მმ-ი), იარაღის სიგანე 22 მმ-ს აღწევს, სიმაღლე კი 190 მმ-ს

ტის ხელის მოსაკიდში Beretta 92/96 ტიპის პისტოლეტის მჭიდი თავსდება, რომელშიც 9 მმ კალიბრის 10 ვაზნა ეტევა.

მადა ჭამაში მოდისო და იტალიელმა კონსტრუქტორებმა ამ კარაბინის ბაზაზე 9 მმ-იანი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი Mx4 შექმნეს. ეს იარაღი ორიოდე თვის წინ გამოჩნდა საერთაშორისო გამოფენა IDEX-2011-ზე. სხვათა შორის, როგორც გამოფენაზე განაცხადეს, ინდოეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე შეუკვეთა „ბერეტას“ ფირმას 34.500 ცალი Mx4, რაც უთუოდ დიდი წარმატებაა.





„ბერეტას“ ელეგანტურმა შაშხანამ არც ეს ქალბატონი დატოვა გულგრილი

კონსტრუქციულად და დიზაინითაც პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი Mx4 ძალიან ჰგავს კარაბინ Cx4-ს, მაგრამ ამ უკანასკნელისგან განსხვავებით ავტომატური ჯერებით სროლაც შეუძლია. ამიტომაც პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის მჭიდი 30 ცალ ვაზნაზეა გათვლილი. ავტომატური ჯერებით მსროლელი Mx4, ბუნებრივია, იარაღის მაღაზიებში არ გაიყიდება და ძირითადად, სხვადასხვა ქვეყნის პოლიციისა და სპეცდანიშნულების რაზმების შესაიარაღებლად იქნება განკუთვნილი.

„ბერეტას“ ახალი საიარაღო ოჯახის ბოლო წარმომადგენელი, თვითდამტენი შაშხანა Rx4 Storm-ი ნამდვილად არ გამოიყურება ისე მიმზიდველად, როგორც ოჯახის სხვა წევრები. შეიძლება იმიტომ, რომ იგი სამონადირეო შაშხანა Benelli R1-ის ბაზაზე დამზადდა. ფირმა Benelli Armi ჰოლდინგ Beretta-ში შედის. შაშხანა გათვლილია 5,56 მმ კალიბრის (.223 REM) ვაზნებზე და ავტომატური შაშხანა M16-ისა და ავტომატური კარაბინ M4-ის მჭიდეები უყენდება. ამჟამად ეს იარაღი სახელწოდებით Benelli MR1 თავისუფლად იყიდება ევროპის იარაღის მაღაზიებში.

**ჩვენი დოსიე:** პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი Beretta Mx4 ვაზნების გარეშე 2,48 კგ-ს იწონის; მისი სიგრძე 647 მმ-ია, აქედან ლულაზე 312 მმ მოდის. მჭიდში „ლუგერის“ 9 მმ-იანი 30 ვაზნა ჩადის

იტალიურმა „ბერეტამ“ ამ საიარაღო ოჯახის შექმნით სცადა, დაეპყრო სამოქალაქო და საპოლიციო იარაღის ბაზარი. სამოქალაქოზე რა მოგახსენოთ, მაგრამ Mx4 პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების ინდოეთის პოლიციისთვის შედარებით დიდი რაოდენობის მიყიდვით კი „ბერეტამ“ სერიოზული განაცხადი გააკეთა.

**ირაკლი ალადაშვილი**

**ჩვენი დოსიე:** შაშხანა Beretta Rx4 Storm-ი ვაზნების გარეშე 3,18 კგ-ს იწონის. იარაღის სიგრძე ტელესკოპური კონდახის მოძრაობით 942 მმ-იდან 896 მმ-მდე მცირდება. ლულის სიგრძე 406 მმ-ია. მჭიდში (ვარიანტების მიხედვით) 5,56X45 მმ კალიბრის 10, 20 ან 30 ცალი ვაზნა ეტევა



 არსენალი

ISSN 1987 - 5061

ნ 121/14




# BERETTA Cx4 Storm

ეროვნული ბიბლიოთეკა